

კონფლიქტების ტრანსფორმაცია საქართველოში:  
სწრაფვა გრძელვადიანი მშვიდობისკენ

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი

კავკასიური  
სახლი



THE CENTRE FOR CULTURAL RELATIONS

CAUCASIAN  
HOUSE

2021

UDC (შპკ) 327.56(479.22)

კ-72

**სტატიების კრებული მომზადდა კავკასიური სახლის  
„მშვიდობისა და ინტეგრაციის პროგრამის“ პროექტის ფარგლებში.**

**პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა,  
არ გამოხატავდეს ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას.**

© კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი

[www.caucasianhouse.ge](http://www.caucasianhouse.ge)  
[www.regional-dialogue.com](http://www.regional-dialogue.com)  
[info@caucasianhouse.ge](mailto:info@caucasianhouse.ge)

ISBN 978-9941-9755-9-2

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ქართულ-აფხაზური პირდაპირი დიალოგის პერსპექტივა: ხედვა თბილისიდან ნათია ჭანკვეთაძე .....	5
საქართველოს პარლამენტის რელი კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში გიორგი მოღვაძე .....	16
ეკონომიკური განვითარება და ინდუსტრიული პოლიტიკა კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის საქართველოში თორნიკე ჩივაძე .....	31
იკლებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალურ - პოლიტიკური გამოწვევების ასპექტები საქართველოში ელიკო ბენდელიანი .....	46
საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგია ოპერატიული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით ქეთევან მურუსიძე .....	56
წარსულის გააზრება საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის ივანე აბრამაშვილი .....	84
შეცვლილი რეალობა კავკასიაში - ყარაბაღის მეორე ომის გამოძახილი საქართველოში ზურაბ მენაღარიშვილი .....	99
თურქეთის ინტერესები აფხაზეთში: წარსული და თანამედროვეობა სანდრო ბაკურაძე .....	111



## ქართულ-აფხაზური პირდაპირი დიალოგის პერსპექტივა: ხელვა თბილისიდან ნათია ჭანკვეტაძე

ქართულ-აფხაზური პირდაპირი დიალოგის შესახებ მსჯელობა შეკითხვებით სავსე პროცესია. ბუნდოვანია რას გულისხმობს პირდაპირი დიალოგი და რამდენად რეალურია, რომ აფხაზები და ქართველები პირდაპირი დიალოგის ურთიერთსაზიარო ფორმატზე შეთანხმდებიან და წინააღმდეგობრივ პირობებს არ წამოაყენებენ. საკითხი განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც აფხაზეთის ამჟამინდელმა დე-ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ ჯერ კიდევ თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს ისაუბრა ქართულ მხარესთან პირდაპირი დიალოგის წარმოების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე.<sup>1</sup> ასლან ბჟანიას მოსაზრებას, რომელიც აფხაზურ საზოგადოებაში მისი კრიტიკის საბაზი გახდა,<sup>2</sup> ფრაგმენტული გამოხმაურება მოჰყვა ქართული მმართველი პოლიტიკური ელიტის მხრიდან. საინტერესოა, რომ ქართული მხრიდან ერთ-ერთი პირველი საპასუხო განცხადება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის მიერ გაკეთდა,<sup>3</sup> რომელსაც მაშინდელი პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა<sup>4</sup> და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის<sup>5</sup> საპასუხო განცხადებებიც მოჰყვა.

წინამდებარე კვლევის მიზანია გამოარკვიოს არსებულ კონტექსტში ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის წარმოების მიზანშეწონილობა და რეალურობა ქართული მხარის პერსპექტივიდან. კერძოდ, განიხილოს დღესდღეობით რა ფორმის, შინაარსისა და ვისი ჩართულობით შეიძლება პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის წარმოება სოხუმსა და თბილისს შორის, რა გამოწვევები, რისკები და კავშირებული აღნიშნულ პროცესთან მიმართებით და რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ან მიმდინარე პროექტების განვითარებაა შესაძლებელი და სასურველი პირდაპირი დიალოგის ხელშესაწყობად.

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა არსებული ლიტერატურის მიმოხილვასა და სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზს. ლიტერატურის მიმოხილვა მოიცავს ქართულ-აფხაზურ პირდაპირ ან/და ორმხრივ დიალოგთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებების, ანალიტიკური სტატიებისა და დოკუმენტების ანალიზსა და შეფასებას. ექვსი სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა მოქმედ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებთან. ინტერვიუების ანალიზი ეყრდნობა ორი მმართველი პოლიტიკური ელიტის, ორი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისა და ორი ექსპერტის მოსაზრებებსა და შეფასებას ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის შესახებ.

<sup>1</sup> ასლან ბჟანიას განმარტება თბილისთან დიალოგის თაობაზე. Sova.News. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/37QxL1p>

<sup>2</sup> „არუა“ პარლამენტში საჯარო მოსმენის იდეით გამოდის. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3e6XIAh>

<sup>3</sup> სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოადგილე – ასლან ბჟანიას ინიციატივები საინტერესოა, თუკი ისინი ჟენევის ფორმატში იქნება დასმული. Interpressnews. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/35I-7WxK>

<sup>4</sup> აფხაზი ოპოზიციონერი თბილისთან პირდაპირი დიალოგის მომხრეა. რას პასუხობს თბილისი? Jam-News.net. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3kGGIDk>

<sup>5</sup> თბილისი მზად არის აფხაზ და ოს საზოგადოებებთან დიალოგის განსავითარებლად. Civil.ge. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/31WOxlu>

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევას თან ორი შეზღუდვა ახლავს. პირველი, დოკუმენტში მოცემული მოსაზრებები, შეფასებები და დასკვნები ვერ განზოგადდება მოქმედ პოლიტიკურ ელიტაზე, ისევე როგორც ვერ განზოგადდება და ასახავს ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ქართულ-აფხაზურ ორმხრივ დიალოგთან დაკავშირებით. მეორე, დოკუმენტი არ განიხილავს ქართულ-ოსური ორმხრივი, პირდაპირი დიალოგის საკითხს, რადგან მასზე მუშაობის მოტივაცია აფხაზეთის მოქმედი, პოლიტიკური ლიდერის, ასლან ბჟანიას განცხადება გახლდათ. წინამდებარე კვლევა ორ ძირითად ნაწილად გაიყოფა – პირველ ნაწილში გაჭიანურებულ (protracted) კონფლიქტებში პირდაპირი, ორმხრივი, არაოფიციალური და ოფიციალური დიალოგის შესახებ ვიმსჯელებ, ხოლო კვლევის მეორე ნაწილი დაეთმობა უშუალოდ ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის განხილვას.

### კონფლიქტის შესახებ დიალოგის არაოფიციალური ხასიათი

დიალოგი კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ჯანსაღი დისკუსიის, მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი პროცესია. პირველი დონის (Track I) დიპლომატია დიალოგის ის ფორმაა, რომელშიც მონაწილეობას კონფლიქტში ჩართული მხარე(ებ)ის ოფიციალური წარმომადგენლები, გადანყვეტილების მიმღები პირები იღებენ.<sup>6</sup> მეორე დონის (Track II) დიპლომატია კი, ინტერაქციის/კომუნიკაციის არაფორმალურ ხასიათს გულისხმობს, როცა კონფლიქტ(ებ)ის მოგვარებისთვის საჭირო პროცესებში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები (ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოება) ერთვებიან.<sup>7</sup> ამ ორი დონის გარდა, არსებობს ერთნახევარი ფორმატის დიალოგი (1.5 Track), რომლის მიზანიც პირველი და მეორე დონის დიპლომატიის უფრო ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობაა. რადგან ერთნახევარი ფორმატი უზრუნველყოფს დიალოგის პროცესში გადანყვეტილების მიმღები პირების ან მათთან დაახლოებული ადამიანების არაოფიციალურ ჩართულობას.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ პირველი დონის არაოფიციალური დიპლომატია უფრო ეფექტურად არის მიჩნეული გარკვეულ შემთხვევებში, ვიდრე იმავე დონის ოფიციალური დიალოგი, რადგან მასში ჩართულ პირებსა და ჯგუფებს მათ ხელთ არსებული რესურსის უკეთ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს და ხისტად პოზიციონირების ნაწილს ამსუბუქებს.<sup>9</sup> ხშირად აღინიშნება, რომ მეორე და 1.5 დონის დიალოგს შორის ძირითადი განსხვავება მონაწილეებია, რადგან 1.5 ფორმატი გადანყვეტილების მიმღები პირების, პოლიტიკური ლიდერების არაოფიციალურ ჩართულობას გულისხმობს, განსხვავება მხოლოდ დროსა

<sup>6</sup> Böhmelt T. (2010). The effectiveness of tracks of diplomacy strategies in third-party interventions. *Journal of Peace Research*, Vol. 47, No. 2. pp. 167-178. Published by: Sage Publications.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 167-168.

<sup>8</sup> Allen, S. (2011). Conflicts in the Caucasus and Their Resolution: A Framing Essay. In *Eurasian Geography and Economics*. 52, No. 5, გვ. 682.

<sup>9</sup> Böhmelt T. (2010). The effectiveness of tracks of diplomacy strategies in third-party interventions. *Journal of Peace Research*, Vol. 47, No. 2. Pp. 167-178. Published by: Sage Publications.

და შედეგებშია, რადგან არაოფიციალური ფორმატების უპირატესობა ბიორაკრეტიული ვალდებულებებისგან ათავისუფლებს მასში ჩართულ პირებს.<sup>10</sup>

აღსანიშნავია, რომ არაოფიციალური დიპლომატია შემდეგ დაშვებებთან არის დაკავშირებული.<sup>11</sup>

1. არაოფიციალური დიალოგი ყურადღებას ამახვილებს მასში ჩართულ ადამიანებს/ჯგუფებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების განვითარებაზე.

2. პროცესის არაოფიციალური ხასიათი მასში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას აძლევს პრობლემებს ალტერნატიული გადაწყვეტის გზები მოუძებნონ. არსებული ჩარჩოების, ხისტი პოზიციების მიღმა იფიქრონ და იმსჯელონ, რადგან შემსუბუქებულია ვალდებულებითი ნაწილი.

3. არაოფიციალური დიალოგი ოფიციალური დიპლომატიის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ან მისი ნაწილი იყოს.

4. მესამე მხარის ჩართულობა/როლი არაფორმალურ დიალოგში განსხვავდება იმავე მხარის ჩართულობისგან ფორმალურ/ოფიციალურ ფორმატ(ებ)ში.

მოუგვარებელი კონფლიქტ(ებ)ის პირობებში პირველი დონის და 1.5 ფორმატის დიალოგის სხვადასხვა გამოცდილება არსებობს, მათგან აღსანიშნავია კვიპროსისა და დნესტრისპირეთის შემთხვევები. კვიპროსი, რომელიც მოუგვარებელი კონფლიქტის პირობებში თანამშრომლობის მზარდ ხარისხს აჩვენებს, 2007-2012 წლებში სამშვიდობო მოლაპარაკებების სტაგნაციით გამოირჩეოდა და პროცესი 2015 წელს გაეროს სპეციალური მრჩევლის ჩართულობით განახლდა.<sup>12</sup> ერთ-ერთი ინიციატივის ფარგლებში,<sup>13</sup> რომელიც კვიპროსში 2016 წელს დაიწყო, „ექვსდონიანი“ დიალოგი მიმდინარეობს. I დონის ფარგლებში ერთმანეთს ხვდებიან საერთაშორისო აქტორები, ეროვნული მთავრობები და გადაწყვეტილების მიმღები პირები; II დონის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებაა ჩართული, ხოლო III დონეს ადგილობრივი ორგანიზაციები და ქვედა დონის ლიდერები წარმოადგენენ.<sup>14</sup> გარდა ამისა, კვიპროსში წლებია თანამშრომლობენ თურქი კვიპროსული და ბერძნული კვიპროსული სავაჭრო პალატები და „მწვანე ზოლის“ გადაკვეთით ვაჭრობის პროცესის ფასილიტაციას უწყობენ ხელს.<sup>15</sup> მოუგვარებელი კონფლიქტის პირობებში I და 1.5 ფორმატის დიალოგის საინტერესო მაგალითებია დნესტრისპირეთშიც. მაგალითისთვის აღსანიშნავია, 2018 წლის მაისში მიღებული რომის პროტოკოლი.<sup>16</sup>

<sup>10</sup> Mirimanova, N. (2012). Mediation and Dialogue: Official and Unofficial Strategies. In Mediation and Dialogue in the South Caucasus: A reflection on 15 years of conflict transformation process. International Alert. Available at the link: <https://bit.ly/2GgEcZs> Mapendere, J. (2006). Track One and a Half Diplomacy and the Complimentarily of Tracks. Culture of Peace Online Journal 2(1): 66-81. გვ. 70.

<sup>11</sup> Schiff, A. (2010). „Quasi Track-One“ Diplomacy: An Analysis of the Geneva Process in the Israeli-Palestinian Conflict. International Studies Perspectives, 11, pp. 93-111.

<sup>12</sup> Breaking the pattern of deadlock in the Cyprus Peace Process. (2019). Interpeace Peacebuilding in Practice, Paper N5. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3e8CzQJ>

<sup>13</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 10.

<sup>15</sup> De Waal, T. (2018). Uncertain Ground: Engaging With Europe’s De Facto States and Breakaway Territories. Carnegie Europe. გვ. 53.

<sup>16</sup> Protocol of the official meeting of the permanent conference for political questions in the framework of the negotiating process on the Transdniesrian settlement. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/35IDy6t>

აღნიშნული პროტოკოლის მიზანია მოლდოვასა და დნესტრისპირეთს შორის არსებული ფუნდამენტური და წინააღმდეგობრივი საკითხების დარეგულირებაზე მუშაობა, მათ შორის ადამიანების თავისუფალი გადაადგილებისა და დნესტრისპირეთში გაცემული უმაღლესი განათლების დიპლომების მოლდოვის მიერ აღიარების საკითხები.<sup>17</sup>

წინამდებარე კვლევის ინტერესი, ქართულ-აფხაზურ კონტექსტში, სწორედ I ან 1.5 ფორმატის დიალოგის მიზანშეწონილობისა და რეალურობის გააზრებაა, კერძოდ, არსებობს თუ არა მზაობა და შესაძლებლობა ქართულ პოლიტიკურ ელიტაში აფხაზურ მხარესთან დიალოგის, ორმხრივი და პირდაპირი ფორმატების განვითარებას შეუწყოს ხელი და რა აბრკოლებს აღნიშნულ პროცესს.

### ქართულ-აფხაზური პირდაპირი დიალოგის პერსპექტივა

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევის ინტერესი თანამედროვე კონტექსტი და ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის დღესდღეობით წარმოების შესაძლებლობის შეფასებაა, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ 2008 წლამდე და მას შემდეგ არსებული ფორმატები, რომელთა ფარგლებშიც ქართველი და აფხაზი პოლიტიკური ლიდერები და გადაწყვეტილების მიმღები პირები საუბრობდნენ.

ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესს საფუძველი 1993 წელს, აფხაზეთში ომის დამთავრებისთანავე ჩაეყარა. იმავე წელს მოეწერა ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის საფუძველი უნდა გამხდარიყო.<sup>18</sup> მართალია, წარუმატებლად, მაგრამ 1995 წელს საუბარი იყო ფედერაციულ, მოწყობაზე ხოლო 1997 წელს ერთიანი სახელმწიფოს შექმნაზე.<sup>19</sup> 1997 წელს თბილსში აფხაზეთისა და საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტების – ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრაც გაიმართა.<sup>20</sup> მიუხედავად შეფერხებისა, ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესი 2003 წლიდან, საქართველოს ახალი მთავრობის პირობებშიც გაგრძელდა. მაგალითად, 2006 წელს, თბილისში, აფხაზეთის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ დოკუმენტი – „მომავლის გასაღები“ წარადგინა, ხოლო იმავე წელს თბილისმა საპასუხო დოკუმენტი – „საგზაო რუკა“ გამოაქვეყნა.<sup>21</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2008 წლამდე ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში მედიატორის სტატუსით სხვადასხვა ქვეყანა და ორგანიზაცია იყო ჩართული, მათ შორის რუსეთის ფედერაცია. ქართულ-აფხაზური დიალოგისა და სამშვიდობო პროცესის ფასილიტაციაში მონაწილეობას იღებდა გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები და საქა-

<sup>17</sup> Making progress in the Moldovan-Transnistrian dialogue. Warsaw Institute. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/34D1Pvb>

<sup>18</sup> აბრამაშვილი, ვ. და ქოიავა, რ. (2018). საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი. კავკასიური სახლი.

<sup>19</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი.

<sup>20</sup> აბრამაშვილი, ვ. და ქოიავა, რ. (2018). საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი. კავკასიური სახლი. გვ. 20.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 30-31.

რთველოს „მეგობართა ჯგუფის“<sup>22</sup> ქვეყნები. გარდა ამისა, 2008 წლამდე მიმდინარეობდა 1.5 ფორმატის მნიშვნელოვანი შეხვედრები, რომლებსაც კალიფორნიის უნივერსიტეტისა და შლაინინგის პროცესის სახელითაც მოიხსენიებდნენ. მაგალითად, შლაინინგის პროცესი მიზნად ისახავდა დიალოგში პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების არაოფიციალური/არაფორმალური ხაზით ჩართვას.<sup>23</sup> როგორც ერთ-ერთი ინტერვიუსას აღინიშნა, 2008 წლამდე მიმდინარე შეხვედრებსა და დოკუმენტებში ქართველები და აფხაზები ერთმანეთს მოიხსენიებდნენ, როგორც ქართული მხარის და აფხაზური მხარის წარმომადგენლები.<sup>24</sup>

ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესისთვის წყალგამყოფი აღმოჩნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება, რომელიც საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უხემ ხელყოფად და რეგიონების ოკუპაციად შეფასდა.<sup>25</sup> 2008 წლის შემდეგ გაჩნდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატი (GID) და მის ფარგლებში შექმნილი ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმი (IPRM). GID დიდწილად ქართულ-რუსული ფორმატია, რომელშიც აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარის წარმომადგენლებიც, თუმცა არაოფიციალური სტატუსით, იღებენ მონაწილეობას. რაც შეეხება IPRM-ს, იგი დღის წესრიგის ვიწრო ხასიათით გამოირჩევა და მხოლოდ ჰუმანიტარულ, კრიზისებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობას გულისხმობს.

### პირდაპირი დიალოგი – ჩართულობის ფორმა თუ აღიარების მექანიზმი?

დღესდღეობით არსებული ვითარება ასეთია – არსებობს პოლიტიკური დიალოგის ფორმატი, ჟენევის დისკუსიის სახით და არაფორმალური, II დონის დიპლომატია, რომელსაც „სახალხო დიპლომატიადაც“ მოიხსენიებენ, შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგი მიმდინარეობს. წინამდებარე კვლევის მიზანიც სწორედ დიალოგის არსებული ფორმატების მიღმა გახედვა და ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის პროცესის განახლების რელევანტურობისა და შესაძლებლობის შეფასებაა. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი პირველი შეკითხვა, რომელიც ინტერვიუების დროს დაისვა შემდეგია – რას ნიშნავს პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან ოფიციალური თბილისისთვის?

პირდაპირი დიალოგის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა ორი მიმართულებით განვითარდა. პირველი, პირდაპირი დიალოგი, როგორც კონფლიქტის დარეგულირების ორმხრივი ფორმატი და პირდაპირი დიალოგი, როგორც საერთაშორისო, პოლიტიკური ფორმატ(ებ)ის პარალელური არაოფიციალური პროცესი, საკომუნიკაციო არხი სოხუმთან.

<sup>22</sup> შედოდა აშშ, რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და გაერთიანებული სამეფო.

<sup>23</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი.

<sup>24</sup> ინტერვიუ №05, მმართველი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>25</sup> UN Security Council members condemn Russian occupation of Georgian territories ahead of 12th anniversary of 2008 war. Agenda.ge. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2HRDysk>

დიალოგის პირველი ვერსია პრობლემურია კვლევაში მონაწილე პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებისთვის როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიებიდან, თუმცა მისაღებია ექსპერტებისთვის. ხოლო დიალოგის მეორე ვერსია, მათ შორის I დონის ორმხრივი დიალოგი, მაგრამ არაოფიციალური სახის, მისაღებია როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების, ისე ექსპერტებისთვის.

პირდაპირი, ორმხრივი და ოფიციალური დიალოგის ფორმატთან დაკავშირებული პრობლემები შემდეგ ქვეთავში იქნება განხილული. რაც შეეხება არაოფიციალურ, მაგრამ პირდაპირ, ორმხრივ და ინსტიტუციონალიზებულ ფორმატს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც ორი მოსაზრება გამოიკვეთა. პირველი, ქართული პოლიტიკური ელიტა დაბნეულია, არ ფიქრობს სიღრმისეულად და სტრატეგიულად ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.<sup>26</sup> მეორე, დიალოგი არის სისტემური, მუდმივი პროცესი, რაც გარკვეულ სირთულეებთან ასოცირდება, შესაბამისად, პოლიტიკურ ელიტას ურჩევნია ისაუბროს კომუნიკაციის გახსნილ არხზე, რომელსაც საჭიროებისამებრ გამოიყენებს და არა დიალოგის განგრძობად და ინსტიტუციონალიზებულ პროცესზე.<sup>27</sup>

აფხაზეთის მოქმედი დე-ფაქტო ლიდერის, ასლან ბჟანიას განცხადებაც არაერთგვაროვნად შეფასდა. მაგალითად, კვლევის მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ბჟანია ღია დიალოგისთვის და მზაობას გამოხატავს პირდაპირი დიალოგის ნებისმიერ ფორმატში ჩასართავად,<sup>28</sup> მაშინ როცა მეორე ნაწილისთვის მისი განცხადება არა ნებისმიერ ფორმატს, არამედ დიალოგის ორმხრივ და ინსტიტუციონალიზებულ პროცესს უკავშირდება.<sup>29</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ კონტექსტში ქართულ-აფხაზური პირდაპირი დიალოგის მისაღები ფორმატი ასოცირებულია არაოფიციალურ/არა-ფორმალურ პროცესთან, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სტატუსის მქონე ქართველ და აფხაზ პოლიტიკურ და სამოქალაქო ლიდერებს შეეძლებათ შეხვედრა და დღის წესრიგის თავად, მესამე მხარის მინიმალური ჩარევით, განსაზღვრა.

ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის ფორმატის უკეთ გასააზრებლად, კვლევის ფარგლებში შემდეგი შეკითხვაც დაისვა – ვინ უნდა/შეიძლება შეხვედეს (რა სტატუსის მქონე ადამიანები) და რა საკითხები უნდა/შეიძლება იყოს პირდაპირი დიალოგის დღის წესრიგში?

საინტერესოა, რომ თუ დიალოგს არაოფიციალური ხასიათი ექნება, მასში მონაწილე პირების სტატუსი მეორეხარისხოვანი ხდება ქართული მხარისთვის. მაგალითად, აღინიშნა, რომ I დონის (გადაწყვეტილების მიმღები პირები) ფორმატიც მისაღებია, თუკი მას

<sup>26</sup> ინტერვიუ №01, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>27</sup> ინტერვიუ №03, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<sup>28</sup> ასლან ბჟანიას პასუხი დამაიმედებელია. თუ შეგვეშინდება დიალოგის ფორმატის, კიდევ 28 წელი გავა. Interpressnews. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ejPWOL>

<sup>29</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი. ინტერვიუ 03, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

არაოფიციალური ხასიათი ექნება.<sup>30</sup> ასევე აღინიშნა, რომ მონაწილეების სტატუსზე მეტად ნდობის ფაქტორია მნიშვნელოვანი, კერძოდ, როგორც აფხაზები, ისე ქართველები უნდა ხედავდნენ, რომ პროცესში სანდო ადამიანები იღებენ მონაწილეობას.<sup>31</sup>

რაც შეეხება უშუალოდ კონკრეტული ფორმატების შემუშავებას, აღინიშნა, რომ შესაძლებელია პარლამენტის დონეზე შეხვედრების გამართვა და პარლამენტარების, როგორც ხალხის მანდატის მქონე და სტატუსით ნაკლებად შეზღუდული პირების დიალოგის პროცესში ჩართვა.<sup>32</sup> მნიშვნელოვანია, კავშირების ჩამოყალიბება რეგიონულ და რაიონულ დონეებზე, მაგალითად, შესაბამისი რეგიონ(ებ)ისა და რაიონ(ებ)ის მერის, გუბერნატორის, საკრებულოს თავმჯდომარეების დიალოგის პროცესში ჩართვა.<sup>33</sup> აღინიშნა, რომ შეიძლება სამინისტროს წარმომადგენლებს შორის საკომუნიკაციო არხების გამართვა და მათი მონაწილეობით დიალოგის განგრძობადი ფორმატის ჩამოყალიბება.<sup>34</sup> მნიშვნელოვანია, რომ დიალოგში ჩართული ადამიანები დაკავშირებულნი იყვნენ (თუ თავად არ წარმოადგენენ) გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.<sup>35</sup> მაგალითად, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს აღინიშნა სპეციალური წარმომადგენლების დანიშვნის იდეა, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული საკითხების განხილვის შესაძლებლობა ექნებათ.<sup>36</sup> ინტერვიუების დროს ასევე ახსენეს აბაშიძე-კარასინის ფორმატი, რომელიც ქართულ-რუსული კონფლიქტისა და დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის ფონზე სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების დღის წესრიგში დარჩენას უზრუნველყოფს, თუმცა მსგავსი ფორმატის ქართულ-აფხაზურ კონტექსტში გადმოტანას ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, დანიშნული და სპეციალური მანდატის მქონე პირების ჩართულობით.<sup>37</sup> აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ აუცილებლად გასააქტიურებელია არსებული საკომუნიკაციო ხაზები და შესაძლებელია მათი განგრძობად, ინსტიტუციონალიზებულ დიალოგად გარდაქმნა და, რაც მთავარია მათი შენარჩუნება და კონტექსტთან მუდმივად ადაპტირება.

რაც შეეხება საკითხებს, რომლებიც პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის ფარგლებში უნდა/შეიძლება განიხილებოდეს, კვლევის ფარგლებში მოსმენილი მოსაზრებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვეოდა. ფორმატ(ებ)ი უნდა იყოს პოლიტიკური, სტატუსთან დაკავშირებული საკითხებისგან დაცლილი, რადგან ეს უკანასკნელი მასში მონაწილეებს წინააღმდეგობრივ პირობებში ჩააყენებს. თუ დიალოგი იქნება მრავალდონიანი, შეიძლება დაიტივს ბევრ სოციალურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხს. მაგალითად, თავად ასლან ბჟანიამ სამი საკითხი გამოყო, რომლის შესახებაც ქართულ მხარესთან დიალოგი მნიშვნელოვანია: აფხაზეთში წარმოებული თხილის რეალიზაცია, კრიმინალი და ჯანდაცვის რეფერალური პროგრამა.<sup>38</sup>

<sup>30</sup> ინტერვიუ №06, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>31</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი.

<sup>32</sup> ინტერვიუ №03, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<sup>33</sup> ინტერვიუ №03, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<sup>34</sup> ინტერვიუ №06, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>35</sup> ინტერვიუ №06, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>36</sup> ინტერვიუ №01, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>37</sup> ინტერვიუ №06, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>38</sup> ასლან ბჟანიას განმარტება თბილისთან დიალოგის თაობაზე. Sova.News. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://bit.ly/37QxL1p>

ინტერვიუების ფარგლებში ქართველების მხრიდან აღინიშნა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია გალის მოსახლეობის უფლებრივი და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, მნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების და ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობის განხილვა, აფხაზი სტუდენტებისთვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და დაუგეგმავ კრიზისებთან გამკლავების სტრატეგიების განხილვა და შემუშავება.<sup>39</sup> კორონავირუსის გავრცელებამ აჩვენა, რომ კონფლიქტურ რეგიონებში საჭირო რესურსებსა და კომუნიკაციაზე მსგავსი კრიზისების პირობებში ხელმისაწვდომობა შეზღუდულია და მსგავს სიტუაციებში დიალოგის ფორმატები და საკომუნიკაციო არხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ.

## პირდაპირი დიალოგი – რისკზე წასვლა თუ პასუხისმგებლობის აღების შიში?

პირდაპირი, ორმხრივი და ოფიციალური დიალოგის ფორმატი რამდენიმე პრობლემასთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი პირველი პრობლემა ოკუპაცია და დიალოგის პროცესისგან რუსეთის დისტანცირების საკითხია. კერძოდ, არსებული სტატუს-ქვოს პირობებში რამდენად არის შესაძლებელი აფხაზებთან ორმხრივი დიალოგი ფორმალურ ფორმატში ისე, რომ ოკუპაციის პროცესი ჩრდილქვეშ არ მოექცეს?

ინტერვიუებზე დაყრდნობით აღნიშნულ შეკითხვაზე ორგვარი პასუხის გაცემაა შესაძლებელი: პირველი, შეუძლებელია ოფიციალური ორმხრივი დიალოგის წარმოება, თუ წინაპირობა აფხაზების კონფლიქტის მხარედ აღიარება და ადგილზე მათი ეფექტური კონტროლის არსებობის დადასტურება იქნება, რადგან ამ შემთხვევაში დიალოგის ფორმატი დაემსგავსება სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის დიალოგს.<sup>40</sup> მეორე, შესაძლებელია, თუ აფხაზების კონფლიქტის ერთ-ერთ (არა ერთადერთ) მხარედ აღიარება მოხდება, შედეგად ისინი დიალოგის ლეგიტიმური მხარე გახდებიან, მაგრამ კონფლიქტის დარეგულირებასა და სტატუსთან დაკავშირებული საკითხები მაინც დიალოგის დღის წესრიგის მიღმა დარჩება.<sup>41</sup>

ორმხრივი, ფორმალური დიალოგის წარმოება, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკურ და სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ შექმნის ყენევის დისკუსიების ჩანაცვლების საფრთხეს და შეამსუბუქებს რუსეთის პასუხისმგებლობას.<sup>42</sup> თუმცა თუ ორმხრივი ფორმატი არაოფიციალური ხასიათის იქნება, აფხაზურ მხარესთან საუბარი რეგიონში რუსეთის გავლენის შემცირებისა და დაბალანსების შესაძლებლობაც შეიძლება იყოს.<sup>43</sup>

<sup>39</sup> ინტერვიუ №01. ინტერვიუ №02. ინტერვიუ №03. ინტერვიუ №04.

<sup>40</sup> ინტერვიუ №06. ინტერვიუ №05.

<sup>41</sup> ინტერვიუ №01, ინტერვიუ №03.

<sup>42</sup> ინტერვიუ №06, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>43</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი.

საინტერესოა, შეუწყობს თუ არა ორმხრივი, თუნდაც არაფორმალური დიალოგი არაღიარების პოლიტიკის შემსუბუქებას ხელს? პასუხად რამდენიმე ინტერვიუს ფარგლებში აღინიშნა, რომ აღიარებას ან/და რეგიონის რუსეთის მიერ ანექსიას დიალოგის არ არსებობა უფრო შეუწყობს ხელს, რადგან საერთაშორისო პრაქტიკაზე დაკვირვებით, კონფლიქტური რეგიონ(ებ)ის აღიარება დღის წესრიგში მაშინ დგება, როცა აშკარაა, რომ კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით კომპრომისი ვერანაირ პირობებში ვერ მიიღწევა.<sup>44</sup> აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გამყარებულია საერთაშორისოდ ხელმოწერილი დოკუმენტებითა და უკვე ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებშიც.<sup>45</sup>

ქართულ-აფხაზური, პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის ფორმატ(ებ)ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება რუსულ პროპაგანდასთან/დეზინფორმაციასთან გამკლავება, რადგან რუსეთი აუცილებლად ეცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს პირდაპირი დიალოგის პროცესი და ხაზი გაუსვას კონფლიქტში მისი როლის უბრალოებას. ეს უკანასკნელი ვერ მოხერხდება, თუკი ქართულ მხარეს კონკრეტული წარმოდგენა ექნება დიალოგის ორმხრივი ფორმატის მასშტაბსა და მიზანზე, პროცესი შეთანხმებული იქნება პოლიტიკურ ელიტასთან და იარსებებს შიდა პოლიტიკური კონსენსუსი მსგავსი ფორმატით მუშაობასთან დაკავშირებით.

საინტერესოა, რომ რუსეთის როლის მიღმა, საუბარი შეეხო მმართველი პოლიტიკური ელიტის დაბნეულობასა და ქართულ-აფხაზურ კონტექსტთან დაკავშირებით ცვლილების ინიცირების შიშს. დაბნეულობა და შიში მძაფრდება პოლიტიკური პოლარიზაციის ხარისხის ზრდით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დიალოგის ორმხრივი ფორმატის ამუშავება შიდა პოლიტიკური დავის „მძევალი“ არ გახდეს და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა მოძებნონ რესურსი, საკითხს რაციონალურად, პარტიული დაპირისპირებისგან დაცლილი დამოკიდებულებით შეხედონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულ-აფხაზური პირდაპირი, ორმხრივი დიალოგისგან თავის შეკავება პასუხისმგებლობის აღების შიშს უფრო დაუკავშირდება როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პოლიტიკური ელიტისგან, ვიდრე პირდაპირი დიალოგის წარმოებასთან ასოცირებულ რაციონალურ საფრთხეებს.

### პირდაპირი დიალოგი – თვითმიზანი თუ საჭიროება?

ქართულ-აფხაზურ დიალოგის საჭიროებაზე პასუხები ერთმნიშვნელოვნად დადებითია. თუმცა საინტერესოა, სათანადოდ არის თუ არა გააზრებული პირდაპირი დიალოგის მნიშვნელობა. მაგალითად, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სწორედ ორმხრივი დიალოგის არაფორმალური ან კვაზი ფორმალური ფორმატებია რეალური ცვლილების მომტანი როგორც საქმეში, ისე ურთიერთობაში.<sup>46</sup> ასევე აღინიშნა, რომ პოლიტიკა დინამიკუ-

<sup>44</sup> ინტერვიუ №01, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

<sup>45</sup> Association Agreement between the EU and Georgia: European Implementation Assessment (Update). European Parliamentary Research Service. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/34GiP40>

<sup>46</sup> ინტერვიუ №06, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი.

რი, მუდმივად ცვლადი პროცესია და ჩარჩოებს მიღმა ფიქრსა და კრეატიულ აზროვნებას საჭიროებს.<sup>47</sup> შესაბამისად, რაც არ უნდა შეუძლებლად გვეჩვენებოდეს არსებულ კონტექსტში პირდაპირი დიალოგის პროცესი, აუცილებელია, საკითხს სტრატეგიულად და მასშტაბურად შევხედოთ და მხოლოდ არსებული სტატუს-ქვოს ტყვეობაში არ ვიყოთ.

აღსანიშნავია რამდენიმე მიზეზი/მოტივაცია, რომელიც ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მხრიდან დასახელდა, როგორც პირდაპირი, ორმხრივი დიალოგის საჭიროების დასაბუთება.

პირველი საკითხი ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის გაუცხოების მზარდი პროცესია. აღინიშნა, რომ ორმხრივი დიალოგი საზოგადოებებს შორის სოციალური კავშირებისა და ნდობის აღდგენის კარგი შესაძლებლობა იქნება.<sup>48</sup> ამის გარდა, ორმხრივი დიალოგი შესაძლებლობას მისცემს ქართულ მხარეს, აფხაზეთში რუსული გავლენა დააბალანსოს.<sup>49</sup> საინტერესოა, რომ ქართული პერსპექტივიდან, დიალოგით აფხაზური მოქმედი პოლიტიკური ელიტის დაინტერესებაც რუსეთის გავლენის დაბალანსების მოტივაციით აიხსნება. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა რუსული ფინანსური მხარდაჭერა იკლებს.<sup>50</sup> ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რუსული ფინანსების იმედით ვერც ბჟანია და მისი გუნდი მოახერხებს საზოგადოებისთვის მიცემული დანაპირების შესრულებას, შესაბამისად, მათი რაციონალური ინტერესია ქართულ მხარესთან დიალოგი და ამით ახალი გზების გაჩენა აფხაზური დე-ფაქტო სახელმწიფოს ბიუჯეტის შესავსებად და საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო ინიციატივების მხარდასაჭერად.

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ მხარესაც კარგად ესმოდეს ორმხრივი, პირდაპირი დიალოგის საჭიროება, მისი სტრატეგიული მნიშვნელობა და გამოწვევები, რომელთაც გამკლავება პროცესის ორგანული ნაწილი გახდება. აუცილებელია, რომ დიალოგის პროცესში საზოგადოებაში ნდობისა და გავლენის მქონე ადამიანები ჩაერთონ და დიალოგის ფორმატი პოლიტიკური ელიტის უმრავლესობის მიერ იყოს მონონებული.

დიალოგის ორმხრივი ფორმატ(ებ)ის ჩამოსაყალიბებლად რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელია. პირველი, მკაფიო და შინაარსობრივი საპასუხო მესიჯები ქართულ-აფხაზური ორმხრივი დიალოგის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ, მათ შორის კონკრეტული არაფორმალური ფორმატის შეთავაზება. მეორე, საერთაშორისო პარტნიორების რესურსის გამოყენება ორმხრივი, პირდაპირი დიალოგის ფორმატის შესაქმნელად, რის ფარგლებშიც დღის წესრიგის განსაზღვრის პრეროგატივა ქართველებსა და აფხაზებს ექნებათ. მესამე, აფხაზების კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ აღიარება და ქართული საზოგადოებისთვის მათთან პირდაპირი დიალოგის მნიშვნელობის ახსნა. მეოთხე, პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილის კონსოლიდირება დიალოგის ფორმატსა და მის სტრატეგიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

<sup>47</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი.

<sup>48</sup> ინტერვიუ №03, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

<sup>49</sup> ინტერვიუ №02, ექსპერტი, ყოფილი პოლიტიკოსი.

<sup>50</sup> Abkhazia 'has not received' Russian funding for 6 months. OC-Media. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3oH9IYA>

## დასკვნა

საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებს აქვთ ეთნიკური, პოლიტიკური და გეო-პოლიტიკური განზომილებები. რა თქმა უნდა, მსჯელობა მასზე თუ რომელი განზომილებაა წამყვანი და გადამწყვეტი არ არის სწორხაზოვანი. თუმცა მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ კონტექსტის ცვლილებასთან ერთად იცვლება განზომილების უპირატესობის აღქმაც. 2008 წლიდან, წამყვანი პოლიტიკური, ქართულ-რუსული განზომილებაა, რამაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობა და ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული დაპირისპირება ჩრდილქვეშ მოაქცია. შესაბამისად, შეიქმნა და გამყარდა მოსაზრება, რომ აფხაზებთან პირდაპირ ლაპარაკს აზრი არ აქვს, რადგან ოკუპირებულები არიან. თუმცა, ამის პარალელურად ასევე ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ არც რუსებს უნდა ველაპარაკოთ, რადგან ოკუპანტები არიან. შედეგად შეიქმნა გაუგებარი მოცემულობა როგორც პოლიტიკური ელიტის, ისე სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რადგან ბუნდოვანია ვის უნდა/შეიძლება ვესაუბრობოდეთ კონფლიქტ(ებ)ის შესახებ ორმხრივ ფორმატში და რატომ.

მიუხედავად იმისა, რამდენად მგრძნობიარე და წინააღმდეგობრივი საკითხია ქართველებსა და აფხაზებს შორის პირდაპირი დიალოგის განვითარების საკითხი, აუცილებელია, კომპრომისული ვერსიის მოძებნა და თანამშრომლობა. არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, გასაგებია, რომ დიალოგის ფორმატ(ებ)ი უნდა იყოს რეალური, დაფუძნებული გაზიარებულ ხედვასა და საჭიროებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ორმხრივი დიალოგი იყოს კომპრომისული ფორმატი, დაფუძნებული ურთიერთპატივისცემასა და ერთმანეთის საჭიროებების აღიარებაზე. აუცილებელია, რომ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ორმხრივი და პირდაპირი დიალოგი სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობდეს და სახალხო დიპლომატიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების გარდა, პოლიტიკური ელიტები და გადამწყვეტილების მიმღები პირებიც ესაუბრობდნენ ერთმანეთს.

## საქართველოს პარლამენტის როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში გიორგი მოღვაძე

პარლამენტს, როგორც ხალხის მანდატით აღჭურვილ უნიკალურ წარმომადგენლობით ორგანოს, მთავარი როლი უკავია ქვეყნის მმართველობის ნებისმიერ სფეროში. პარლამენტის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ საზოგადოებაში, სადაც ის პირდაპირ მონაწილეობს მშვიდობის მშენებლობის პროცესში, განსაზღვრავს რა ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკას და ზედამხედველობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ეწევა კანონმემოქმედებით საქმიანობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, მუშაობს პოსტკონფლიქტური უსაფრთხოების, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ირგვლივ. პარლამენტს შეუძლია მშვიდობის მშენებლობის პროცესის წახალისება ნორმატიული, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჩიხურ ვითარებაში აქტიური ნაბიჯების გადადგმასა და პოტენციური კონფლიქტების თავიდან აცილებას. ამასთან, პარლამენტი წარმოადგენს სათათბირო სივრცეს, სადაც მიიღება კანონმდებლობა, რომელიც ქმნის მტკიცე სამშვიდობო ინიციატივების გარემოს.

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან საქართველოში ეტაპობრივად დამკვიდრდა საპარლამენტო მმართველობის სისტემა და კიდევ უფრო გაიზარდა ქვეყნის მთავარი წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილება, საქართველოს პარლამენტმა დღემდე ვერ მიიღო გადამწყვეტი როლი ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით. დიდწილად, ამის შედეგია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდან დღემდე, ქართული სახელმწიფო ვერ ახერხებს თანმიმდევრული მიდგომის დანერგვასა და ეფექტური სამშვიდობო პოლიტიკის გატარებას.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით, დღემდე სერიოზულ გამოწვევად რჩება ქვეყანაში განვითარებული სამშვიდობო პროცესების არათანმიმდევრულობა, შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა, კონფლიქტ-სენსიტიური თემების ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენების მანკიერი პრაქტიკა და, განსაკუთრებით, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დაბალი ჩართულობა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის განსაზღვრაში.

მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით არსებული ინსტიტუციონალური გამოწვევების გააზრება და ხარვეზების აღმოფხვრა ამოსავალი წერტილია კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და წარმატებული სამშვიდობო პოლიტიკის წარმოებისთვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მიმართულებით ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის განსაზღვრაში პარლამენტის დაბალი ჩართულობა წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომი გახლავთ კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით საქართველოს პარლამენტის როლის გადააზრების მცდელობა. მისი მთავარი მიზანია, აღნიშნული კუთხით, საქართველოს პარლამენტის წინაშე მდგარი გამოწვევების ანალიზი და საკანონმდებლო ორგანოს როლის გაზრდის საშუალებათა მიმოხილვა. ამასთან, ნაშრომში შესწავლილია კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით საპარლამენტო

მენტო საქმიანობის უკრაინული გამოცდილება და წარმოადგენილია კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით არსებულ მთავარ ინსტიტუციონალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

სტრუქტურულად, ნაშრომი ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი ეთმობა თეორიული ჩარჩოს შექმნას კონფლიქტების ტრანსფორმაციის პარადიგმის ასახვას და, კონფლიქტების მართვისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში პარლამენტის როლის გასაანალიზებლად; მეორე ნაწილი დაკავშირებულია კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით საპარლამენტო საქმიანობის უკრაინული გამოცდილების შესწავლასთან; მესამე ნაწილი ფოკუსირებულია სხვადასხვა ხელისუფლების დროინდელი ქართული სამშვიდობო პოლიტიკის გამოწვევების გაანალიზებაზე, განსაკუთრებული აქცენტით საქართველოს პარლამენტზე, მის როლზე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში; მეოთხე ნაწილში შემოთავაზებულია ხედვა, კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის ფუნქციების გასაზრდელად, მის გარდასაქმნელად ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ ინსტიტუტად.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი სამაგიდო კვლევა. კვლევამ მოიცვა აკადემიური პუბლიკაციებისა და სახელმწიფო უწყებების ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლა. მეორადი მონაცემების მოძიების შედეგად, დამუშავდა როგორც კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხის ირგვლივ არსებული აკადემიური მასალა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში პარლამენტის როლის შესახებ მოპოვებული სამეცნიერო ლიტერატურა, ისე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა. კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით პოსტ-საბჭოთა პრაქტიკის გასაცნობად დამუშავდა საერთაშორისო კვლევები და უკრაინის პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და დასკვნების შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, ნაშრომის ბოლო ნაწილშია მოცემული.

## კონფლიქტის ტრანსფორმაცია და პარლამენტის როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში

კონფლიქტის ტრანსფორმაცია მასში ჩართულ ადამიანებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთობების იმგვარ ცვლილებას გულისხმობს, რომლის შედეგადაც მხარეებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთდამოკიდებულება ყალიბდება. განსხვავებით კონფლიქტის მოგვარების კომპლექსური პროცესისა, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზანი არა დიალოგის გზით დაპირისპირების შეჩერება და კონფლიქტში ჩართული ყველა მხარისთვის მისაღები პოლიტიკური გამოსავლის პოვნა, არამედ კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების აღქმებისა და დამოკიდებულებების შეცვლაა.<sup>1</sup>

განმარტების თანახმად, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზანი ორმხრივად

<sup>1</sup> Lederach, John Paul, *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies*, Washington, D.C: United States Institute of Peace Press, 1997, pp. 23-25.

ყალიბდება: ერთი მხრივ, აღნიშნულმა პროცესმა უნდა უზრუნველყოს კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოება და კეთილდღეობა და, მეორე მხრივ, კონფლიქტის მხარეთა შორის ურთიერთობა.<sup>2</sup>

კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა ინკლუზიური პროცესია. გარდაქმნის ან ხელშესახები ცვლილებების მისაღწევად, აუცილებელია პროცესში როგორც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების, ისე სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მაღალი ჩართულობა, საზოგადოების შიდა ვერტიკალის აქტიური მუშაობა. პროცესის ნარმატივისთვის აუცილებელია გადანყვეტილების მიმღები პირების, საშუალო დონისა და ქვედა დონის ლიდერების აქტიური თანამონაწილეობის უზრუნველყოფა.<sup>3</sup>

ინდივიდუალურ და ურთიერთობათა დონეზე ცვლილებების მიღწევასთან ერთად, კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის, საზოგადოებაში სტრუქტურული გარდაქმნის უზრუნველყოფაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოების შიგნით მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით მომუშავე კონკრეტული სტრუქტურების მოქნილობისა და მდგრადობის გადაფასება.<sup>4</sup>

დეპუტატებს, როგორც ხალხის დემოკრატიულად არჩეულ წარმომადგენლებს, გააჩნიათ უნიკალური პოზიცია თავიანთ საზოგადოებაში სამშვიდობო პროცესების ქვემოდან სახელმძღვანელოდ და, ამგვარად, კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი წინაპირობის შესაქმნელად – უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ფართო საზოგადოებისათვის მეტად ღიაა, ვიდრე აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლება. ზოგადად, საკანონმდებლო ორგანო ახდენს კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაციას, მოიცავს საზოგადოების განსხვავებულ სექტორებს და ასახავს მრავალფეროვან შეხედულებებს. პარლამენტის წევრებს შეუძლიათ კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებებისა და სამშვიდობო პოლიტიკის მიზნების ირგვლივ ეროვნული კონსენსუსის განმტკიცებით, ეროვნული პოლიტიკური დიალოგის წარმოების გზით.<sup>5</sup>

დეპუტატის მანდატი უნიკალურია კონფლიქტის პრევენციისა და შერიგების მიმართულებით, რაც კონფლიქტიდან მშვიდობისა და სტაბილურობისკენ გადასვლის თანმიმდევრული პროცესის შემადგენელი აუცილებელი ნაწილია. იმის გათვალისწინებით, რომ, ხშირად, კონფლიქტების გამომწვევ ძირითად მიზეზებს აქეზებს კონსტიტუციური თუ საარჩევნო სისტემების ხასიათი, მათი არაეფექტური მოქმედება და საჯარო რესურსების არასათანადოდ ან ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, დეპუტატები აღჭურვილნი არიან კონფლიქტის წამახალისებელ გარემოებებთან გასამკლავებელი ინსტრუმენტებით, კონფლიქტის საწყის ეტაპზე შემაკავებელი მექანიზმებით. იმ შემთხვევებისათვის, როცა ვერ ხერხდება კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებთან დროულად გამკლავება, დეპუტატებს გააჩნიათ დამატებითი ინსტიტუციური შესაძლებლობები ძალადობრივი კონფლიქტიდან მშვიდობისაკენ გადასვლის მიზანმიმართულ პროცესში აქტიურად ჩასართავად, რომელთაგანაც გამოსარჩევია დიალოგისათვის ფორუმის შექმნა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობა სამშვიდობო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრასა და შესაბამისი რესურსების გამოყენებაში.<sup>6</sup>

აკადემიურ სფეროში კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში პარლამენტის როლის საკითხზე მომუშავე მკვლევრები წარმოგვიდგენენ

მრავალფეროვან მექანიზმებს, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს გააჩნია კონფლიქტების პრევენციისა და სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. პარლამენტართა საქმიანობის სამი ტრადიციული, ძირითადი მიმართულება, რომელთაგან თითოეულს აქვს შესაძლებლობათა განსაკუთრებული რიგი კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით, უკავშირდება საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლობით ფუნქციას, საპარლამენტო ზედამხედველობის გზით აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს და კანონშემოქმედებით საქმიანობას. დამატებით, დარგის ექსპერტები გამოყოფენ საქმიანობის კიდევ ერთ მიმართულებას – საპარლამენტო დიპლომატიას, რაც პარლამენტარებს კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში აქტიური მუშაობის საშუალებას აძლევს.<sup>7</sup>

იმისათვის, რომ პარლამენტი იქცეს მეტად წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო გახდეს ფორუმი, რომელსაც შეუძლია კონფლიქტის ტრანსფორმაცია მისი პრევენციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნითა თუ უკვე არსებულ გამონვევებთან გამკლავებით, პარლამენტმა უნდა ასახოს საზოგადოების განსხვავებული ინტერესები და უზრუნველყოს, რომ მისი მუშაობა პასუხობდეს სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ საჭიროებებს. მრავალფეროვანი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფის მთავარი საშუალება ამომრჩეველთან, დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედიასთან აქტიური თანამშრომლობაა. ამასთან, წარმომადგენლობის გასაზრდელად აუცილებელია აღნიშნულ პროცესში უმცირესობათა ჯგუფებისა და ქალთა ჩართულობის მაქსიმალურად გაზრდა.<sup>8</sup>

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა მოიცავს საპარლამენტო ზედამხედველობას. პარლამენტს ეკისრება აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის პასუხისმგებლობა, რათა უზრუნველყოს შესაბამისი ინსტიტუტების ანგარიშვალდებულება მათ მიერ გატარებული პოლიტიკისა და ცალკეული ქმედებებისთვის. აღნიშნული ფუნქციის განხორციელების მთავარ მექანიზმს წარმოადგენს დეპუტატთა საკომიტეტო და საკომისიო საქმიანობა, მათ შორის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების, პირების სხდომებზე მინვევით. დამატებითი ინსტრუმენტებია პარლამენტის წევრის კითხვა, ასევე, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა და განხილვა, ინტერპელაცია, მინისტრის საათი, თემატური მოკვლევა, პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი.<sup>9</sup>

კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებაში წარმატებული სამშვიდობო პოლიტიკის გასატარებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება. კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა შემოიფარგლება არა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივების დამტკიცებით, არამედ ითვალისწინებს პარლამენტის მიერ ახალ კანონმდებლობაზე აქტიურად მუშაობის აუცილებლობას. პარლამენტარებს შეუძლიათ პოზიტიური ზენოლა განახორციელონ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებების, გაეროს რეზოლუციების ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის გზით. კანონშემოქმედებითი მიმართულებით პარლამენტის მუშაობის გაძლიერების საფუძველი ბიუროს სხდომებზე,

საკანონმდებლო საქმიანობის დღის წესრიგის განსაზღვრისას, სამშვიდობო პოლიტიკის პრიორიტეტების ზუსტი ასახვაა. კანონშემოქმედებითი საქმიანობის გასაძლიერებლად ეფექტურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს დებატები მთავრობის ინიციატივებზე, აქტებსა და ანგარიშებზე, აგრეთვე პარლამენტის წევრთა მიერ საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივების წარმოდგენა.<sup>10</sup>

საპარლამენტო დიპლომატია პარლამენტის საქმიანობის დამატებითი მიმართულებაა, რომელიც დეპუტატებს სამშვიდობო პროცესებში აქტიურად ჩართვის საშუალებას აძლევს. კონფლიქტების ტრანსფორმაციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო-საპარლამენტო ქსელებში, ალიანსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობით, რეგიონალურ და საერთაშორისო პარლამენტთაშორის დიალოგებში ჩართვით, პარლამენტარებს შეუძლიათ ცოდნის, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა. ამგვარი ფორუმებისა თუ ორმხრივი საპარლამენტო კონტაქტების მეშვეობით, პარლამენტის წევრებს, ასევე ხელწინფებათ კოლექტიური კომუნიკაცია ან განცხადების შემუშავება და ხელმოწერა, სადაც მთავრობებს მოუწოდებენ, მიიღონ ზომები კონფლიქტების ტრანსფორმაციის ძირითადი ასპექტების ირგვლივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.<sup>11</sup>

## კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით საპარლამენტო საქმიანობის უკრაინული გამოცდილება

წლების განმავლობაში, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სამშვიდობო პროცესების ძირითად მიმართულებას ხელისუფლების აღმასრულებელი შტო განსაზღვრავდა, პარლამენტის საქმიანობა კი მეორეხარისხოვანი როლით შემოიფარგლებოდა. კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით, ვითარება ძირეულად არც დღეისთვისაა შეცვლილი. გამონაკლისს წარმოადგენს უკრაინა, სადაც საკანონმდებლო ორგანო აქტიურ როლს ასრულებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის გზაზე – როგორც კონფლიქტის პრევენციის, ისე მშვიდობისა და სტაბილურობისკენ გადასვლის თანმიმდევრულ პროცესში.<sup>12</sup>

მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, უკრაინის პარლამენტის განსაკუთრებული როლი მრავალწლიანი წარმატებული საპარლამენტო პრაქტიკის გეგმაზომიერი შედეგია. აღნიშნული პერიოდის სანჯისი წლები ხასიათდებოდა პარლამენტის დომინირებით სუსტ საპრეზიდენტო ინსტიტუტზე, შემდგომი წლების განმავლობაში კი უკრაინის უმაღლესმა რადამ წარმატებით განახორციელა რამდენიმე არაკონსტიტუციური მცდელობის პრევენცია და ქვეყნის პრეზიდენტს არ მისცა საკუთარი უფლებამოსილების გაზრდის საშუალება. შედეგად, უმაღლესი რადა მთავარ როლს ასრულებს უკრაინაში კონფლიქტების პრევენციისა და მართვის, სამშვიდობო დიალოგის წარმოების, ნდობის აღდგენისა და გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობის პროცესებში.<sup>13</sup>

<sup>10</sup> იქვე, გვ. 22-30.

<sup>11</sup> International Parliamentary Conference on Peacebuilding: Tackling State Fragility, Toolkit for Parliamentarians, p. 15.

<sup>12</sup> Smilov Daniel & Kolarova Rumyana, "Parliaments in Conflict and Post-Conflict Situations: Lessons Learned from Eastern Europe and the Commonwealth of Independent States," Democratizing Security in Transition States, Findings, Recommendations and Resources from the UNDP/DCAF Roundtable for CIS Parliamentarians, Prague, 2005, pp. 38-57. იხ. <https://www.un.org/ruleoflaw/files/FA70484D-F203-1EE9-B20B2E482E43F39E.pdf>

<sup>13</sup> Smilov Daniel & Kolarova Rumyana, "Parliaments in Conflict and Post-Conflict Situations: Lessons Learned from

კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მთავარ მექანიზმს უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში საკომიტეტო და საკომისიო საქმიანობა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხებზე, ძირითადად, მუშაობს უკრაინის უმაღლესი რადის ადამიანის უფლებების, დეოკუპაციის და დონეცკში, ლუგანსკის ოლქსა და ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ სევასტოპოლში დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის, ეროვნული უმცირესობებისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტი.<sup>14</sup> ამასთან, გამოსარჩევია საგარეო პოლიტიკისა და საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის და ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და დაზვერვის კომიტეტის ზემოთ ნახსენები მიმართულებით საქმიანობაც. აღსანიშნავია უკრაინის უმაღლესი რადის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და უკრაინის სუვერენიტეტის უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების დროებითი სპეციალური კომისიის მანდატიც.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით, უკრაინის უმაღლესი რადის მუშაობის პროცესში განსაკუთრებით წარმატებული რგოლია საპარლამენტო ზედამხედველობა, რაც, ძირითადად, ხორციელდება მთავრობის ანგარიშების მოსმენისა და განხილვის, ინტერპელაციის, პარლამენტის წევრის კითხვის გზით. დასამატებელია უმაღლესი რადის საპარლამენტო დიპლომატიის მნიშვნელოვანი როლიც. უკრაინელი კანონმდებლები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო საპარლამენტო ორგანიზაციების, რადას მუდმივმოქმედი დელეგაციების, პარლამენტაშორისი ასამბლეების, ორმხრივი პარლამენტაშორისი კომისიისა და უცხო ქვეყნებთან პარლამენტაშორისი ურთიერთობების დეპუტატთა ჯგუფის საქმიანობაში.<sup>15</sup>

კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით, უკრაინაში სამშვიდობო პროცესების მთავარ გამონვევას ინკლუზიურობის დაბალი მაჩვენებელი წარმოადგენს. საჯარო ინფორმაციისა და ჩართულობის ფორუმების ნაკლებობამ გააფართოვა ნაპრალი ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სხვადასხვა აქტორებს, პირველ რიგში, ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგორცაა პარლამენტი და სამოქალაქო საზოგადოება. ინკლუზიურობის დაბალ მაჩვენებელთან ერთად, სერიოზულ გამონვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უკრაინელი დეპუტატების დიდ ნაწილს არ აქვს სამშვიდობო პროცესების მკაფიო სტრატეგიული გაგება – არსებითი ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ტრანსფორმირდეს კონფლიქტი, წარიმართოს შედეგის მომტანი სამშვიდობო მოლაპარაკებები, ინარმოოს ეროვნული დიალოგი ან იმართოს შერიგების პოლიტიკა.<sup>16</sup>

აღნიშნულ გამონვევებთან გასამკლავებლად, აუცილებელია ყოველსმომცველ სამშვიდობო პროცესში მრავალმხრივი კომუნიკაციისა და საზოგადოებრივი ჩართულობის Eastern Europe and the Commonwealth of Independent States,” Democratising Security in Transition States, Findings, Recommendations and Resources from the UNDP/DCAF Roundtable for CIS Parliamentarians, Prague, 2005, pp. 38-57. იხ. <https://www.un.org/ruleoflaw/files/FA70484D-F203-1EE9-B20B2E482E43F39E.pdf>.

<sup>14</sup> უკრაინის უმაღლესი რადის ადამიანის უფლებების, დეოკუპაციის და დონეცკში, ლუგანსკის ოლქსა და ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ სევასტოპოლში დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის, ეროვნული უმცირესობებისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის დებულება, იხ. [http://kompravlud.rada.gov.ua/news/Pro\\_komitet/pred\\_vidan/72608.html](http://kompravlud.rada.gov.ua/news/Pro_komitet/pred_vidan/72608.html)

<sup>15</sup> უკრაინის უმაღლესი რადის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, იხ. <https://www.rada.gov.ua/en>

<sup>16</sup> Cristescu Roxana, The challenge of inclusiveness in the peace processes in Ukraine, Background Paper, Civil Society Dialogue Network, Vienna, 2017, pp. 3-7, იხ. <http://eplo.org/wp-content/uploads/2018/04/PUBLIC-VERSION-CSDN-Background-Paper-The-challenge-of-inclusiveness-in-the-peace-process-in-Ukraine.pdf>

ელემენტების უზრუნველყოფა. ამგვარად, საკანონმდებლო ორგანოსთვის შესაძლებელი გახდება საზოგადოებრივი აზრისა და საჯარო ინსტიტუტების, როგორც მშვიდობის მშენებლობის პროცესის უზრუნველყოფის, ეფექტური განხორციელებისა და მდგრადობის მთავარი დაინტერესებული მხარეების, მხარდაჭერის მიღწევა.<sup>17</sup>

## საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა

შეირაღებული კონფლიქტების დასრულების შემდეგ, საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო. მშვიდობის დამყარების, ნდობის აღდგენის, შერიგებისა და ქვეყნის გაერთიანების მიმართულებით მუშაობის დაწყებას ართულებდა მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის გამოსარჩევია, ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა, ბრძოლა ძალაუფლებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოშლა, რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო საზოგადოების დაბალი ინტერესი რეგიონის მიმართ.

საკითხზე მომუშავე ექსპერტები ქართულ სახელმწიფოში განვითარებულ სამშვიდობო პროცესებში სამ ძირითად ეტაპს გამოყოფენ. პირველი პერიოდი დაკავშირებულია პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლებასთან და ის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებების დასრულებიდან 2003 წლამდე გრძელდება. აღნიშნულ პერიოდში, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის დაბალი ინტერესის გამო, ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევები გლობალურ დღის წესრიგში ნაკლებად აღწევდა. შედეგად, 1993-1994 წლებში საქართველოში დაწყებული სამშვიდობო პროცესი ლოკალიზდა და ქვეყნის შიგნით ნაკლებად კვალიფიციურ ანალიზსა თუ კონკრეტული ჯგუფების ინტერესებზე გახდა მორგებული ნაცვლად იმისა, რომ კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართული მცდელობები პლურალისტურ გარემოში, საზოგადოების მაღალი ჩართულობით წარმართულიყო.<sup>18</sup>

საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო პროცესები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თითქმის პარალელურად დაიწყო, 1992-2003 წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მიმართულებით იქნა მიღწეული. თემის მკვლევრები აფხაზეთში სამშვიდობო პროცესების წარუმატებლობას, ძირითადად, განსხვავებული კოლექტიური მეხსიერების არსებობით, პოლიტიკური ელიტების არაერთგვაროვანი ამბიციებითა და სხვადასხვა მასშტაბის პერიოდული პროვოკაციებით ხსნიან.<sup>19</sup>

საქართველოში სამშვიდობო პროცესების მეორე პერიოდის დაწყება დაკავშირებულია 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლების შეცვლასთან. პრეზიდენტი სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან დაინტერესდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით. მიუხედავად პირვანდელი ოპტიმიზმისა, რასაც ზურგს რამდენიმე სერიოზული ფაქტორი უმყარებდა, საყოველთაო შეფასებით, 2004-2012 წლები საკმაოდ კომპლექსური გამოდგა მშვიდობის მშენებლობის მიმარ-

<sup>17</sup> იქვე, გვ. 7-8.

<sup>18</sup> აბრამაშვილი ივანე & ქოიავა რევაზ, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, თბილისი, 2018, გვ. 15-23.

<sup>19</sup> აბრამაშვილი ივანე & ქოიავა რევაზ, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, თბილისი, 2018, გვ. 15.

თულებით. დღევანდელი გადმოსახედიდან, ექსპერტები სააკაშვილის ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას სამ ეტაპად ყოფენ: 2004-2006 წლები, როცა აფხაზეთისა და სამხეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებთან ორმხრივი მუშაობის შედეგად ქართულ-მა სახელმწიფომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია; 2006-2008 წლები, რომელიც გამოირჩევა ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვით რუსეთსა და საქართველოს შორის, რომლის კულმინაციაც გახლდათ ომი ორ სახელმწიფოს შორის 2008 წელს; 2008-2012 წლები, როდესაც სამშვიდობო ფორმატმა სრულად ქართულ-რუსულ ჭრილში გადაინაცვლა მას შემდეგ, რაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადდა.<sup>20</sup>

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტების მარტივად მოგვარების ზერელე განცდამ და რუსეთის აგრესიულმა საგარეო პოლიტიკამ, რის კულმინაციასაც წარმოადგენდა სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია მეზობელ სახელმწიფოში, ფუნდამენტურად შეცვალა საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის კონფიგურაცია სააკაშვილის მმართველობის წლებში. რუსეთი წარმოსახვითი შუამავლიდან კონფლიქტის მხარედ წარმოგვიდგა, აღიარა რა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. შედეგად, საქართველოს ხელისუფლებას საგრძნობლად შეეზღუდა მანევრირების სივრცე, საკუთარი დღის წესრიგით მოქმედების შესაძლებლობა და ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკაზე მუშაობა რეაქციულ, კრიზისულ რეჟიმზე გადავიდა.<sup>21</sup>

მესამე ეტაპი ქართულ სამშვიდობო პოლიტიკაში დაიწყო 2012 წელს „ქართული ოცნების“ კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლით. საკითხის მკვლევართა შეფასებით, „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე აცნობიერებდა საკითხის სირთულეს, რისი შედეგიც იყო კოალიციის სამშვიდობო ხედვების წინამორბედი მთავრობისგან ნაკლებად ამბიციური, თუმცა პრაგმატული ხასიათი.<sup>22</sup>

ზოგადი შეფასებით, როგორც „ქართული ოცნების“ კოალიციური მთავრობის, ისე პარტიის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ხელისუფლებაში ყოფნის 8-წლიანი პერიოდის სამშვიდობო პოლიტიკა ხელშესახები შედეგების გარეშე დასრულდა. ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებული პარტიის მთავარი მონაპოვარი ნეგატიურ მშვიდობაში, დაძაბულობის დეესკალაციასა და ახალი კონფლიქტის პრევენციაში გამოიხატა, რაც, უმეტესწილად, გამოიწვია ახალი გარემოებების წარმოქმნამ – საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა სულ უფრო დაშორდა თბილისს და გადაინაცვლა ფართო რეგიონულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში.<sup>23</sup>

შედეგად, ცხადი გახდა, რომ არსებული სამშვიდობო ფორმატი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის საქართველოს ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტას. აუცილებელია საკითხის ახალი პარადიგმიდან დანახვა, ახალი მიდგომის განვითარება ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების უკეთ განსასაზღვრად, რისთვისაც კონფლიქტის ტრანსფორმაციის ცნება და საპარლამენტო საქმიანობის გააქტიურება იდეალური საშუალებაა.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 23-40.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 40-44.

<sup>23</sup> აბრამაშვილი ივანე & ქოიავა რევაზ, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, თბილისი, 2018.

## კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში და აღნიშნულ პროცესში საქართველოს პარლამენტის როლი

საკითხის სპეციალისტები კონფლიქტების ტრანსფორმაციას ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში შემდეგნაირად განმარტავენ:

*პოლიტიკურად გადაუჭრელი/მოუგვარებელი კონფლიქტ(ებ)ის არსებობის პირობებში კონფლიქტის ტრანსფორმაცია არის ინდივიდუალურ, ურთიერთობით და სტრუქტურულ დონეზე ცვლილებები როგორც კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის, ისე კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესების მიმართულებით.<sup>24</sup>*

როგორც განმარტებიდან ჩანს, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა მოიცავს როგორც საზოგადოებებს შიგნით განსახორციელებელ საქმიანობას, ისე მხარეთა შორის ურთიერთქმედების დროს მიღწევად ცვლილებებს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროცესის წარმატებისათვის საჭიროა ცვლილებების მიღწევა ინდივიდუალურ, ურთიერთობით და სტრუქტურულ დონეზე.

ინდივიდუალურ დონეზე ცვლილებების მიღწევა მოითხოვს საზოგადოებებს შიგნით მუშაობასა და დამოკიდებულებების, დისკურსის, ერთმანეთის შესახებ მიღებული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრებას. ურთიერთობით დონეზე ცვლილებების მისაღწევად აუცილებელია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის ყველა ფორმატის შეფასება და მხარეთა მიერ ერთმანეთის ქცევების, ინტერესების, პირისპირ შეხვედრებზე ნამოყენებული საკითხების გაანალიზება. რაც შეეხება სტრუქტურულ დონეზე ცვლილებების მიღწევას, ამისათვის შესაფასებელია ყველა სტრუქტურა, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია კონფლიქტების დარეგულირებასა და მშვიდობის მშენებლობასთან. შედეგად, კრიტიკულად გადასახედი და შესაცვლელია გარკვეული პრინციპები, ღირებულებები და სტრატეგია, რომელსაც აღნიშნული სტრუქტურების საქმიანობა ეფუძნება.<sup>25</sup>

ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში არ გვხვდება კონფლიქტისა და ურთიერთობის ტრანსფორმაციის განერილი ხედვა და სტრატეგია, ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში კი, დიდწილად, მხოლოდ მეორე რგოლის, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები არიან ჩართულნი. შედეგად, შიდა ვერტიკალი, რომელიც მთავრობის – პოლიტიკური ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვედა დონის ლიდერების – მოსახლეობისაგან შედგება, ნაკლებად კოორდინირებულად მუშაობს.<sup>26</sup> აღ-

<sup>24</sup> ჭანკვეტაძე ნათია, კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში, გვ. 12.

<sup>25</sup> ჭანკვეტაძე ნათია, კონფლიქტის ტრანსფორმაცია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში, გვ. 13.

<sup>26</sup> იქვე.

ნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება, პირველ რიგში, კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით საპარლამენტო საქმიანობის გააქტიურებითაა შესაძლებელი.

1990-იანი წლების დასაწყისიდან, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონფლიქტების დასრულების შემდეგ, საქართველოს ოფიციალური სამშვიდობო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას სრულად ხელმძღვანელობდა ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება. 1993-2012 წლებში, სახელმწიფოში სამშვიდობო პროცესების ძირითად მიმართულებას განსაზღვრავდნენ ქვეყნის პრეზიდენტები ან მათი მრჩეველები. ვითარება რადიკალურად არც მას შემდეგ გარდაქმნილა, რაც 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით საქართველო მმართველობის ახალ სისტემაზე გადავიდა და 2018 წლის ბოლოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილების შედეგად გაიზარდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს პარლამენტის როლი, საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტის რეფორმით კიდევ უფრო გაფართოვდა საპარლამენტო ფუნქციები და დაინერგა ეფექტური მექანიზმები პარლამენტის საკანონმდებლო, საზედამხებველო და წარმომადგენლობითი საქმიანობის განსახორციელებლად, უფლებამოსილების გაზრდა არ გამოხატულა პარლამენტის სამშვიდობო პოლიტიკის ფორმირების მიმართულებით მთავარ სახელმწიფო ინსტიტუტად გარდაქმნაში.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით პარლამენტის დაბალი ჩართულობის გარდა, აღსანიშნავია რიგი ინსტიტუციონალური გამოწვევებისა, რომელთაც საქართველოში კონფლიქტების მართვის პროცესში ჩართული სახელმწიფო აქტორების როლის გააზრება წარმოაჩენს. გამოსარჩევია ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების საქმიანობის თანხვედრის პრობლემა, გამოხატული მათს შორის კომუნიკაციის ნაკლებობით. ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტი ნაკლებად არის წარმოდგენილი კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში უკვე აღინიშნა, სამთავრობო ინსტიტუტებს, ძირითადად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს კი, ცალკეული დღის წესრიგი აქვთ. მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა ან მანდატი არც საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებულ დროებით კომისიას გააჩნია. აღნიშნული კომისია მხოლოდ ოპერაციული ფუნქციებით შემოიფარგლება, მისი უფლებამოსილება კი სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტებზე ნაწილდება, რაც დეპუტატებს ურთულებს თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტში კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხის გარშემო არსებული ინტერესის, ცოდნისა და ექსპერტული აზრის ნაკლებობა, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ოფიციალური სამშვიდობო პოლიტიკის ფორმირებაში პარლამენტის სრულფასოვან მონაწილეობაზე. ასევე, დამატებითი გამოწვევაა კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით საკომიტეტო საქმიანობის გასააქტიურებლად საჭირო ფინანსური რესურსის სიმწირე. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როცა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების სრულად ამოქმედები-

სათვის საპარლამენტო კომიტეტები დამოკიდებულნი არიან დონორების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ამასთან, პრობლემატურია ოპოზიციის ნაკლები ჩართულობა ქვეყნის მშვიდობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა აქტორთა მიერ კონფლიქტ-სენსიტიური თემებით მანიპულირებისა და აღნიშნული საკითხების ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენების ცდუნებას საკანონმდებლო ხელისუფლება დღემდე ვერ უძლებს.

მიმოხილული გამოწვევების ფონზე, საინტერესოა რამდენად ახერხებს საქართველოს პარლამენტი ქვეყანაში მშვიდობის მშენებლობის პროცესებში კონფლიქტების ტრანსფორმაციის პარადიგმიდან მონაწილეობას. აღნიშნული მიმართულებით დეპუტატთა საქმიანობას კოორდინირებას უწევს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის დებულების მიხედვით, კომისიას, ასევე ევალება შესაბამის ღონისძიებათა განხორციელებაზე საპარლამენტო კონტროლის დანერგვა, სამშვიდობო პროცესისთვის ხელის შეწყობა და რელევანტურ საკითხებზე გადაწყვეტილებების პროექტებისა და დასკვნების მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება, თუმცა კომისიის საქმიანობა, ძირითადად, რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტთან – საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროებისა და, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტებთან – გაერთიანებული სხდომების ჩატარებას, მის კომპეტენციაში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით უწყებების პერიოდულ მოსმენასა და კომისიის თავმჯდომარის სამუშაო შეხვედრების გამართვას მოიცავს. კომისიის დებულებასა და საქმიანობის ანგარიშში ვერ ვხვდებით კონფლიქტების ტრანსფორმაციის პარადიგმასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.<sup>27</sup>

სამაგიეროდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების ტრანსფორმაციის გზით კონფლიქტების მშვიდობიანი და სრულმასშტაბიანი მოგვარებისათვის მყარი საფუძვლის შექმნა გათვალისწინებულია ქვეყნის ოფიციალური სამშვიდობო პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი სამთავრობო ინსტიტუტის – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის – დოკუმენტით.<sup>28</sup> მინისტრის ხედვა, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკის 8 ძირითად ამოცანას განსაზღვრავს, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პარადიგმაზეა დაფუძნებული. დოკუმენტი ხაზს უსვამს აფხაზეთსა და ოსურ საზოგადოებებთან პირდაპირი დიალოგის, ნდობის მშენებლობის, შერიგების მიმართულებით მუშაობის აუცილებლობას; საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის, პრობლემების გადაჭრის სტატუს ნეიტრალური და ჰუმანიტარული ფორმატების საჭიროებას; კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანებზე ზრუნვის აუცილებლობას; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში მეტი მომსახურებისა და შესაძლებლობის შეთავაზების, სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გამარტივების და, ამგვარად, სარგებლის გაზიარების მნიშვნელობას.

თავის მხრივ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების კონფლიქტის

<sup>27</sup> საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის დებულება, იხ. <http://parliament.ge/ge/saparlameto-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-9/teritoriuli-mtlianobis-agdgenis-deokupaciis-droebiti-komisia/komisiis-debuleba>

<sup>28</sup> შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ხედვა, იხ. <https://smr.gov.ge/ge/page/35/ministris-xedva>

ტრანსფორმაციის პარადიგმიდან გააზრებისა და, ამგვარად, ეფექტური სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავებისათვის საქართველოს პარლამენტს უამრავი მექანიზმი გააჩნია, რომელთა სრულად ათვისებას დეპუტატები ვერ ახერხებენ. მას შემდეგ, რაც რეგლამენტის რეფორმით კიდევ უფრო გაფართოვდა საპარლამენტო ფუნქციები, საკანონმდებლო ორგანოს გაუჩნდა მრავალფეროვანი მექანიზმთა დამატებითი არსენალი კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესის გაძლიერებისათვის. მათს შორის, პირველ რიგში, გამოსარჩევია საპარლამენტო ზედამხედველობის გზით აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლთან დაკავშირებული ინსტრუმენტები: პარლამენტის წევრის კითხვა, ინტერპელაცია, პრემიერ-მინისტრის მოხსენება და ანგარიში, შესაბამისი თანამდებობის პირთა პლენარულ სხდომაზე გამოცხადება, მინისტრის საათი, მთავრობის წევრის და სხვა თანამდებობის პირის მოსმენა, თემატური მოკვლევა, საპარლამენტო კონტროლი საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე, თემატური ანგარიშების განხილვა, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნა, საპარლამენტო კონტროლის განხორციელება კომიტეტების მეშვეობით და სხვა.<sup>29</sup>

ცალკე გამოსარჩევია კომიტეტების ფუნქციები, რომლებიც აღნიშნული მიმართულებითაც საპარლამენტო ცხოვრების უმთავრესი რგოლია. საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროების და, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტებს, რომლებზეც ნაწილდება ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის უფლებამოსილება, აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული საპარლამენტო კონტროლის დამატებითი მექანიზმები გააჩნიათ: ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი, კანონქვემდებარე აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება, კომიტეტის სხდომაზე თანამდებობის პირთა სავალდებულო დასწრება, კომიტეტისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, თემატური მომხსენებლების საქმიანობა.<sup>30</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლთან დაკავშირებულ მექანიზმებთან ერთად, კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესის წასახალისებლად, გამოსარჩევია საპარლამენტო დიპლომატიის როლიც. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის რეგლამენტის რეფორმის შემდეგ, საკუთარი საქმიანობის ძირითადი მიზნების განსახორციელებლად, საპარლამენტო დიპლომატიის გამოყენებას აქტიურად ცდილობს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, რასაც ვერ ვიტყვით თავდაცვისა და უშიშროების თუ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტებზე. კომიტეტის ანგარიშებიდან ჩანს, რომ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი მუშაობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ახორციელებს ვიზიტებს პარტნიორ ქვეყნებში, მასპინძლობს დელეგაციებს და ხვდება პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ისეთი თემების განსახილველად, როგორც არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები, საპარლამენტო კავშირების გაძლიერება, თანამშრომლობის

<sup>29</sup> საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, თავი XIII, მუხლი 148-187, იხ. <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/143219/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-1-12-2020>

<sup>30</sup> საპარლამენტო კონტროლის გზამკვლევი, გვ. 53, იხ. <http://www.parliament.ge/uploads/other/118/118595.pdf>

გააქტიურება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საპარლამენტო ფორმატებში.<sup>31</sup>

კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში საკანონმდებლო ორგანოს როლის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობითი ფუნქციის სრულად ათვისებაც, რაც გულისხმობს მეტი წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, საჯაროობის გაზრდას, გამჭვირვალობის პრინციპისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ღია პარლამენტის სამუშაო გეგმის განხორციელებას, საკითხების გადაწყვეტისას მრავალპარტიული განხილვების ორგანიზებას და, რაც მთავარია, ამომრჩეველთან, დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედიასთან თანამშრომლობის გააქტიურებას.

აქვე აღსანიშნავია დეპუტატთა კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობაც და, პირველ რიგში, კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით პარლამენტის წევრთა მიერ საკუთარი საკანონმდებლო ინიციატივების აქტიურად წარმოდგენა. საქართველოს პარლამენტის საქმიანობის უკანასკნელი ყოველწლიური ანგარიშიდან, რომელიც 2019 წელს განხორციელებულ აქტივობებს ასახავს, ვიგებთ, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განიხილა 33 კანონპროექტი, საქართველოს მოქალაქის ერთი საკანონმდებლო ინიციატივა და პარლამენტის წევრთა მხოლოდ 6 საკანონმდებლო ინიციატივა.<sup>32</sup> იმავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი წამყვან კომიტეტად განისაზღვრა 20 კანონპროექტზე, რომელთაგან მხოლოდ 4 იყო პარლამენტის წევრების ინიციატივა, 16 კანონპროექტი კი საქართველოს მთავრობისაგან იყო ინიცირებული.<sup>33</sup> რაც შეეხება დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს, ანგარიშში მხოლოდ აღნიშნულია, რომ სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, კომიტეტმა გამართა 21 სხდომა, კომიტეტის მიერ განხილულ კანონპროექტებზე კი ინფორმაცია ნაკლებად მოიპოვება.<sup>34</sup>

## დასკვა და რეკომენდაციები

კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე მუშაობა ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც თანმიმდევრულ, კოორდინირებულ და რესურსებით გამყარებულ საქმიანობას მოითხოვს. აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩასატარებელი როგორც ქართულ, ისე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში, რათა შეიქმნას მყარი საფუძვე-

<sup>31</sup> საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 13, იხ. <http://www.parliament.ge/uploads/other/117/117087.pdf>

<sup>32</sup> საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა, თბილისი, 2020, გვ. 32, იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/243899>

<sup>33</sup> იქვე, 23-26.

<sup>34</sup> იქვე, 18-19.

ლი კონფლიქტების მშვიდობიანი და სრულმასშტაბიანი მოგვარებისათვის.

იმისათვის, რომ დეპუტატებმა სრულად აითვისონ თავიანთი უნიკალური მანდატი კონფლიქტის პრევენციისა და შერიგების მიმართულებით და საქართველოს პარლამენტი გახდეს ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის განსაზღვრელი მთავარი ორგანო, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მიზნობრივი ტრანსფორმაციისათვის, აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გატარება:

- ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების განსაზღვრისას, კონფლიქტის მოგვარების ცნებიდან აქცენტის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პარადიგმაზე გადატანა;
- პოლიტიკური დიალოგის წამოწყება სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესახებ ხედვის, პრინციპებისა და სტრატეგიის შესამუშავებლად;
- კონფლიქტის ტრანსფორმაციის ხედვის, პრინციპებისა და სტრატეგიის განსაზღვრისას სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფებთან, მათ შორის, არასამთავრობო სექტორსა და მედიასთან, საექსპერტო საზოგადოებასთან მუშაობის გააქტიურება და ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონტექსტში კონფლიქტების ტრანსფორმაციის კონსოლიდირებული ხედვის ჩამოყალიბება;
- კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და შერიგებაზე ორიენტირებული გზავნილების გავრცელება მის ხელთ არსებული სხვადასხვა არხის გამოყენებით. ამასთან, საქართველოს სსიპ „საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის“ მუშაობის გაძლიერება კონფლიქტის ტრანსფორმაციის, საზოგადოებაში მშვიდობის მშენებლობის რესურსისა და შესაძლებლობების კვლევის მიმართულებით;
- საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის უფლებამოსილების მკაფიოდ განსაზღვრა, კომისიის სამუშაო პრიორიტეტების გადახედვა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით კონკრეტული აქტივობების განხორციელება;
- საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის მიერ აფხაზურ და ოსურ დიასპორებთან მუშაობის შეთავსება. ასევე, ჩრდილოეთ კავკასიასა და თურქეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან (რომელსაც აქვს აფხაზებსა და ოსებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა) ურთიერთობის განვითარება;
- კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხედვის, პრინციპებისა და სტრატეგიის ფორმირებისას, საპარლამენტო დიპლომატიის რესურსის კიდევ უფრო აქტიურად გამოყენება, ორმხრივი საპარლამენტო კონტაქტების განმტკიცება, კონფლიქტების დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო დონორებთან მუშაობის გააქტიურება დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსის მოსაზიდად;
- დეპუტატთა კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაძლიერება, გამოსატული, პირველ რიგში, მათი მხრიდან მეტი საკანონმდებლო ინიციატივის წარმოდგენით;
- საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების ეფექტურად გამოყენება ქარ-

თულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიმართულებით მუშაობისას, განსაკუთრებული აქცენტით ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლსა და თემატურ მოკვლევაზე;

- მინისტრის საათის მექანიზმის ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ წინასწარ განერილ კითხვებზე პასუხებით შემოსაზღვრას. ამასთან, პარლამენტისათვის წარდგენილი სხვადასხვა ანგარიშების პლენარულ თუ საკომიტეტო სხდომებზე განხილვის პროცედურების მკაფიოდ განსაზღვრა, ზოგჯერ, ანგარიშის წარდგენის შემდეგ დებატების გამართვა;

- ინტერპელაციის კონტროლის ქმედით მექანიზმად ქცევა და სწორი პრაქტიკის დამკვიდრება, კანონმდებლობაში პროცედურების და რეაგირების მექანიზმის ზუსტი განერით;

- რეაგირების ქმედითი მექანიზმების განსაზღვრა კომიტეტის სხდომებზე მთავრობის წევრთა გამოუცხადებლობისას და ამგვარად, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცესის შეფერხებასას;

- საპარლამენტო კონტროლის გამჭვირვალობის გაზრდისა და პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის მიზნით, საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ ინფორმაციისა და კონტროლის შედეგების მეტი პერიოდულობით გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე.

# ეკონომიკური განვითარება და ინდუსტრიული პოლიტიკა კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის საქართველოში თორნიკე ჩივაძე

*„მე დიდი ხანია ვაკვირდები, რომ როდესაც ხალხი მუშაობს  
ნაციონალური პრობლემები ნაკლებად წარმოიქმნება“ – გიორგი დანელია*

გიორგი დანელიას ზემოთ მოყვანილი ციტატა უცხო არაა სოციალური მეცნიერებებისთვის. ემილ დიურკემის „ორგანული სოლიდარობის“ კონცეფცია თანამედროვეობაში სოციალური ინტეგრაციის მთავარ ფაქტორად სწორედ შრომის დანაწილების გაღრმავებას მოიაზრებს. თუმცა, დიურკემის თეორია არ უშვებს გრძელვადიანი წინააღმდეგობების არსებობას საზოგადოებრივ ფენებს შორის, რომელიც სხვადასხვა პირობებში შესაძლოა იმპლიციტურად სოციალურ, მაგრამ გამოხატულად ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტად ითარგმნოს.

დღეს საქართველოში გარკვეულწილად გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ აფხაზებსა და ოსებს მას შემდეგ მოუხდებოდა დანარჩენ საქართველოსთან რეინტეგრაცია, რაც საქართველო ამ რეგიონებს მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებს ეკონომიკურად. ეკონომიკური იზოლაციის პოლიტიკა რეალურად განაპირობებს ამ რეგიონების შეზღუდულ და რუსეთზე დამოკიდებულ განვითარებას. ამ დამოკიდებულებას შეიძლება სხვადასხვა ნეგატიური პოლიტიკური შედეგი ჰქონდეს, თუმცა არანაკლებად პრობლემურია ეკონომიკური შედეგებიც. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები რუსეთზე დამოკიდებულები არიან საბიუჯეტო შემოსავლებით და სოციალური გასაცემების, ინვესტიციების, ვაჭრობის, კაპიტალის ფორმირების, ტურისტების შემოდინების და ინსტიტუციური დიფუზიის კუთხით.<sup>1</sup> ასეთ ვითარებაში სახეზე გვაქვს „დამოკიდებული განვითარების“ ყველაზე ექსტრემალური ფორმა, რაც გულისხმობს ე.წ. ლუმპენბურჟუაზიის, კომპრადორული ბურჟუაზიისა და „განუვითარებლობის ინსტიტუტების“ ფორმირებას.<sup>2</sup> ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივად ვითარდება და ძალაუფლებას იღებს ელიტა, რომლის ინტერესშიცაა სტატუს-ქვოს შენარჩუნება და ყალიბდებიან ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ატარებენ მეტროპოლიის ინტერესს, რომელიც მხოლოდ ეპიზოდურად შეიძლება დაემთხვეს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ინტერესებს. ეს არ ნიშნავს, იმას, რომ შიდა ცვლილებები გავლენას არ მოახდენს ეკონომიკაზე. პირიქით, ეს ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკას შიგნით არ გააჩნია დინამიური ელემენტები და ის დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე. ის ვერ ახდენს ინოვაციების, წარმოების საშუალებების წარმოებას და ინდუსტრიულ გარღვევას დამოუკიდებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოკიდებულების თეორიით აფხაზეთის ეკონომიკა მისი სიმცირის და უფრო მეტად კი საერთაშორისო ბაზრებზე სასურველი რესურსების, სამუშაო ძალის სიმწირის გამო ვერ აიხსნება. მისი ანალიზი შესაძლებელია რეგიონის, მათ შორის მთლიანად საქართველოს, დამოკიდებულ ინტეგრაციაზე მსოფლიო ეკონომიკაში.

<sup>1</sup> Gerrits, A. W. M., & Bader, M. Russian patronage over Abkhazia and South Ossetia: Implications for conflict resolution. *East European Politics*, 2016. 32(3), 297-313

<sup>2</sup> Frank, A. G. *Lumpenbourgeoisie: Lumpendevlopment: dependence, class, and politics in Latin America*. Monthly Review Press. 1972.

ჩვენ მოცემული გვაქვს განვითარება, რომელშიც იქმნება კაპიტალისტური ანკლავები, ხოლო სხვა ტერიტორიები ხელშეუხებელია. ჩვენ შემთხვევაში ეს ანკლავები რესურსების სიმწირის გამო არის არა ბუნებრივი რესურსები, არამედ ქალაქები, სადაც ფინანსური კაპიტალი და უძრავი ქონება წამყვანი დარგებია. შიდა რეგიონული ეკონომიკური იერარქია ვერ იქნება სრულყოფილად განხილული მსოფლიო ეკონომიკური დანაწილებისგან, რომელმაც პოსტ-საბჭოთა პერიოდში პერიფერიისკენ მოგვისროლა. მსოფლიო სისტემაში, რომელშიც არათუ საქართველო, არამედ რუსეთიც ნახევრად ნედლი მასალის მიმწოდებელ და კაპიტალის გადასაქაჩ<sup>3</sup> „პერიფერიული იმპერიის“ სახით ინტეგრირდა.<sup>4</sup>

ასეთ მდგომარეობაში რა შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული დონის პოლიტიკა და თბილისის პოლიტიკა ამ კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში? უნდა დაინყოს თუ არა თბილისმა მშვიდობის მშენებლობის პოლიტიკისა და განვითარების პოლიტიკის ერთმანეთთან შერწყმა? უნდა შემუშავდეს თუ არა პროაქტიული ინდუსტრიული და რეგიონალური კლასტერული განვითარების პოლიტიკა? თუ საჭირო და საკმარისია არსებული პოლიტიკა?

სოციალურ დონეზე, პროაქტიული ინდუსტრიული პოლიტიკისა და ზოგადად დეველოპმენტალისტური სახელმწიფოს ფორმირებას საქართველოში ეწინააღმდეგება ფინანსური და სავაჭრო კაპიტალის დომინირება, რომლებიც მიბმულნი არიან საერთაშორისო კაპიტალზე. ეს ყველაფერი პოლიტიკურ დონეზე თავისუფალი ვაჭრობის და ბაზრების სრული ლიბერალიზაციით გვევლინება. სახელმწიფოს არასაკმარისად აქტიურ პოლიტიკას კონფლიქტურ რეგიონებთან ხელს უწყობს გაბატონებული აზრი, რომ საქართველოს და აფხაზეთს შორის არსებული კონფლიქტი მოგონილი და ფორმირებულია მხოლოდ გარე ძალის მიერ და მას არ გააჩნია რეალური საფუძველი. ეს პოზიცია თავიდანვე გამორიცხავს აფხაზეთთან ურთიერთობას, რამდენადაც ის არაა მიჩნეული თვითკმარ ერთობად, რომელთანაც დიალოგის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს.

დღეს ეკონომიკურად აფხაზეთი რუსეთთან დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში იმყოფება, მაგრამ საგულისხმოა, უწყობს თუ არა ირიბად ამას თბილისის პოლიტიკა ხელს. პერიფერიის პროაქტიული პოლიტიკის ფორმირებისთვის საჭიროა მრავალშრიანი კონფლიქტში აფხაზი ხალხის სუბიექტად აღქმა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მეცნიერულად იქნას გააზრებული 1990-იანი წლების კონფლიქტის მიზეზები. მაგალითად, რატომ არ სურდა იმდროინდელ აფხაზურ ელიტას საბჭოთა პერიოდში მიღებული პრივილეგიების დაკარგვა დამოუკიდებელ საქართველოს ფარგლებში? როგორ მოახდინა ელიტამ ეთნიკურობის პოლიტიზაცია და სახალხო მობილიზაცია და რა ტიპის კლასობრივი შემადგენლობის საზოგადოება შეიქმნა? ვის ინტერესშია მისი შენარჩუნება დღეს? ამ კითხვებზე პასუხი მომავალი დებატების საგანია. ეს მნიშვნელოვანია ეთნო-ნაციონალისტური და პრიმორდიალური სააზროვნო მოდელის გადასალახად, როგორც ქართულ ისე აფხაზურ საზოგადოებაში. ეს სააზროვნო მოდელები აჩენს არა მხოლოდ დებინტეგრაციის, არამედ ზრდის ელიტების მიერ სახალხო მობილიზაციის საშუალებას და ქმნის სისხლიანი დაპირისპირებისთვის იდეოლოგიურ საფუძველებს.

მსოფლიო ბანკის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით „ახალი საზოგადოებრივი კონტრაქტისკენ“, საქართველო ტაჯიკეთთან ერთად შუა აზიის და ევროპის რეგიონში

<sup>3</sup> ჩივაძე თორნიკე. პოსტ-სოციალისტური რუსეთის რეფორმაცია. 2016. იხ: <http://regional-dialogue.com/post-socialist-russia/>

<sup>4</sup> Kagarlitsky, B. Empire of the Periphery: Russia and the World System. Pluto Press. 2015.

შიდა რეგიონული და ქალაქსა და სოფლის ცხოვრების დონეების უთანასწორობის მხრივ მოწინავეები არიან.<sup>5</sup> დანარჩენ საქართველოსგან ეკონომიკური დეზინტეგრაციის ფონზე ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონის მდგომარეობა პერსპექტივის მხრივ სხვა რეგიონებზე ბევრად უარესია, რასაც ემატება „საერთოს“ განცდის დეფიციტი ეთნიკური ნიშნით. სამოქალაქო ნაციონალიზმის აუცილებელი წინაპირობა, კოლექტიური სოლიდარობის განცდაა, რომლის ფორმირებასაც გარკვეული „საერთოს ქონა“ განაპირობებს. თუ ვხედავთ, რომ პრობლემა იმგვარად დგას, რომ ამგვარი სოლიდარობა მხოლოდ ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ჯგუფების წიაღში ჩნდება, უნდა მივისწრაფვოდეთ, რომ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებიც ფლობდნენ „საერთოს“.

არსებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა კი „საერთოს ქონის“ პრაქტიკას უფრო ხელშეუხებელს ხდის, ერთი, მხრივ ბაზრის მიერ განაწილებული სიმდიდრის არაეგალიტარული გადანაწილების გაძლიერებით, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული და რეგიონული ინდუსტრიული და განვითარების პოლიტიკის აუცილებლობის სრული უგულებელყოფით. ამ პირობებში ერთ ქვეყანაში არსებობს პარალელური, არათანაბარი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული რეალობები, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივ დეზინტეგრაციას.

შეზღუდული სამეცნიერო ნამუშევრების, დიდი ჩრდილოვანი ეკონომიკის, მოუწესრიგებელი სტატისტიკის, ადგილზე კვლევითი საქმიანობის სიმწირისა და სხვა მიზეზების გამო, დღეს შეუძლებელია აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების საფუძვლიანი ანალიზი. ასევე შეუძლებელია საფუძვლიანი ინსტიტუციური ანალიზი ადგილობრივი კვლევების სიმწირისა და ფიზიკური ხელმიუწვდომლობის გამოც. აფხაზეთის ეკონომიკა ანალიტიკურ დონეზე უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკე ეკონომიკა, რამდენადაც მას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ურთიერთობები, ზეგავლენები და უკუგავლენები არ გააჩნია საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან. ნაშრომში შევეცდებით გამოიკვეთოს პროაქტიული ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებლობა, რომელიც თანაბარი განვითარებისა და მშვიდობის მშენებლობისკენ იქნება მიმართული.


ამასთან, შეხედულება იმის შესახებ, რომ საჭიროა საერთო განვითარების უზრუნველყოფა თავის თავში გულისხმობს იმას, რომ აფხაზეთის ჩამორჩენის პროცესი ხელს უშლის ინტეგრაციას, მეორე მხრივ კი იმის აღნიშვნას, რომ აფხაზურ საზოგადოებას თბილისის მიერ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმის გარეშე ავტონომიური განვითარების შესაძლებლობა არ აქვს და მუდმივი ჩამორჩენისა და დამოკიდებულებისათვისაა განწირული.

## საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენა და აფხაზეთის რეგიონი

საქართველოს ეკონომიკის მთავარი გამოწვევა არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური განვითარებაა, რაც თავის თავში ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას გულისხმობს. ეკონომიკური განვითარება განსხვავდება ზრდისგან იმით, რომ ის გულისხმობს ეკონომიკის თვისობრივ ცვლილებას, როდესაც შემოსავლების

<sup>5</sup> ussolo, M., Davalos, M. E., Peragine, V., & Sundaram, R. Toward a New Social Contract: Taking on Distributional Tensions in Europe and Central Asia. Washington, DC: World Bank. 2018. გვ. 68.

ზრდასთან ერთად თანდათანობით, თუმცა მკვეთრად იზრდება ისეთი საქმიანობების წილი, რომელთათვისაც დამახასიათებელია მზარდი უკუგება, მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, მაღალი ხელფასები, მასშტაბის ეკონომია და დადებითი გარე ეფექტები. სტრუქტურული ტრანსფორმაცია გულისხმობს დაბალ მწარმოებლური სექტორიდან სამუშაო ძალის მასიურ გადადინებას საშუალო და მაღალ მწარმოებლურ სექტორებში. რეალურ ისტორიულ დინამიკაში გამდიდრებული ქვეყნების მაგალითით ვხედავთ, რომ როგორც წესი, სამუშაო ძალა გაედინება არაინდუსტრიალიზებული სოფლის მეურნეობის სექტორიდან წარმოების სექტორში (უფრო კონკრეტულად კი გადამამუშავებელ მრეწველობაში) და პიკის მიღწევის<sup>7</sup> შემდგომ მისი წილი მაღალ ტექნოლოგიური მომსახურეობის სექტორის სასარგებლოდ მცირდება.




გრაფიკი 1

თუ ამ კუთხით დავაკვირდებით საქართველოს ეკონომიკას დავინახავთ, რომ სახეზე გვაქვს ეკონომიკური ზრდა და არა განვითარება. საქართველოში მშპ-ის ზრდასთან ერთად სამუშაო ძალის გადადინება ხდება სოფლის მეურნეობიდან მომსახურეობის სექტორში, რომელიც ტურისტული ბუმიტაა ნასაზრდოები და წარმოადგენს დაბალტექნოლოგიურ მომსახურეობის სექტორს.<sup>7</sup>

ეკონომისტ გაბრიელ პალმას მიხედვით, დე-ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი შეიძლება გახდეს სერვისების ექსპორტის სექტორისა და ტურიზმის განვითარება, როგორც ეს სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მოხდა<sup>8</sup>. პალმა გამოყოფს დე-ინდუსტრიალიზაციის სხვადასხვა ტიპს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური ფორმა „შემობრუნებული დე-ინდუსტრიალიზაციაა“, რომელიც დამახასიათებელია პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის. განსხვავებით დასავლური ქვეყნები-

<sup>7</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს დასაქმების ბაზრის ანალიზი. 2018. იხ. <https://bit.ly/2Pn5tUP>

სგან აქ დე-ინდუსტრიალიზაცია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების კლებასთან ერთად მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ ასოცირებულია გადამამუშავებელ მრეწველობაში სამუშაო ადგილების შემცირებასთან.<sup>9</sup> ეს „შემობრუნებული დე-ინდუსტრიალიზაცია“ საფრთხეს წარმოადგენს, როგორც საქართველოს ისე აფხაზეთის რეგიონისთვის. სამუშაო ძალის მომსახურების სექტორში გადინება ბოლო 15 წელში შესაძლოა განპირობებული იყოს ტურიზმის განსაკუთრებული სწრაფი ზრდით. საქართველოს დე-ინდუსტრიალიზაციის მთავარი მიზეზი ტურიზმის განვითარება ნამდვილად არაა არც ლოგიკური და არც ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ რამდენადაც გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ტემპები დაბალია, ხოლო ტურიზმის ზრდა მაღალი, ამ უკანასკნელს შესაძლოა დე-ინდუსტრიალიზაციის პროცესისთვის ჰქონდეს დამატებითი სტიმულის ფუნქცია, რამდენადაც ისედაც შეზღუდული საინვესტიციო რესურსების დისლოკაციას ახდენს.



გრაფიკი 2

როგორც მეორე გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში 2016 წლისთვის გადამამუშავებელი მრეწველობის დამატებული ღირებულება ერთ სულზე საბჭოთა კავშირის ყველაზე ცუდი, ბოლო წლის პერიოდის მაჩვენებელზე დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიხედვით, საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლების ჯგუფს მიეკუთვნება, იგი ერთ სულ მოსახლეზე გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მიხედვით, საშუალო დაბალშემოსავლიან ქვეყნების საშუალოსთანაა ახლოს, რაც მიუთითებს ეკონომიკის სტრუქტურულ ჩამორჩენაზე. პრობლემა ისაა, რომ

ეს მდგომარეობა დროთა განმავლობაში შენარჩუნებულია, როგორც სამუშაო ძალის, ისე დამატებული ღირებულების განაწილების კუთხით.

მეცნიერების განვითარების მთავარი მამოძრავებელი, მასზე ეკონომიკური სექტორებიდან მოთხოვნაა, ეკონომიკურ სექტორებში კი, მეცნიერების მთავარი მომხმარებელი წარმოების სექტორია. საზოგადოებრივი პროგრესი განისაზღვრება მეცნიერების საწარმოო პროცესში გამოყენების ხარისხით, შესაბამისად მეცნიერების განვითარება შეუძლებელია ძლიერი საწარმოო ბაზის გარეშე. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, რომლებიც წარმოების სექტორის შემცირებას განიცდის, ინოვაციების დიდი ნაწილი სწორედ ამ სექტორიდან მომდინარეობს. მაგალითად, აშშ-ში ინჟინრების 64%-ს ინდუსტრიულ წარმოებასთან დაკავშირებული ფირმები ასაქმებენ, კვლევების 70% ინდუსტრიულ სექტორში გადამამუშავებელ მრეწველობასთანაა დაკავშირებული.<sup>10</sup> დღეს საქართველოში კვლევასა და განვითარებაზე საერთო ჯამში მშპ-ის 0.2%-მოდის, რაც უთანაბრდება დაბალშემოსავლიანი ქვეყნების მაჩვენებლებს. ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოშემოსავლიანი ქვეყნებისთვის, საშუალოდ 1.1%-ია, მაღალი საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის, რომელთაც საქართველო მიეკუთვნება, 1.5%, ხოლო მაღალი შემოსავლების ქვეყნებისთვის 2.5%.<sup>11</sup>

ქართული ეკონომიკისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენენ სავაჭრო დეფიციტის შემავსებელ მთავარ წყაროს, თუმცა დღემდე გამოკვლეული არ არის მისი გავლენა დასაქმების ზრდაზე, ტექნოლოგიურ და ე.წ „ნოუ ჰაუს“ ტრანსფერზე. ირიბი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია თუ პირობითად დავყოფთ გლობალური კონკურენტულობის ინდექსის კრიტერიუმებს<sup>12</sup> ორ ჯგუფად: 1. ჯგუფი, რომელიც უფრო მეტად საწარმოო შესაძლებლობებთანაა დაკავშირებული და 2. კრიტერიუმები, რომლებიც ზომავენ ლიბერალურ კანონმდებლობას და ინსტიტუციურ მოწყობას და რომლებმაც ამავე თეორიის მიხედვით უნდა გააძლიეროს ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობები. აშკარაა, რომ ინდექსში შემავალი 137 ქვეყნიდან საქართველო სავალალო პოზიციებს იკავებს პირველ ჯგუფში, ხოლო მონინავე პოზიციებს – მეორე ჯგუფში.

საწარმოო შესაძლებლობები	პოზიცია (137 ქვეყნიდან)	საინვესტიციო გარემო	პოზიცია (137 ქვეყნიდან)
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიური ტრანსფერი	94	საკუთრების უფლება	46
უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა	111	არარეგულარული გადასახადები და ქრთამი	30
ფინანსური მომსახურების მისაწვდომობა	81	მოგების % გადასახადი	8


ტექნოლოგიები ფირმების დონეზე	108	სავაჭრო ტარიფები %	4
ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობა	129	საბაჟო პროცედურების ტვირთი	14
ადგილობრივი მიმწოდებლების ხარისხი	115	ბიზნეს კანონმდებლობის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე	29
წარმოების პროცესის კომპლექსურობა	88	სამსახურში აყვანისა და განთავისუფლების სიმარტივე	28
კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე	122	ინვესტორის დაცვის სიძლიერე	7
ინოვაციების სიმძლავრე	99	სახელმწიფოს რეგულაციების სიმძიმე	9
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა	127	გადასახადების გავლენა საინვესტიციო ქცევაზე	14
მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობა	125	არასატარიფო ბარიერები	25

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ბოლო ორი დეკადის განმავლობაში მსოფლიოს, რეგიონულ და ანალოგიური შემოსავლების ქვეყნების საშუალოზე მაღალია, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და სანარმოო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

### აფხაზეთის რეგიონის ეკონომიკური ჩამორჩენა

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის რეგიონი ჩამოყალიბდა შრომის ტერიტორიული დაყოფის სისტემის შესაბამისად, როგორც აგრარულ-ინდუსტრიული რესპუბლიკა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზრდის პიკი მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დაეცა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ომის გამო, აფხაზეთი, როგორც ბევრი პოსტ-საბჭოთა რეგიონი წინარე ინდუსტრიულ, ჩამორჩენილ რეგიონად იქცა.


## რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი დახმარება (% მთლიან ბიუჯეტში)



*გრაფიკი 3*

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, აფხაზეთისთვისაც დამახასიათებელია არათანაბარი განვითარება, რაც ითარგმნება სოფლად და ქალაქად ცხოვრების დონის უთანაბრობაში. მაგალითად, აფხაზი მკვლევრების გამოთვლით, აღმოსავლეთ რეგიონებზე, რომლებსაც აფხაზეთის ტერიტორიის 72% უჭირავს და, სადაც მოსახლეობის 41,5% ცხოვრობს, სამრეწველო და სხვა ტიპის პროდუქციის ბრუნვის, მოქმედი საწარმოების და ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მხოლოდ 16% მოდის<sup>13</sup>. როგორც შესავალში ითქვა აფხაზური ეკონომიკა მრავალმხრივად დამოკიდებული რუსულ ეკონომიკასა და დონაციაზე.

<sup>13</sup> НИР. О состоянии национальной экономики Абхазии за 2014-2018 гг. 2019.



გრაფიკი 4

მთლიანი შიდა პროდუქტის არაპროგნოზირებადი ზრდის ტემპები მიანიშნებს ეკონომიკის არასტაბილურობასა და იმაზე, რომ ზრდა ერთეულ ღონისძიებებზეა დამოკიდებული.

აფხაზეთში სიღარიბის, უთანასწორობის, სოციალური დაცვის და სხვა ტიპის სტატისტიკური ანალიზი არ ქვეყნდება, თუმცა 2015 წელს ე.წ. „პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 33,6% აცხადებს, რომ ფული საკვების ყიდვისთვის არ ყოფნით.<sup>14</sup>


აფხაზეთის მოსახლეობა 2016 წლისთვის 243 000 ადამიანს შეადგენს.<sup>15</sup> ასეთი მცირე მოსახლეობის პირობებშიც კი ეკონომიკას არ შეუძლია მოსახლეობის მცირერიცხოვანი სამუშაო ძალის დასაქმება. უმუშევრობა ბოლო დეკადების განმავლობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის 30%-ს არ ჩამოსცილებია და იგი მუდმივად 70%-ის ფარგლებში მერყეობს.

<sup>14</sup> Шатица Х. К. & Мирцхулава И. В. Особенности и проблемы планирования в экономике Абхазии. «Теоретическая экономика» №1, 2019.

<sup>15</sup> ეს მონაცემები არ შეიცავს კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს.

## დასაქმება და უმუშევრობა აფხაზეთი (2010-2018)


*წყარო: "Управление государственной статистики Республики Абхазия" 2020*



გრაფიკი 5

რა თქმა უნდა, ეს მონაცემები არ არის საკმარისი სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, რამდენადაც მშპ-თან მიმართებით აფხაზეთის ეკონომიკის 50-53% ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოდის.<sup>16</sup> შრომის ბაზრის ერთ-ერთი უმძიმესი გამოწვევა ისაა, რომ დღევანდელი მდგომარეობით რეგისტრირებულ დასაქმებულთა რაოდენობას უკვე აღემატება პენსიონრების რაოდენობა. არაოფიციალურად დასაქმების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უმუშევრობა შემცირდება, მაგრამ არა რადიკალურად. თანაც ამ ადამიანებს გადასახადები არ შეაქვთ დე-ფაქტო ბიუჯეტში, რაც მომავალში დამოკიდებულების კოეფიციენტის, ანუ ერთ გადასახადის შემტან დასაქმებულზე „შესანახი“ პენსიონერის ფარდობის მდგომარეობას გააუარესებს. მაგალითად 2016 წლისთვის რეგიონში ოფიციალურ დასაქმებულს 9 ათასით აღემატებოდა პენსიონერთა რიცხვი. 2018 წლისთვის რუსეთის ფედერაციის მიერ 32 ათას ადამიანზე გაიცა პენსია, რაც დაახლოებით წლიურ 4 მილიარდ რუბლს შეადგენს. 2021 წელს ვარაუდობენ, რომ საპენსიო ფონდის შიდა შემოსავლები მილიარდ 220 მილიონს შეადგენს, რაც მზარდ პენსიონერთა საპენსიო გასაცემების ნახევარიც არაა<sup>17</sup>.

## დასაქმებულთა და პენსიონერთა ფარდობა (2010-2018)



გრაფიკი 6

აფხაზეთში ხელფასების წილი მოსახლეობის ფულადი შემოსავლების სტრუქტურაში მხოლოდ ერთი მეხუთედია, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკის სავარაუდო მოცულობა 16-17 მილიარდი რუბლია.<sup>18</sup> საკუთარი ბიუჯეტის შემოსავლები საშუალოდ აფხაზეთის რეგიონის თითოეულ მოსახლეზე მხოლოდ 1600 რუბლია. ბოლო 3 წლის განმავლობაში, მოსახლეობის მთლიანი ფულადი ხარჯები ფულად შემოსავლებს 30 მილიარდი რუბლით აღემატებოდა.<sup>19</sup> რაც შეეხება ეკონომიკის სტრუქტურას, ისიც არასახარბიელოდ გამოიყურება, რამდენადაც მრეწველობის სექტორში მნიშვნელოვანი დინამიკა არ შეინიშნება, რაც ქვემოთ მოყვანილი დე ფაქტო საექსპორტო მონაცემებითაც დასტურდება.


	2014	2015	2016	2017	2018
მრეწველობა (ადამიანი)	1826	2370	1827	1956	2006
მრეწველობა (სულ დასაქმებულთა %)	4.5	5.6	4.4	4.6	4.7
მშენებლობა (ადამიანი)	2620	1800	1658	1898	1716
მშენებლობა (სულ დასაქმებულთა %)	6.5	4.3	4.0	4.5	4.0
სოფლის მეურნეობა	397	443	322	259	347
სოფლის მეურნეობა (სულ დასაქმებულთა %)	1.0	1.0	0.8	0.6	0.8
ვაჭრობა (ადამიანი)	2745	2513	2518	2477	2494
ვაჭრობა (სულ დასაქმებულთა %)	6.8	5.9	6.1	5.9	5.8

წყარო: *Абхазия в цифрах 2018: Управление государственной статистики Республики Абхазия. Сухум: ИП «Лагвилава А.», 2019.*

<sup>18</sup> НИР. О состоянии национальной экономики Абхазии за 2014-2018 гг. 2019.

<sup>19</sup> იქვე.

2018 წლის მდგომარეობით მთლიან რეგიონში მრეწველობის სექტორში დასაქმებულად აღრიცხული იყო 2 006 ადამიანი. სამწუხაროდ, ინფორმაციის სიმწირის გამო დაუდგენელია რა წილი უკავია გადამამუშავებელ მრეწველობას ინდუსტრიულ სექტორში. ერთადერთი მონაცემი, რაც ხელმისაწვდომია, არის ის, რომ გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა 2015 წლიდან 2019 წლამდე 213-იდან 139-მდე შემცირდა,<sup>20</sup> თუმცა დაუდგენელია მათგან რეალურად რამდენი ფუნქციონირებს.




გრაფიკი 7

სექტორების მიხედვით დამატებული ღირებულების თითქმის 40%-ზე მეტი ვაჭრობაზე მოდის, ხოლო რეალური სექტორის წილი 14-15%-ს შეადგენს. 2018 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ 4 680 მილიონი რუბლი შეადგინა.<sup>21</sup> აფხაზეთში არსებული სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ქალაქ სოხუმში. სამრეწველო წარმოების სფერო წარმოდგენილია ისეთი ინდუსტრიებით, როგორცაა ხე-ტყის მასალისა და ავეჯის წარმოება, თევზის, ფქვილისა და თევზის ზეთის წარმოება, შავი და ფერადი ლითონების ჯართის დამუშავება, მოსაპირკეთებელი ფილების, ბლოკების, ბეტონის წარმოება; მოპოვებით სფეროში ინერტული მასალების, კირქვისა და ნახშირის მოპოვება. ამგვარი შეზღუდული შიდა ბაზრების გამო, არათუ აფხაზეთის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკის განვითარებაა შეუძლებელი სასაქონლო ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის გარეშე.

<sup>20</sup> Абхазия в цифрах 2018: Управление государственной статистики Республики Абхазия ИП «Лагвилава А.», 2019.

<sup>21</sup> Справка о социально-экономическом состоянии Республики Абхазия. 2020.


## აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის საერთო მაჩვენებლები (მლდ. რუბლი)



გრაფიკი 8

სავაჭრო სალდოს მხრივ აფხაზეთის რეგიონი ახლოსაა იმ ქვეყნების მონაცემებთან, როგორცაა ლიბერია, ნაურუ, ლესოტო და ტონგა. რაც შეეხება ექსპორტის სტრუქტურას, ის მთლიანად დომინირებულია დაბალტექნოლოგიური და პირველადი დამუშავების პროდუქციისგან, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების საშუალებას სპობს.

## აფხაზეთის მთავარი საექსპორტო პროდუქტები 2018 წ



გრაფიკი 9

აფხაზეთის ეკონომიკის რეალური სექტორის სისუსტე კარგად აისახება დე ფაქტო საექსპორტო კალათაში, რომელიც შედგება, ძირითადად, პირველადი დამუშავების, ჯართისა და მოპოვებითი სექტორის საქონლისგან. რუსეთის ბაზრის გახსნასთან ერთად არსებობს შესაძლებლობა, რომ სპეციალიზაცია გაიზარდოს ციტრუსის წარმოების მიმართულებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სპეციალიზაცია გრძელვადიანი განვითარებისთვის საშიშია.

## დასკვნის მაგიერ: განვითარების ახალი საყოველთაო პარადიგმის საჭიროება

აფხაზეთის ეკონომიკის ანალიზისას უნდა აღნიშნოს, რომ ცალსახად მისასაღმებელი ფაქტი იყო 2018 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მიღებული დოკუმენტის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ წარდგენა. ამ დოკუმენტით პირველად გამოჩნდა ნიშნები ქართული სახელმწიფოს მხრიდან აფხაზ ხალხთან პოზიტიური დღის წესრიგის შექმნისკენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ამოვარდნილია ზოგადი სახელმწიფო პოლიტიკიდან. ქართული მხარე არ ითვალისწინებს აფხაზური ელიტების ლეგიტიმაციის საკითხს, რომელიც ადგილობრივ დონეზე საქართველოსგან უპირობო დამოუკიდებლობის აღიარების საკითხზე დგას. შესაბამისად, აფხაზური გადმოსახედიდან, ნებისმიერი ცვლილება უნდა დაიწყოს საუბრით პოლიტიკური სტატუსის შესახებ. თუ რეალური მიზანი საერთო, გაზიარებული კეთილდღეობის შექმნაა.

აფხაზეთის რეგიონის რეალური განვითარებისთვის და მისი ქართულ ეკონომიკასთან ინტეგრირებისთვის პირველ რიგში უნდა გადაიხედოს „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც გარკვეულწილად აფხაზეთის რეგიონის ეკონომიკურ ჩაკეტვას მოიაზრებს. ამასთან, უნდა დაიწყოს საუბარი პოლიტიკური სტატუსის შესახებ მორატორიუმის დაწესებაზე, რაც შესაძლებელს გახდის რეალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და საერთო განვითარების კონცეფციის ფორმირებას.

„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ წარმოადგენს უკვე არსებული ეკონომიკური კავშირების ლეგალურ ჩარჩოში მოქცევის მცდელობას, რაც, რა თქმა უნდა, მისასაღმებელია, მაგრამ არ ნიშნავს გარღვევას. რეალური პროგრესის და კავშირების აღსადგენად საჭიროა შემუშავდეს ინდუსტრიული და წარმოებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც განსხვავებული იქნება რეგიონების მიხედვით. ამ უკანასკნელის ფარგლებში საჭიროა აფხაზეთის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებისა და საზოგადოებასთან დიალოგის მეშვეობით შემუშავდეს აფხაზეთზე სპეციალურად მორგებული ინდუსტრიული პოლიტიკა.

ცხადია, დღეს, სახელმწიფოს, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია ეკონომიკური განვითარების დეველოპმენტალისტური ხედვა და ნეოლიბერალიზმს, ანუ ბაზარზე მიყვალას ეფუძნება, ვერ ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შეს-

აძლებლობა კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, რამდენადაც ელემენტარულ დონეზეც არ არსებობს განვითარების ინსტიტუციები და ინსტრუმენტები. შესაბამისად, იმისთვის, რომ მოხერხდეს ნდობის აღდგენისა და განვითარების პროცესის დაძვრა გაყინული წერტილიდან, აუცილებელია აფხაზურ მხარესთან დიალოგის დაწყება ეკონომიკურ საკითხებზე. ამასთან მნიშვნელოვანია ცენტრალური და რეგიონული ინდუსტრიული პოლიტიკის დამტკიცება, ინსტიტუციური უზრუნველყოფა და გატარება.

საბოლოოდ, უკანასკნელ 30 წელს თუ შევაფასებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში პროგრესული პოლიტიკური კლასის ფორმირება, რომელიც გაარღვევს 30-წლიან ნეოლიბერალურ ჰეგემონიას, ერთადერთი წინაპირობაა ამ პროცესების დასაწყებად. ეს კონფლიქტურ რეგიონებს პროდუქტიულ რეგიონებად აქცევდა და ელიტები არა უბრალოდ დე-ფაქტო საზღვრისპირა წვრილ ვაჭრობაზე, არამედ საერთო-საფინანსო, სანარმოო და სავაჭრო ქსელების განვითარებაზე დადებდნენ ფსონს, რაც, თავის მხრივ, გარდამტეხ როლს შეასრულებდა კონფლიქტის ტრანსფორმაციაში.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ – პოლიტიკური გამოწვევების ასაქმებელი საქართველოში ელიკო ბენდელიანი

მოუგვარებელი კონფლიქტების შედეგად საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, კონფლიქტების ფასი საკმაოდ მაღალია და განსხვავებულად აისახება ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე, განსაკუთრებით იმ ადამიანებზე, ვისაც იძულებით გადაადგილება, საცხოვრებელი ადგილის, გარემოს შეცვლა და ცხოვრების ახალ რეალობაში გაგრძელება უნევს.

წლების განმავლობაში დევნილ საზოგადოებას მრავალი სირთულის, დაბრკოლების გადალახვა და თვითგადარჩენისათვის ბრძოლა უწევდა. დღესდღეობით დევნილები მეტად ინტეგრირებულნი და თვითმყოფადები არიან თუმცა, მათ წინაშე კვლავ დგას სპეციფიკური საჭიროებები, რომლებიც განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს. კვლევები ცხადყოფს, რომ დევნილები დღემდე აღიქმებიან როგორც მუდმივად დახმარების მოლოდინში მყოფ ადამიანთა ჯგუფად, ვიდრე სოციალურ-პოლიტიკურ აქტორებად.<sup>1</sup>

საგულისხმოა, რომ დევნილების, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფის, ინტელექტი და სამოქალაქო რესურსი გამოუყენებელია, რისი ნათელი დემონსტრირებაა ის, რომ დევნილები პრაქტიკულად არ არიან წარმომჩენილი პოლიტიკურ ცხოვრებაში, უფრო მეტიც, ისინი არ მონაწილეობენ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების მიმართულებით პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს თემში გარიყულობის განცდას და დევნილების, როგორც ჯგუფის მარგინალიზაციას უწყობს ხელს.

ტექსტი მიზნად ისახავს, გაანალიზოს დევნილთა მდგომარეობა, გამოკვეთოს მათ წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები, განიხილოს დევნილთა სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობა და მათი მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობის პროცესში.

### არსებული რეალობა

იძულებითი გადაადგილება მსოფლიოსთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევა ხდება. 2018 წლის მონაცემებით, შეიარაღებული კონფლიქტების, ძალადობის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 41.3 მილიონს გადააჭარბა.<sup>2</sup> ლტოლვილებისგან განსხვავებით, დევნილებისთვის არ არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ინსტიტუცია. აქედან გამომდინარე დევნილთა დაცვასა და მათზე ზრუნვა ძირითადად ქვეყნების მთავრობების ვალდებულებაა.

საქართველოში 2020 წლის მონაცემებით, სულ რეგისტრირებულია 90 614 დევნილი ოჯახი, ჯამში 286 811 იძულებით გადაადგილებული პირი,<sup>3</sup> რომელთა დიდი ნაწი-

<sup>1</sup> ქალები ომის დროს და ომის შემდეგ; გადარჩენიდან თვითდამკვიდრებისკენ: დევნილი ქალები საქართველოში, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, 2020 წელი.

<sup>2</sup> გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი 2019 წ.

<sup>3</sup> სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. იხ. <https://idp.gov.ge/idps>

ლის (90%) იძულებითი გადაადგილება 90-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად მოხდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთიდან/ცხინვალის რეგიონიდან, ნაწილი (10%) კი, დევნილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად გახდა. დევნილები დღეისთვის საქართველოს მოსახლეობის 7%-ზე მეტს შეადგენენ, რაც მსოფლიოში უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია, ქვეყანაში მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით.<sup>4</sup>

საქართველოს სახელმწიფო მიიჩნევს, რომ იძულებით გადაადგილება დასრულებულად ჩაითვლება, როდესაც მოხდება დევნილთა ნებაყოფლობითი დაბრუნება, ან ასეთი დაბრუნების არჩევანის არსებობა. მანამდე კი, ყველა იმ ადამიანს, რომელსაც იძულებით მოუწია საცხოვრებლის დატოვება, მათ შთამომავლებს უფლება აქვს, მიიღოს დევნილის სტატუსი და ჩაერთოს სახელმწიფოს მიერ დევნილებისთვის განკუთვნილ პროგრამებში.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დევნილთა რაოდენობა საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დევნილის სტატუსი ენიჭება დევნილი მშობლების შვილებს, მათ შორის მათაც, რომლებსაც მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავს დევნილი. შედარებისთვის თუ ბოლო 5 წლის სტატისტიკას შევხედავთ, 2015 წლის ბოლოს ქვეყანაში დაახლოებით 268 000 რეგისტრირებული დევნილი იყო,<sup>5</sup> 2020 წლის მონაცემებით კი, რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობა 286 811 პირია,<sup>6</sup> რაც იმას ნიშნავს რომ, ხუთ წელიწადში დევნილთა რაოდენობა დაახლოებით 18 811 პირით გაიზარდა.

საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია დევნილების შთამომავლები იყვნენ მშობლების სამართალმემკვიდრეები და ჰქონდეთ უფლება, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში, მეორე მხრივ კი, დევნილების რაოდენობის ზრდა ნიშნავს, რომ იზრდება დევნილთა შემწეობის, გრძელვადიანი განსახლებისა და სხვა პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა. უნდა იღებდნენ თუ არა ახალი თაობის დევნილები და მათი ოჯახები დევნილთა ყოველთვიურ შემწეობას და საცხოვრებელს სახელმწიფოსგან, რა კონკრეტული მექანიზმები უნდა შეიმუშაოს სახელმწიფომ ამ პროცესის დასარეგულირებლად ხშირად ხდება დისკუსიის საგანი, თუმცა ჯერჯერობით პასუხები ამ კითხვებზე არ არის.

ამ დრომდე პრობლემად რჩება კონფლიქტურ რეგიონებში დარჩენილი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საკითხიც, რის გამოც დევნილები ვერ ახერხებენ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებას და მემკვიდრეობით გადაცემას.

## დევნილთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა

საქართველოში, დევნილი მოსახლეობის წინაშე დღემდე მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა და გამოწვევა დგას, ხელისუფლებებს კი, დევნილთა საჭიროე-

<sup>4</sup> სტატუსიდან საჭიროებაზე მორგებულ მხარდაჭერაზე გადასვლა ქართველი დევნილებისთვის: სიდ-არიბისა და სოციალური გავლენის ანალიზი. მსოფლიო ბანკი. 2016.

<sup>5</sup> დევნილთა სამინისტროს 2015 წლის ანგარიში. იხ. <http://mra.gov.ge/geo/static/>

<sup>6</sup> სსიპ დევნილთა, ეკონომიკური და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. იხ. <https://idp.gov.ge/idps/>

ბებზე მორგებული კომპლექსური პოლიტიკა არ გააჩნიათ. დევნილთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და უკიდურეს სიღარიბეში უწევს ცხოვრება. როგორც სხვადასხვა კვლევები გვიჩვენებს,<sup>7</sup> მიუხედავად მრავალი ძალისხმევისა, დევნილები საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მონყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. დევნილი ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი ორჯერ ნაკლებია ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, დევნილებში უმუშევრობის დონე დაახლოებით სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე არადევნილებში.<sup>8</sup> ამასთანავე, დევნილების დიდ ნაწილს არ აქვს წვდომა მიწის და ფინანსურ რესურსებთან, რის გამოც ნაკლები შესაძლებლობა აქვთ თვითდასაქმებისა და სამენარმეო საქმიანობის წარმოებისათვის. თავის მხრივ, საკუთრების არარსებობა უზღუდავს საბანკო და სხვა ფინანსურ რესურსებთან წვდომასაც.

საზოგადოება დევნილებს მუდმივად ჰუმანიტარული დახმარების მომლოდინე ჯგუფად აღიქვამს,<sup>9</sup> რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მათ მარგინალიზაციას. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ დღემდე სხვადასხვა უწყებები წინასაარჩევნოდ ან დღესასწაულების წინ დევნილებს დახმარების სახით საბაზისო საკვებ პროდუქტებს ურიგებენ, რაც ხშირად შეურაცხმყოფელია მათთვის. ამის მაგალითი იყო 2020 წლის აპრილში, წინასააღდგომოდ ქ. ზუგდიდში დევნილი ქალბატონის მიერ კამერების წინ დემონსტრაციულად პროდუქტების დაყრა.<sup>10</sup> ფაქტმა სხვადასხვაგვარი გამოხატულება ჰპოვა საზოგადოებაში, თუმცა მთავარი ისევ შეუმჩნეველი დარჩა – დევნილებს არ უნდათ მუდმივად იყვნენ ჰუმანიტარული დახმარების მომლოდინე ჯგუფი, მათ საჭიროებაზე მორგებული დახმარება სჭირდებათ, რომელიც შექმნის ახალ შესაძლებლობებს და დაეხმარება, საბოლოოდ დააღწიონ თავი უკიდურეს გაჭირვებას.

## დევნილთა საჭიროებაზე მორგებული დახმარება

ერთ-ერთი საკითხი რომელიც ბოლო წლებში აქტიური განხილვის საგანი გახდა სტატუსიდან – საჭიროებაზე მორგებულ დახმარებაზე გადასვლაა. იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის თანახმად, ყველა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მქონე პირს ეკუთვნის სოციალური შემწეობა, ე.წ. იძულებით გადაადგილებული პირისათვის განკუთვნილი დახმარება. 2014 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, შემწეობას იღებს ყველა ის დევნილი, ვისი შემოსავალიც 1250 ლარს არ აღემატება.<sup>11</sup> პირველ წლებში შემწეობა 7 ლარი იყო და ის იმ დროს ასაკობრივ

<sup>7</sup> საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაუღერება“ (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 2015); გაეროს განვითარების პროგრამის კვლევა (2013); „დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადანყვეტილებების შესახებ“

<sup>8</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო, დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი. 2017 წ.

<sup>9</sup> გარიყულობიდან ჩართულობისაკენ: დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფა – საქართველოს გაკვეთილები. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში და შერიგების რესურსები. 2009. ნინო კალანდარიშვილი – როგორ ხედავენ იძულებით გადაადგილებული პირები მათი პრობლემების მოგვარების გზებს? რეკომენდაციები პოლიტიკური სუბიექტებისათვის. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. 2012

<sup>10</sup> ზუგდიდში დევნილთა ნაწილმა სააღდგომოდ დარიგებული საჩუქრის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. იხ. <https://www.radioinati.ge/koronavirusi/article/> ; ვინ არის ქალი, რომელმაც სააღდგომოდ მიტანილი პასკა და კვერცხები კანალიზაციაში ჩაყარა, იხ. <https://www.infopostalioni.com/2020/04/18/>

<sup>11</sup> „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონი;

პენსიას უტოლდებოდა, შემდგომ წლებში შემწეობის თანხა პერიოდულად რამდენჯერმე გაიზარდა, 2013 წლიდან კი დევნილთა შემწეობა 45 ლარს შეადგენს. დევნილთა შემწეობა დღემდე რჩება დევნილთა ნაწილისთვის ერთადერთ საარსებო წყაროდ. ამასთანავე, დევნილებს ყოველთვიური შემწეობის არსებობა უჩინს სტაბილურობის განცდას, რაც, როგორც მატერიალურად, ასევე ფსიქოლოგიურად, მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია. თუმცა, შემწეობა ვერ პასუხობს დევნილთა საჭიროებებს, სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ მნიშვნელოვანია, მოხდეს საჭიროებაზე მორგებულ დახმარებაზე გადასვლა.

დევნილთა შემწეობაზე სახელმწიფო წელიწადში დაახლოებით 121 000 000 ლარს ხარჯავს.<sup>12</sup> ამას ემატება თანხა, რასაც სოციალურად დაუცველი დევნილები ყოველთვიურად იღებენ. საერთო ჯამში კი შემწეობისთვის დახარჯული თანხა ბევრად აღემატება განსახლებისა და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად დევნილებისთვის გამოყოფილ თანხებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრომ, 2017 წელს, „დევნილის შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტი“ გამოაქვეყნა.<sup>13</sup> დოკუმენტში დევნილის შემწეობის რეფორმის ხუთი შესაძლო ვარიანტი იყო მოცემული. სამინისტროს მხრიდან შემოთავაზებული ხუთივე ალტერნატივა ითვალისწინებდა დევნილთა გარკვეული კატეგორიისთვის შემწეობის შეწყვეტას, რაც, არსებულ სოციალურ პირობებში, ბევრი დევნილისთვის სავალალო იქნება და ჩნდებოდა რისკი, რომ ისედაც მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებ დევნილებს რეფორმა კიდევ უფრო დაუმძიმებდა სოციალურ მდგომარეობას. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა კვლევები გვიჩვენებს, რომ დევნილთა ნაწილისთვის ოჯახის ერთადერთი შემოსავალი სწორედ 45-ლარიანი შემწეობაა, რომელიც ძირითადად მედიკამენტების შესაძენად და კომუნალური გადასახადებისთვისაა განკუთვნილი.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების დამსახურებით, რეფორმის განხორციელება გარკვეული დროით გადაიდო, თუმცა რეფორმის განხორციელება კვლავ დღის წესრიგში დგას. 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად,<sup>14</sup> დევნილთა საჭიროებაზე მორგებული დახმარების მოდელი 2020 წლის ბოლოსთვის უნდა შემუშავებულიყო. რა სტრატეგიას აირჩევს სახელმწიფო, ამ ეტაპზე უცნობია, თუმცა დევნილებს აქვთ გარკვეული შიში, რომ რეფორმა მათ ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობას უფრო დაამძიმებს.

## დევნილთა ბრძოლვადიანი განსახლება

დევნილთა დიდი ნაწილისთვის უმთავრეს პრობლემად სათანადო საცხოვრებლის არარსებობა რჩება. შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მათი საცხოვრებლით დაკმაყოფილება წარმოადგენს.

<sup>12</sup> დევნილი მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა დევნილის შემწეობის რეფორმის შესაძლო ალტერნატივებთან მიმართებით, თენგიზ სულთანისივილი, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი – 2017 წ.

<sup>13</sup> შემწეობის რეფორმის მოსამზადებელი დოკუმენტის სამუშაო ვერსია და დევნილების პროტესტი; იხ: <https://netgazeti.ge/life/170867/>

<sup>14</sup> იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. იხ: [http://gov.ge/files/495\\_69712\\_967817\\_2566.pdf](http://gov.ge/files/495_69712_967817_2566.pdf)

განსახლების მიმართულებით განსხვავებული მდგომარეობა აქვთ ძველი და ახალი ტალღის დევნილებს. ახალი ტალღის დევნილების დიდი ნაწილის განსახლება, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულად და სწრაფად მოხდა კოტეჯების ტიპის დასახლებებში. 90-იან წლებში დევნილთა განსახლება იყო არაორგანიზებული და ძირითადად თვითდინებადი. დევნილებმა თავი შეაფარეს ცარიელ შენობებს, სასტუმროებს, სანატორიუმებს, სკოლებსა და სხვა სახელმწიფო და კერძო საკუთრებას, ნაწილი კი, ნათესავებთან ან ქირით კერძო სექტორში განსახლდა, სადაც დღემდე ცხოვრობს, შესაბამისად, გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილების პროპორცია განსხვავებულია ძველი და ახალი ტალღის დევნილებში.

დევნილობის პირველ წლებში, სახელმწიფო დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ერთადერთ გზად მათ დაბრუნებას მიიჩნევდა. მხოლოდ, 2007 წელს სახელმწიფომ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დევნილი საზოგადოების ფართო ჩართულობით, მიიღო იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია.<sup>15</sup>

სტრატეგიას ორი მიზანი აქვს: 1. პირობების შექმნა დევნილთა ღირსეულად და უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის; 2. დევნილი მოსახლეობის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის/ინტეგრაციის ხელშეწყობა.

სტრატეგიის მიღება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა პრაქტიკულად, ძირითადი აქცენტი და მუშაობა განსახლების კუთხით იყო მიმართული, სხვა მიმართულებებზე კი, ნაკლებად, შესაბამისად ხელშესახები შედეგების მიღწევა ვერ მოხერხდა.

2014 წლიდან დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. სახელმწიფოს მიერ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლებისთვის გამოყოფილი თანხები ყოველწლიურად იზრდება. 2020 წლის ბიუჯეტში, ამ მიმართულებით 67 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული.<sup>16</sup> სახელმწიფოს მიერ თბილისსა და რეგიონებში განხორციელდა მასშტაბური მშენებლობები, დაიხურა ათობით ნგრევადი ობიექტი. გერმანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, დანიის ლტოლვილთა საბჭომ იმ დევნილებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ მინის ნაკვეთი, სახლების მშენებლობის პროგრამა დაიწყო. თუმცა, მიუხედავად ერთი შეხედვით მასშტაბური განსახლების პროცესისა, დევნილთა დიდი ნაწილი (53%) კვლავ განსახლების მოლოდინშია, მათ უმძიმეს საცხოვრებელ პირობებში, სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში უწევთ ცხოვრება. ამ ტემპებით კი, როცა სახელმწიფო 2000 ოჯახის განსახლებას ახერხებს წელიწადში, დევნილთა გრძელვადიანი განსახლების დასრულებას დაახლოებით 20 წელზე მეტი დასჭირდება, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დევნილთა ბუნებრივი ზრდის გამო ახალი ოჯახების რაოდენობა იზრდება.

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები განსაკუთრებით სახიფათო გახდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში, რადგან მრავალ ობიექტში დევნილებს საერთო სველი წერტილე-

<sup>15</sup> იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2007.

<sup>16</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იხ: <https://www.moh.gov.ge/ka/news/4712/>

ბი აქვთ, რომლებიც ჰიგიენის ელემენტარულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. ამასთანავე, საცხოვრებელი ფართები არ არის კეთილმოწყობილი და მათ არ აქვთ შესაბამისი გარემო ჯანმრთელობისა და ღირსეული განათლების უფლების რეალიზაციისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ, მიუხედავად 2013 წელს უწყებათაშორისი კომისიის მიერ შემუშავებული განსახლების კრიტერიუმებისა, რომელთა შესაბამისად ხდება დევნილთა გრძელვადიანი განსახლება, განსახლების პროცესს დევნილები არასაკმარისად გამჭვირვალედ მიიჩნევენ და მუდმივად აქვთ უსამართლობის განცდა.<sup>17</sup>

ამასთან, არსებული განსახლების სისტემა არ აძლევს დევნილებს სტიმულს გაიუმჯობესონ თავიანთი სოციალურ-ეკონომიური და საყოფაცხოვრებო პირობები. განსახლების მოლოდინში მყოფი დევნილები შიშით, რომ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით დაკარგავენ სოციალურ შემწეობას და ვერ მოხვდებიან განსახლების პროგრამაში, ცდილობენ, არ დაკარგონ სოციალურად დაუცველის სტატუსი და ამით არ გაიხანგრძლივონ ლოდინის დრო.

მთავრობის ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს დევნილთა განსახლებას, ხშირად იგეგმება ეკონომიკური და ინტეგრაციის შესაძლებლობების სათანადო გათვალისწინების გარეშე. რის გამოც, განსახლების შემდეგაც დევნილები სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულები რჩებიან, დევნილთა ახალი დასახლებები კი ახალი გეტოები ხდება.

## დევნილების სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიღწევებია დევნილთა განსახლების საკითხების მოგვარებაში, ისინი, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფი კვლავ არ არიან ინტეგრირებული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. არსებული მდგომარეობით ქვეყანაში დევნილთა სრულფასოვანი ინტეგრაციის მიღწევა კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება.

სამწუხაროდ, არ არსებობს დევნილთა ინტეგრაციის მიმართ საჭიროებაზე დაფუძნებული ინდივიდუალური მიდგომები. რთულია ინფორმაციის მიღება დევნილთა ჩართულობის შესახებ, რადგან არ არსებობს სტატისტიკა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ დევნილთა რაოდენობის, მათ შორის საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებში მათი ხვდრითი წილის, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივ და ეკონომიურ პროექტებში დევნილთა რაოდენობის შესახებ. დევნილთა საჭიროებები არ არის ასახული ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა წინაშე დღემდე არაერთი გამოწვევა დგას, როგორც ინტეგრაციის ასევე სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით, დევნილთა საკითხმა წლებთან ერთად აქტუალობა დაკარგა, დევნილთა საჭიროებები და მონაწილეობა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პრიორიტეტს ამჟამინდელ პოლიტიკურ დისკურსში და დევნილებთან დაკავშირებულ საკითხებს აქტუალობას ძირითადად მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები უნარჩუნებენ.

დევნილთა საკითხის აქტუალობის დაკარგვის ერთ-ერთი დასტური სამინისტროს

<sup>17</sup> ნინო ბიძინაშვილი. „როდემდე უნდა გვატყუონ?“ – დევნილების პროტესტის 29-ე დღე სამინისტროსთან, იხ. <https://netgazeti.ge/news/398165/>

გაუქმება იყო. მიუხედავად დევნილთა ირგვლივ არსებული მრავალი პრობლემისა. 2018 წელს „მცირე მთავრობის კონცეფციის“ ინიცირებისას,<sup>18</sup> გასაუქმებელ სამინისტროთა ნუსხაში დევნილთა სამინისტრო მოხვდა და ფუნქციურად უკვე ყველაზე დატვირთულ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეუერთდა. გაუქმდა დევნილთა სამინისტროს რეგიონალური წარმომადგენლობებიც. რეფორმის განხორციელებიდან მალევე ნათელი გახდა, რომ არსებულ რეალობაში მნიშვნელოვანი იყო ცალკე სტრუქტურული ერთეულის არსებობა, სწორედ ამიტომ 2019 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა ს.ს.ი.პ. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების სააგენტო,<sup>19</sup> რეგიონულმა წარმომადგენლობებმაც ხელახლა დაიწყეს მუშაობა. სამინისტროს გაუქმება დევნილებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე განხორციელდა და დევნილ საზოგადოებაში განსხვავებული რეაქციები გამოიწვია. სამინისტროს გაუქმებით დევნილებმა დაკარგეს ხმა მთავრობაში, რომელიც დევნილთა საჭიროებებს გააჟღერებდა და მიიტანდა გადაწყვეტილების მიმღებებამდე. ეს კარგად გამოჩნდა, პანდემიის ანტიკრიზისული გეგმის წარდგენისას სადაც დევნილები არ იყვნენ წარმოდგენილი და მათი საჭიროებები კი დანახული. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით დევნილთა მიმართულებით თანხის გამოყოფის შესახებ ინფორმაცია გაჟღერდა, ინიციატივა არ განხორციელებულა. დევნილებს აქვთ განცდა, რომ დევნილთა თემა მივიწყებას მიეცა, ძირითადი აქცენტები განსახლების მიმართულებითაა და სხვა კუთხით ეს ადამიანები, მათი საჭიროებები და რესურსი არ ჩანს.

დევნილები სოციალურად საკმაოდ აქტიური ჯგუფია. დევნილთა არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ როგორც თემის მობილიზაციის, ასევე სამთავრობო უწყებებთან კოორდინაციის მიმართულებით. წლების მანძილზე ამ ორგანიზაციებს და დევნილ აქტივისტებს დაუგროვდათ უნიკალური გამოცდილება და დიდი წვლილი შეაქვთ საზოგადოების განვითარებაში. თუმცა, ეს აქტიურობა ვერ ტრანსფორმირდა პოლიტიკურ აქტიურობად. დევნილები სათანადოდ არ არიან წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევით ორგანოებსა თუ საკანონმდებლო სტრუქტურებში.

დევნილთა მონაწილეობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ზოგიერთი გარემოება: პირველი გულისხმობს პოლიტიკურ პროცესებში დევნილთა მონაწილეობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სპეციალური სტრუქტურების მეშვეობით, რომლებიც დევნილთა ინტერესების განმახორციელებელ სტრუქტურებად მიიჩვენა. დევნილთა დამოკიდებულება ამ სტრუქტურების მიმართ არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, ეს სტრუქტურები დევნილებისთვის სიმბოლურ დატვირთვას ატარებენ, მეორე მხრივ კი, მთავრობის არსებობა ამ ფორმით დევნილთა ნაწილისთვის მიუღებელია და მისი რეორგანიზაცია სურთ.<sup>20</sup>

დევნილების ინტეგრაციის ხარისხის გაზრდასთან ერთად, წარმომადგენლობა ცენ-

<sup>18</sup> მთავრობის ახალ სტრუქტურაში 10 სამინისტრო და 1 სახელმწიფო მინისტრის აპარატი იქნება. იხ: <https://bit.ly/3JJuRiN>

<sup>19</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-109/6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების სააგენტო შექმნის შესახებ.

<sup>20</sup> ნინო კახიშვილი, აფხაზეთიდან დევნილები აქციებისთვის ემზადებიან. ნეტგაზეთი. 2020 წელი.

ტრალურ და ადგილობრივ თვითმმართველობების ორგანოებში წარმომადგენლობის შესაძლებლობაც უფრო რეალისტურია. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადგილობრივ დონეზე დევნილთა ჩართულობისა და თანამშრომლობის მიმართულებით. თუმცა, დღემდე ნაკლებად არიან წარმოდგენილი არჩევით ორგანოებში. მათი აზრით, ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ან მაჟორიტარული არჩევნებისას, ადგილობრივი მოსახლეობა დევნილს მხარს არ დაუჭერს, რადგან უპირატესობას ადგილობრივს მიანიჭებს.<sup>21</sup>

ამასთანავე, დევნილობა სტიგმაა, რის გამოც, წარმატებულ დევნილებს არ უნდათ საკუთარი თავის დევნილთა თემთან ასოცირება, შესაბამისად კი, არც საკუთარ თავს აღიქვამენ პოლიტიკურ დონეზე დევნილთა ინტერესების გამტარებლად.

## დევნილები სამშვიდობო პროცესში

დევნილთა მონაწილეობის მნიშვნელობა კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, ერთი მხრივ, თითქოს აქსიომაა და ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მათი მონაწილეობის გარეშე საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეუძლებელია, მეორე მხრივ, დევნილთა ჩართულობა ამ პროცესებში დაბალია და ისინი კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების დისკურსზე გავლენას ვერ ახდენენ.

დევნილთა დაბრუნების უფლება მუდმივად არის საქართველოს ოფიციალური რიტორიკისა და საგარეო პოლიტიკის ნაწილი. ეს საკითხი განსაკუთრებით წინა პლანზე გაეროს „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ რეზოლუციის მიღებისას წამოიწევა, როდესაც მორიგ გამარჯვებას ვზეიმობთ იმ ფაქტის გამო, რომ წინა წელთან შედარებით მეტი ქვეყნის მხარდაჭერით მოხდა გაეროს გენერალური ასანბლების მიერ საქართველოს პოზიციის განმტკიცება. რეზოლუცია ადასტურებს დევნილთა უფლებას, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ; ასევე გამოყოფს საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას. გაეროს გენერალური ასამბლეა აღნიშნულ რეზოლუციას 2008 წლიდან იღებს, პირველ წლებში დევნილებისთვის ეს რეზოლუცია იმედის ნაპერწკალი იყო, თუმცა, წლებთან ერთად ეს იმედიც განელდა და მხოლოდ სიმბოლური დატვირთვის მატარებელი გახდა.

დევნილებს ხშირად მტრულად განწყობილ ჯგუფად წარმოაჩენდნენ, რომელიც დაბრუნების გარდა ყველა სხვა გზას უარყოფს.<sup>22</sup> ისინი არ განიხილებიან როგორც სამშვიდობო რესურსი, მიუხედავად იმისა, რომ დევნილებს აქვთ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პირდაპირი დაინტერესება და საჭიროება. გარდა ამისა, მათ აქვთ აფხაზეთსა და ოსებთან თანაცხოვრების გამოცდილება, დღემდე ინარჩუნებენ სოციალურ კავშირებს მეორე მხარეს მცხოვრებ ადამიანებთან, ამასთანავე, დევნილი საზოგადოება

<sup>21</sup> გამოსავლის ძიებაში: შესაძლებლობებიდან აუცილებლობამდე, დევნილთა პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობა საქართველოში; ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი – 2015 წელი.

<sup>22</sup> გარიყულობიდან ჩართულობისაკენ: დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფა – საქართველოს გაკვეთილები. ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში და შერიგების რესურსები. 2009.

ქართველების, აფხაზებისა და ოსების როგორც მშვიდობიანი თანაცხოვრების, ასევე მათ შორის მომხდარი კონფლიქტის ცოცხალი მეხსიერების მატარებელია. ისინი კარგად გრძნობენ საკითხის სენსიტიურობას. დაკვირვებამ აჩვენა, რომ იმ ადგილებში, სადაც დევნილები ცხოვრობენ კონფლიქტების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა გაცილებით მაღალია, ეს განსაკუთრებით იგრძნობა ახალგაზრდებთან მუშაობისას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სამშვიდობო ფორმატებში დევნილთა თემის ზოგიერთი წარმომადგენელი სისტემურად მონაწილეობს, დევნილთა ფართო ჩართულობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში არ არის უზრუნველყოფილი. ის რომ დევნილები არ არიან ჩართული სამშვიდობო პროცესებში განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: ერთი მხრივ, დევნილების ჩართულობა დიალოგის ფორმატებში გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მეორე მხარეს, ამას გარდა, საკითხზე მსჯელობისას ემოციური ფონი დევნილებში უფრო მაღალია, რის გამოც დიალოგის ფორმატების ორგანიზატორების მხრიდან საშიშროების განცდაა, რომ დევნილთა ჩართულობამ ჩიხში არ შეიყვანოს პროცესი.

დევნილთა სრულფასოვანი მონაწილეობა არ არის უზრუნველყოფილი შერიგების მიმართულებით პოლიტიკის შემუშავების პროცესშიც. დევნილთა თქმით, განსხვავებით დევნილთა სტრატეგიისგან, რომელიც მათი ფართო ჩართულობით შემუშავდა, სამშვიდობო მიმართულებით პოლიტიკის დაგეგმარებისას დევნილების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი. დაბალია დევნილთა ინფორმირებულობა და ჩართულობა არსებული ფორმატების მიმდინარეობების შესახებაც. მათ შორის, იმ ორი ოფიციალური ფორმატის მუშაობაზე, როგორცა – ჟენევის საერთაშორისო დისკუსია (GID) და მის ფარგლებში შექმნილი – ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM). მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმატებში დევნილთა წარმომადგენლების სახით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მონაწილეობენ. თუმცა მათი მხრიდან დევნილ მოსახლეობასთან კონსულტაციები არ ხდება, რის გამოც დევნილებს აქვთ განცდა, რომ მათი ინტერესები და მოსაზრებები არ არის წარმოდგენილი ამ ფორმატებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ „გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 – ქალები, მშვიდობა უსაფრთხოება“ ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით პერიოდულად იმართება შეხვედრები ჟენევის დისკუსიების მონაწილეებსა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, რაც გარკვეულწილად ავსებს არსებულ ვაკუუმს.

## დასკვნა

საქართველოში არსებული გაჭიანურებული კონფლიქტები ყველაზე მძიმედ დევნილებზე აისახება, სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური პრობლემებისა და გამოწვევების სახით. სწორედ ამიტომ, დევნილები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით. ამასთანავე, ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამშვიდობო რესურსს, რომელიც არ არის სათანადოდ გამოყენებული.

წლებთან ერთად დევნილი საზოგადოება მრავალფეროვანი და განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე ჯგუფი გახდა. ისინი დღეს ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მობილიზებული სოციალური ფენაა.

მიუხედავად იმისა, რომ დევნილები დღეს საკმაოდ ინტეგრირებული ჯგუფია ადგილობრივ საზოგადოებაში, მათ პოლიტიკაზე ზეგავლენის მნიერი შესაძლებლობები აქვთ. მათ შორის, როგორც საკუთრივ დევნილთა წინაშე მდგარი გამოწვევების, ასევე, კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით.

იმისთვის, რომ დევნილები, როგორც საზოგადოებრივი და სამოქალაქო ჯგუფი გაძლიერდეს და მოხდეს მათი რესურსის გამოყენება და მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ, განსაკუთრებით კი მშვიდობის მშენებლობის პროცესში, ნაშრომი გამოჰყოფს შემდეგ რეკომენდაციებს.

- მნიშვნელოვანია არსებობდეს ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული პოლიტიკა დევნილებთან მიმართებაში;
- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დევნილი მოსახლეობის საჭიროებებისა და შესაძლებლობების დეტალური რეგულარული შესწავლა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება საჭიროებაზე მორგებულ დახმარებაზე გადასვლა;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ეფექტურობისათვის, განსახლების პროგრამა გამყარებული უნდა იყოს სოციალური დაცვის მექანიზმებით – საარსებო წყაროებთან წვდომა, ჯანდაცვასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- მნიშვნელოვანია განსახლების პროცესის დაჩქარება და ამასთანავე, დროში განერილი მკაფიო გეგმის არსებობა, რათა თითოეულმა დევნილმა იცოდეს თუ როდის მოხდება მისი საცხოვრებელი უზრუნველყოფა;
- მნიშვნელოვანია დევნილთა მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების როლის გაზრდა და მათი აქტიური მონაწილეობა დევნილთა წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარების პროცესში;
- საჭიროა მუშაობის გაძლიერება დევნილთა სამოქალაქო და პოლიტიკური გააქტიურების მიმართულებით;
- მნიშვნელოვანია სამშვიდობო და ნდობის აღდგენის პროცესებში დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, როგორც არაფორმალურ, ასევე ოფიციალურ ფორმატებში. დევნილთა რესურსის ეფექტური გამოყენებისათვის საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა დევნილთა ფართო ჩართულობის მიმართულებით. გაიმართოს დევნილ საზოგადოებასთან სისტემატური კონსულტაციები, რათა დევნილებთან დაკავშირებული საკითხები დიალოგისა და მოლაპარაკებების დღის წესრიგის ნაწილი იყოს.

**საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგია  
ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანაგზრომლობის გზით  
ქათავან მურუსიკა**

**შეფასების ანგარიში**

„საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ არის მთავარი სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს. სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ურთიერთობის წახალისებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს.

შეფასების მიზანია შეისწავლოს სტრატეგიის განხორციელების პირდაპირი შედეგები, კერძოდ, რა გაკეთდა სტრატეგიით განსაზღვრული მიმართულებებით. მოცემული ანგარიში სტრატეგიის ძირითადი მიზნების მიხედვით არის ორგანიზებული, როგორცაა ეკონომიკური ურთიერთობები, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სახალხო დიპლომატია, კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა და შენარჩუნება, ინფორმაციის დაუბრკოლებელი გავრცელება, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები, ადამიანის უფლებები და სტიქიური უბედურებების პრევენცია. ანგარიში, ასევე, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ ჩართულობის ინსტრუმენტებს მოიცავს.

წარმოდგენილი ანგარიში და რეკომენდაციები მიზნად ისახავს სახელმწიფო სტრატეგიის მიღებიდან დღემდე<sup>1</sup> არსებული მიღწევებისა და გამოწვევების მიმოხილვასა და ანალიზს, რაც ამ მიმართულებით მომუშავე სახლისუფლებო, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე დაინტერესებულ პირებს დაეხმარება მომავალი პროგრამებისა და აქტივობების უკეთ დაგეგმვასა და განხორციელებაში.

**კონტექსტის მიმოხილვა**

„საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ 2010 წელს შეიქმნა. სტრატეგიის შექმნას წინ უძღვოდა 2008 წლის აგვისტოს ომი, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც კონფლიქტების განზომილება, ასევე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასა და დანარჩენ საქართველოს მოსახლეობას შორის ურთიერთობის დინამიკა.

შეცვლილი გარემოებების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ „კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ (2008 წლის 23 ოქტომბერი) და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. კანონი განსაზღვრავს ოკუპირებული ტერიტორიების სტა-

<sup>1</sup> შენიშვნა: მოცემული შეფასებისთვის კვლევისა და ანგარიშის მომზადების პროცესი 2020 წლის სექტემბერში დასრულდა.

ტუსსა და განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რაც მოიცავს ამ ტერიტორიებზე გადაადგილების, საკუთრების უფლების, ეკონომიკურ საქმიანობის, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ორგანოებისა (უკანონო ორგანოების) და სხვა საკითხებს.

2008 წლის შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ შეწყვეტილი დიალოგისა და ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის აღდგენის მიზნით, ზემოთ აღნიშნული სტრატეგია და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“ (2010 წლის 3 ივლისი) შემუშავდა. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის განხორციელება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონისა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების გადახედვასა და გამარტივებას მოითხოვდა. შესაბამისად, კანონსა და მასთან დაკავშირებულ დადგენილებებში ცვლილებები შევიდა როგორც 2010 წელს, ასევე შემდგომ წლებში. საკანონმდებლო-ადმინისტრაციული სივრცის მოქნილობის გაზრდის შესახებ საუბარი დღემდე გრძელდება.

სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში დაიწყო. 2012 წლიდან ხელისუფლება შეიცვალა და მას შემდგომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს კურსს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარმოადგენს. ამასთან, სტრატეგიის განხორციელების პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით მომუშავე სახელისუფლებო ორგანოს – „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის“<sup>2</sup> ხელმძღვანელები სამჯერ, 2012, 2016 და 2020 წლებში, შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს აპარატის ძირითადი ფუნქციები განისაზღვრება, როგორც წინადადებებისა და ინსტიტუციური მექანიზმების შემუშავება, სამშვიდობო პროცესის წარმართვა და მასში მონაწილეობა, სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო უწყებებთან მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების წარმართვა, კოორდინაცია და ადმინისტრაციული საკითხების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებასთან ერთად, 2018 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ შემუშავა. ინიციატივა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს, როგორცაა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის განათლების შესაძლებლობის გაზრდა და გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის ნახალისება. ინიციატივა სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებს შეესაბამება და ამ ორი მიმართულებით ეფექტური მუშაობისთვის უფრო დეტალურ ხედვასა და მექანიზმებს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო პროგრამებისა და ინიციატივების განხორციელება სამთავრობო, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს რუსეთის ოკუპაციის პირობებში უწევთ. სამშვიდობო პროცესს აფერხებს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებზე ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესი, რასაც თან ახლავს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უკანონო დაპატიმრების, დაჭრისა და სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები. გამყოფ ხაზებზე განთავსებული გამშვები პუნქტების დროებითი და ზოგჯერ ხანგრძლივი დახურვა დამატებით აფერხებს მოსახლეობის გადაადგილებასა და მათ შორის ურთიერთობას.

ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მისიებს აფხაზეთსა და ცხინვალის რე-

<sup>2</sup> 2010-2014 წლებში უწყებას „რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“ ერქვა.

გიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება ეზღუდება. ამ კუთხით განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, სადაც მხოლოდ წითელი ჯვრის წარმომადგენლობა დაიშვება. არსებული მდგომარეობით, ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის ურთიერთობა, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობითა და შუამავლობით არის შესაძლებელი. აღნიშნული ურთიერთობები განსაკუთრებით მგრძნობიარეა ადგილობრივი თუ რეგიონალური პოლიტიკური პროცესების მიმართ.

## შეფასების მეთოდი

სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შეფასება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეფასების სახელმძღვანელოში მოცემული ეფექტიანობის კრიტერიუმის გათვალისწინებით განხორციელდა.<sup>3</sup> ამ მიზნით, შეფასების დროს თვისობრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი იქნა გამოყენებული.

მეორადი ლიტერატურის ანალიზის მიზნით, სამაგიდე კვლევისთვის დამუშავდა და გაანალიზდა როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშები (2013-2019 წლები), ასევე სახალხო დამცველის ოფისის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები და კვლევები. ასევე, გაანალიზდა სახელმწიფო მინისტრის აპარატისგან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია. დოკუმენტების ანალიზისთვის შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული აქტები, სახელმწიფო სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტები გაანალიზდა.

ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მოქმედ და ყოფილ თანამდებობის პირებთან, შეფასების ფოკუსში მოქცეული ათი წლის სხვადასხვა პერიოდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე, ინტერვიუები ჩატარდა ძირითადი დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

შეფასების ინსტრუმენტად შემუშავდა კითხვარი, რომელშიც კითხვები სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით იყო ორგანიზებული. თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის მათი პროფილის შესაბამისი კითხვარი მომზადდა.

## შეფასების შეზღუდვები

გასათვალისწინებელია რამდენიმე შეზღუდვა, რაც შეფასების პროცესს თან ახლდა. შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ანგარიშში მოცემულია სტრატეგიის განხორციელების პირდაპირი შედეგების კვლევის მიგნებები და არა ზოგადი გავლენების (impact) შეფასება, რაც მის განხორციელებას შეიძლება ჰქონდეს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. ასევე, არსობრივად, სტრატეგია განსაზღვრავს საქა-

<sup>3</sup> UNDP (2019) UNDP Evaluation Guidelines. New York: United Nations Development Programme.

რთველოს სახელმწიფოს ხედვას ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით, რაც არის სამოქმედო დოკუმენტი როგორც სახელისუფლებო ორგანოებისთვის, ასევე სფეროში მომუშავე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. თუმცა, ამ შემთხვევაში, შეფასების ფოკუსი მიმართულია საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, მაგრამ ასევე განიხილავს სხვა აქტორების ჩართულობასაც. შესაბამისად, შეფასების პროცესში არ ყოფილა აფხაზური და ოსური საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვის მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჯგუფი სწორედ ეს საზოგადოებებია. ასევე, შეფასება არ მოიცავს გამყოფი ხაზის აქეთ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, განხორციელებულ აქტივობებს, რადგან სტრატეგია მიზნად ისახავს გამყოფ ხაზებს შორის ურთიერთობის ნახალისებასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას.

სტრატეგიის შეფასება მოიცავს 2010-2019 წლების პერიოდს, თუმცა 2011 და 2012 წლების რეინტეგრაციის სამინისტროს აპარატის წლიურ ანგარიშებზე წვდომის არ ქონის გამო, ეს პერიოდი შეფასებაში ნაკლებად არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ პერიოდის სტატისტიკა არსებობს და გაანალიზებულია სხვა წლების მონაცემებთან ერთად.

## შეფასების მიზნები

### ეკონომიკური ურთიერთობები

სტრატეგიის ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული მიზანი გულისხმობს სავაჭრო ურთიერთობების, სასოფლო-სამეურნეო და აგრო-ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. ის ასევე წამახალისებელი ფინანსური პირობების შემუშავებას, მიზნობრივი ფონდების შექმნასა და ამ მიზნებთან საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზაციას ითვალისწინებს.

სტრატეგიის მიღებიდან 2018 წლამდე, საქართველოს მთავრობის მიერ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სავაჭრო და ბიზნეს ურთიერთობების ნახალისების კუთხით კონკრეტული მექანიზმები, ინიციატივები ან ფინანსური მხარდაჭერის სქემები არ შექმნილა. მიუხედავად ამისა, არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობები ორივე მიმართულებით არსებობდა და ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო გააქტიურდა. მაგ. 2010-2015 წლებში, კვლევების მიხედვით, ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ორივე მიმართულებით ყოველდღიური ტვირთბრუნვა 150 ტონას შეადგენდა, რომლის წლიური ღირებულება 7-დან 15 მლნ ამერიკულ დოლარამდე მერყეობდა.<sup>4</sup> დამატებით, ქართულ-აფხაზური ორგანიზაციების თანამშრომლობით, მცირე მეწარმეობის პროექტების განხორციელების დადებითი გამოცდილება არსებობდა. ასევე, ქართული ორგანიზაციები აფხაზ პარტნიორებსა და პროექტის მონაწილეებს პროექტებისა და ბიზნესის მართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაშიც ეხმარებოდნენ.

სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ასევე აფერხებდა საქართველოს „კანონი ოკ-

<sup>4</sup> Mirimanova, N. (2015a) Abkhazia: Regulations for Trade with Disputed Statehood. In Druey, C. C. and Fitzé, E. (editors) The Caucasus Conflicts: Frozen and Shelved? Politorbis. Bern: FDFA and swisspeace. 9-17.

უპირებელი ტერიტორიების შესახებ“, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მათთან ეკონომიკური საქმიანობის წარმოებას საქართველოს მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე. თუმცა, მსგავსი ნებართვების მოთხოვნისა და გაცემის რაოდენობა მცირეა (2008-2013 წლებში ჯამში სულ ასეთი 21 ნებართვა გაიცა, ხოლო 2014-2016 წლებში – 7). შეზღუდვები იყო დანესებული აფხაზური და ოსური მხრიდანაც, მაგრამ გამონაკლისს წარმოადგენდა აფხაზური მხარის თანხმობით აფხაზეთის რეგიონიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და მის გავლით უცხოეთში თხილის ექსპორტი. მაგ. 2014 წელს, ენგურის ხიდის გავლით 2 185 ტონა თხილი იქნა გადმოტანილი, რომლის საბაზრო ღირებულებაც 9 204 000 ამერიკულ დოლარს შეადგენდა.<sup>5</sup>

წლების განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოების, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის რეკომენდაციების საფუძველზე კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ნაწილი შემცირდა. დამატებით, 2018 წელს, გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობის ნახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობამ ცვლილებებისა და ინიციატივების პაკეტი „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მოამზადა.

აღნიშნული სამშვიდობო ინიციატივა საკანონმდებლო ცვლილებებს, საგადასახადო შეღავათებსა და ფინანსურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას მოიცავდა, თუმცა მისი განხორციელება საწყის ეტაპზე რიგი ფაქტორების გამო შეფერხდა. მაგ. საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყებებს შორის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ საკითხებზე შეთანხმებისა და კოორდინაციის ნაკლებობა გამოიკვეთა, განსაკუთრებით ფინანსურ და საგადასახადო სტრუქტურებთან. შეთავაზებას არსებული თუ მოსალოდნელი რისკებისა და მათთან გამკლავების გზების ანალიზი აკლდა, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, დონორი ორგანიზაციებიდან ფინანსური მხარდაჭერის მოზიდვას ხელი შეუშალა. ასევე, ინიციატივა მის სტატუს-ნეიტრალურ შეთავაზებებზე აკეთებდა აქცენტს, თუმცა კონკრეტულად ამას რა მექანიზმების უზრუნველყოფდა, ცხადად არ ხსნიდა. ასევე გაურკვეველი იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში წარმოებული პროდუქცია ქართულ და საერთაშორისო ბაზარზე როგორი ეტიკეტით გავიდოდა (იგულისხმება, ეტიკეტის სტატუს-ნეიტრალურობა).<sup>6</sup> დამატებით, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში ინიციატივის შესახებ ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის ნაკლებობა ამ შემთხვევაშიც გამონწვევად დარჩა.

2018 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ერთობლივი წარმოების ნახალისებისთვის, სახელმწიფო პროგრამას „ანარმე საქართველოში“ დაემატა საგრანტო პროგრამა „ანარმე უკეთესი მომავლისთვის“. პროგრამაში მონაწილეობისთვის განცხადებების მიღება 2019 წლის მარტში დაიწყო და 368 განაცხადი შემოვიდა, აქედან საკმაოდ დიდი ნაწილი – 274 განაცხადი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (ამ რეგიონების თითქმის ყველა რაიონიდან). განცხადებების რაოდენობა პროგრამის მიმართ ინტერესსა და მის წარმატებით დასაწყისზე მიუთითებს. პროექტის ბიუჯეტი შეადგენდა 500,000 ლარს, რომლის ფარგლებშიც ინდივიდუალური და ერთობლივი პროექტებისთვის განისაზღვრა 7,000-დან 35,000-მდე ლარი. კონკურსის შედეგად, 20 გამარჯვებული პროექტი გამოვლინდა.

<sup>5</sup> Mirimanova, N. (2015b) Trans-Ingur/I Economic Relations: A Case for Regulation. London: International Alert.

<sup>6</sup> Chankvetadze, N. (2019) Assessment of the Trade Facilitation Component of Georgia’s Peace Initiative – A Step to a Better Future. [Policy paper]. Tbilisi: PMC Research Center.

აფხაზეთთან და ოსებთან ეკონომიკური და ბიზნეს ურთიერთობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საკითხების გამარტივება. ასევე, კვლევების მიხედვით, გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მყოფი მეწარმეებისა და ბიზნესმენებისთვის არასტაბილურობა და მაღალი რისკი ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა. ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური შეთანხმებების მიღწევა და პროცესის ხელშემწყობი უფრო მკაფიო განცხადებების გაკეთება. ინიციატივებზე ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელება და ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა „ანარმოე უკეთესი მომავლისთვის“ მიღებული აპლიკაციების რაოდენობა ამ კუთხით დადებითი გამოცდილებაა. ასევე, მნიშვნელოვანია აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესწავლა და მათი რესურსების ადგილზე გაძლიერება, რათა ერთობლივი პროექტების და ბიზნეს იდეების მომზადება და შემდეგ მართვა შეძლონ. სავაჭრო და ბიზნეს პროექტებში მნიშვნელოვანია „არ ავნო“ (Do No Harm) პრინციპების გათვალისწინება, განსაკუთრებით ისეთ კონტექსტში, სადაც კორუფციის საფრთხე დიდია.

## ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ინფრასტრუქტურის აღდგენა-მონერგების კუთხით საქართველოს ხელისუფლებისთვის ამ ტერიტორიებზე წვდომა მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე პროექტი განხორციელდა როგორც ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, ისე აფხაზეთის მიმართულებით. ამ კუთხით აღსანიშნავია ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ტირიფონის არხის გახსნა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისთვის. აფხაზეთის მიმართულებით: ენგურის ხიდის რეაბილიტაცია და უფასო სამგზავრო ავტობუსის მიმოსვლის აღდგენა; სოფელ რუხში 220 ადგილიანი მრავალპროფილური, საერთო საცხოვრებლის მქონე საუნივერსიტეტო კლინიკის დაარსება და სავაჭრო ურთიერთობის ხელშემწყობისთვის, სავაჭრო კომპლექსის აშენება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის კუთხით, საქართველოს ხელისუფლება ადგილზე წვდომის არ ქონის გამო პროექტებს ვერ ახორციელებს. ამ მიმართულებით, გაეროს განვითარების პროექტი (UNDP) აფხაზეთში სხვადასხვა მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურულ პროექტზე მუშაობს, როგორცაა საგანმანათლებლო და სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ძირითადად, საკუთარ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარე კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში სარემონტო-სარეაბილიტაციო, გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების საკითხების მოგვარებისკენ იყო მიმართული.

სახელმწიფო სტრატეგიის ეს მიზანი ასევე მოიცავს გარემოს დაცვის საკითხებს. ამ კუთხით, ქართველი და აფხაზი სპეციალისტების თანამშრომლობა კოლხური ბზის გადარჩენისთვის და აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიმართულებით დადებითი გამოცდილებაა. აღსანიშნავია, რომ ორივე საკითხზე მუშაობის პროცესში სპეციალისტების რამდენიმე შეხვედრა მოენყო როგორც ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის პროგრამის ხელშემწყობით, ასევე უშუალოდ ქართველი და აფხაზი სპეციალისტების

პირდაპირი, რეგულარული კომუნიკაციის გზით. ასევე, საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზურ მხარეს ვეტერინარული ვაქცინები, შესაწამლი ტექნიკა და საჭირო პესტიციდები მიეწოდა. ტყის დაცვისა და გარემოს დაცვის მიმართულებით აფხაზეთში სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ჰყდ) პროექტებიც ხორციელდება. გარემოს დაცვის საკითხებზე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ვერც საქართველოს ხელისუფლება და ვერც საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ თანამშრომლობენ.

## განათლება

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან განათლების კუთხით მუშაობის რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საქართველოში და საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა და სწავლის დაფინანსება, ერთობლივ პროგრამებზე მუშაობა და სფეროს წარმომადგენლების შეხვედრები და საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საკითხები.

2011-2019 წლებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთის ტერიტორიიდან სტუდენტების ჩარიცხვის დადებითი ტენდენცია შეინიშნება. ამ პერიოდში სულ 1 111 სტუდენტი ჩარიცხა და ამათგან 1 052 სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა (იხ. ცხრილი 1).

*ცხრილი 1. 2011-2019 წლებში აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა:<sup>7</sup>*

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ჩარიცხვა	126	71	60	86	90	84	120	138	336
დაფინანსდა	77	71	58	82	87	84	119	138	336

არსებული მონაცემებით, 2019 წელს აფხაზეთიდან ყველაზე მეტი – 336 სტუდენტი ჩარიცხა, რაც ორნახევარჯერ მეტია წინა წლის მონაცემებთან შედარებით. ასეთი პოზიტიური ცვლილება საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რამდენიმე ნაბიჯით შეიძლება აიხსნას, როგორცაა საკანონმდებლო-ადმინისტრაციული საკითხების გამარტივება, განათლების მიმართულებით ახალი ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიღება, რამაც ხელი შეუწყო საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის უფრო ფართო გავრცელებასა და ხელშეწყობის უფრო კონკრეტული მექანიზმების შეთავაზებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მონაცემები გალის რაიონისა და კოდორის ხეობიდან ჩარიცხულ სტუდენტებს მოიცავს. არსებული ინფორმაციით, ჩარიცხულთა შორის ეთნიკურად აფხაზი სტუდენტების წილი მცირეა.

აფხაზეთისგან განსხვავებით, დადებითი ტენდენცია არ შეინიშნება ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული

სტუდენტების მიმართულებით. იმავე პერიოდში სულ 41 სტუდენტი ჩაირიცხა და ყველა მათგანმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება (იხ. ცხრილი 2).

*ცხრილი 2. 2011-2019 წლებში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა.<sup>8</sup>*

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ჩაირიცხა	3	6	3	4	3	7	6	7	2
დაფინანსდა	3	6	3	4	3	7	6	7	2

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ხელშეწყობის კუთხით რამდენიმე პროგრამა მუშაობს. 2010 წლიდან „1+4“ პროგრამა ვრცელდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდებზეც, თუმცა ამ პროგრამაში მათი ჩართულობა მცირეა. განათლების მიმართულებით უფრო კომპლექსური ინიციატივაა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2018 წელს მიიღო და არსებულ პროგრამებთან ერთად საკანონმდებლო და ადამინისტრაციული საკითხების გამარტივებასაც გულისხმობს. 2019 წელს დაიწყო სკოლისშემდგომი მომზადების პროგრამა, რომლის საპილოტე სამთვიან პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიებიდან 142 აბიტურიენტი მიიღო მონაწილეობა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების მიერ ქართული საგანმანათლებლო პროგრამებით სარგებლობას რამდენიმე შეზღუდვა ახლავს თან, კერძოდ, არსებული შესაძლებლობებისა და შეღავათების შესახებ სრული ინფორმაციის ნაკლებობა, საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარების პროცედურული საკითხები, უკვე ჩარიცხული სტუდენტებისთვის საცხოვრებელი უზრუნველყოფის პრობლემა და ცხოვრებისთვის საჭირო ხარჯებისთვის სტიპენდიების ნაკლებობა.

საზღვარგარეთ სწავლის კუთხით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს განაცხადის შეტანა საქართველოს განათლების საერთაშორისო ცენტრშიც შეუძლიათ, თუმცა აქამდე ამ შესაძლებლობით სარგებლობის სტატისტიკა არ მოიძებნება.<sup>9</sup> გარდა ამისა, საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების თანამშრომლობით, 2014-2015 სასწავლო წლიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდებს, სამხრეთ კავკასიის პროგრამით, ჩივინგის სტიპენდიის (Chevening Scholarship) მიღების შესაძლებლობა აქვთ. დღემდე ამ შესაძლებლობით სულ 13 სტუდენტიმ ისარგებლა, ძირითადად აფხაზეთში.<sup>10</sup>

ერთობლივი კვლევის მიმართულებით, აფხაზ, ოს და ქართველ მკვლევრებსა თუ სპეციალისტებს შორის თანამშრომლობა, ძირითადად, საარქივო საკითხებს შეეხებოდა. სხვა სფეროებში თანამშრომლობისა თუ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების გამოცდილება ნაკლებია. 2013 წლიდან, ევროსაბჭოს ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში, ქართველი და აფხაზი განათლების სპეციალისტები და მასწავლებლები რეგულარულად ხვდებოდნენ უცხო ენის (ინგლისურის) სწავლების,

თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ბილინგვური განათლების საკითხებზე სემინარებში მონაწილეობის მისაღებად. ამ წლებში სულ 6 შეხვედრა ჩატარდა და ამათგან ოსი მასწავლებლები მხოლოდ ერთ შეხვედრას დაესწრნენ.

განათლების მიმართულებით საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საკითხები ბოლო ათი წლის განმავლობაში შეიცვალა და გამარტივდა. წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის ან ნეტრალური დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება საგანმანათლებლო შესაძლებლობების გამოყენების ერთ-ერთი ბარიერი იყო, რაც 2017-2018 წელს შეიცვალა და ასეთი ვალდებულება გაუქმდა. შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს ე.წ. „ინდივიდუალური ნომრის“ გამოყენებით შეუძლიათ არსებულ პროგრამებში ჩართვა. დამატებით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად, ზოგადი უნარების გამოცდის ნაცვლად, აფხაზური და ოსური ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება არის შესაძლებელი. ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიების შიგნით მიღებული განათლების აღიარების პროცედურები გამარტივდა. 2017 წლიდან განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ონლაინ, საერთაშორისო ორგანიზაციების ან საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით, მათ შორის აფხაზურ ენაზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს აღიარებული დოკუმენტები საზღვარგაღეთ სწავლის მიზნით შეუძლიათ გამოიყენონ. თუმცა, მიღებულ ცვლილებებთან ერთად, მნიშვნელოვანია პროცედურული და ბიუროკრატიული საკითხების გამარტივება და დახვეწა. სტრატეგიით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების მუშაობის კუთხით, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა ისევ რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.


## ჯანმრთელობის დაცვა

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის განკუთვნილია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებმა, სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებიდან, ყველაზე ეფექტიანად იმუშავა. ჯანდაცვის სფეროში რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიყოფა, მათ შორის „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში „რეფერალური პროგრამა“), სამედიცინო დახმარების მიწოდება და სფეროს წარმომადგენლების შეხვედრა ცოდნა-გამოცდილების გაზიარების მიზნით.

„რეფერალური პროგრამა“ საქართველოს მთავრობის ყველაზე წარმატებული ინიციატივაა, რომლითაც 2011-2019 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებიდან სულ 9,973 პაციენტმა ისარგებლა (6,398 აფხაზი და 3,027 ოსი; იხ. დიაგრამა 1).<sup>11</sup> ამავე წლებში პაციენტების დაფინანსებაზე ჯამში 28,064,633 ლარი გამოიყო (დეტალური სტატისტიკა იხ. დანართი 1).

<sup>11</sup> ხაზოვანი დიაგრამა აგებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით. მონაცემები მიღებულია 2020 წელის 22 ივლისს. შენიშვნა: მოწოდებულ სტატისტიკაში 2011 და 2012 წლების მონაცემები არ არის ჩაშლილი რეგიონების მიხედვით.

**2011-2019 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან  
"სახელმწიფო რეფერალური პროგრამის" ფარგლებში  
დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა**



დიაგრამა 1. 2011-2019 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა

წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, 2011 წლიდან 2016 წლამდე პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა განუხრელად იზრდება, კერძოდ 2016 წელს 5-ჯერ მეტმა ადამიანმა მიიღო ჯანდაცვის მომსახურება ვიდრე 2013 წელს. 2016 წლის შემდეგ კი ტენდენცია კლებადია, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან მომავალი პაციენტების რაოდენობა მცირდება. პოზიტიური ტენდენცია შეიძლება აიხსნას პროგრამის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებით, პაციენტების მიერ პროგრამის დადებითი შეფასებით, რაც სხვა პაციენტების მოზიდვას უწყობს ხელს და დაფინანსებული სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრით. ხოლო 2017 წელს კლების ტენდენცია ემთხვევა ამავე წელს „რეფერალურ პროგრამის“ ფარგლებში, მაგალითად, დიაგნოსტიკის დაფინანსების შეჩერებას.<sup>12</sup>

აღსანიშნავია, რომ, 2014-2017 წლების მონაცემებით, საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებს, აღნიშნული პროგრამით, პაციენტები ყველაზე ხშირად ონკოლოგიური/ონკოჰემატოლოგიური, ზოგადი ქირურგიული და გინეკოლოგიური მომსახურების მისაღებად მიმართავდნენ.<sup>13</sup> ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პირები სამედიცინო მომსახურებას, ძირითადად, ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თბილისის სამედიცინო ცენტრებში იღებდნენ. ამასთან, სოფელ რუხში 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი და საცხოვრებლის მქონე კლინიკა დაარსდა, რაც აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსული პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების მიღებას ამარტივებს. ასევე, ზუგდიდში C ჰეპატიტის მართვის ცენტრი აფხაზეთში მცხოვრებლები-

<sup>12</sup> Parulava, D. (2020) Georgia’s medical programme for Abkhazians and South Ossetians may be at risk. OC Media, [https://oc-media.org/features/georgias-medical-programme-for-abkhazians-and-south-ossetians-may-be-at-risk/?fbclid=IwAR1GsqYh2cF2M1t0z9bnZ3krY1q40\\_-dTe1Mruy8BOoy-LYTDc4bcNDyfsM](https://oc-media.org/features/georgias-medical-programme-for-abkhazians-and-south-ossetians-may-be-at-risk/?fbclid=IwAR1GsqYh2cF2M1t0z9bnZ3krY1q40_-dTe1Mruy8BOoy-LYTDc4bcNDyfsM)

<sup>13</sup> IDFI (2017) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარჯები. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

სთვის C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვას ხელმისაწვდომს ხდის, თუმცა, ადმინისტრაციული საკითხების გამო, პროცესი შეფერხებულია.

სამედიცინო დახმარების მიწოდება ჯანდაცვის მიმართულების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ კუთხით, გაეროს განვითარების პროგრამის ქოლგის ქვეშ მოქმედი „საკოორდინაციო მექანიზმის“ მეშვეობით, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად მიეწოდებოდა სხვადასხვა მედიკამენტი და ვაქცინა (ტუბერკულოზის და შიდსის საწინააღმდეგო პრეპარატები, იმუნიზაციის ვაქცინები, დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინები, C ჰეპატიტის ტესტები და სხვა), სამედიცინო ინვენტარი და ტექნიკა. თუმცა, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მიმართულებით სამედიცინო დახმარების შეტანის შესაძლებლობა არ ყოფილა.

2011-2019 წლებში ჯანდაცვის კომპონენტზე საქართველოს ბიუჯეტიდან სულ 43 500 000 ლარი დაიხარჯა, აქედან 28 064 633 ლარი მკურნალობის დაფინანსებაზე და 15 435 367 ლარი სამედიცინო დახმარებებზე (იხ. დანართი 1).

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის პროგრამის ფარგლებში, ქართველი და აფხაზი ექიმების რეგულარული შეხვედრები იმართებოდა. შეხვედრების ძირითადი თემა ნარკოტიკული დამოკიდებულების პრევენციისა და მკურნალობის საკითხები იყო (5 შეხვედრა). აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე თანამშრომლობას ქართველი და აფხაზი ექიმები შეხვედრების მიღმაც აგრძელებდნენ, რისთვისაც ონლაინ პლატფორმა შეიქმნა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. ასევე, ტრენინგები ჩატარდა ტუბერკულოზისა და ინფექციური დაავადებებისა (1 შეხვედრა) და C ჰეპატიტის მკურნალობის (1 შეხვედრა) შესახებ. ერთი შეხვედრა ფთიზიატრებს შორის გაიმართა. გარდა ამისა, აფხაზ ექიმებს რეგულარული ტრენინგები უტარდებოდათ ბათუმსა და საჩხერეში. თუმცა, ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთში მოქმედ ექიმებთან მსგავსი თანამშრომლობა და შეხვედრები არ ყოფილა.

ქართველ და აფხაზ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის დადებითი გამოცდილებაა კორონავირუსთან ბრძოლის კუთხით თანამშრომლობა. სფეროს სპეციალისტებს შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, მათ შორის, საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრთან აფხაზი სპეციალისტების პირდაპირი ონლაინ ჩართვა და კონსულტაციები. ვირუსთან საბრძოლველად აფხაზურ მხარეს საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნებისგან გამოყოფილი დახმარება (ტესტები, სადენზიფექციო საშუალებები, აღჭურვილობა და სხვა) „საკოორდინაციო მექანიზმების“ საშუალებით მიეწოდა. ასევე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) წარმომადგენლებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე შეხვედრა გამართეს და ადგილზე მომუშავე სპეციალისტებს ვირუსთან ბრძოლის საუკეთესო გამოცდილება და პროტოკოლი გაუზიარეს. ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობა ვერ შედგა.

მიუხედავად ჯანდაცვის კუთხით მიღწეული წარმატებებისა, ამ სფეროში თანამშრომლობის რამდენიმე შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს. გამყოფ ხაზზე არსებული გამშვები პუნქტების დროებითი, ზოგჯერ ხანგრძლივი, დახურვა და გადაადგილების შეფერხება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება. გადაადგილების შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებთან ურთიერთობის დინამიკასა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მაგალითად, 2019 წელს

ჩორჩანა-წნელისთან მომხდარი ინციდენტის გამო ცხინვალის რეგიონთან დამაკავშირებელი გამშვები პუნქტები დაიკეტა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა შეეზღუდა გამყოფი ხაზის იქეთ მცხოვრებ მოსახლეობას.

„რეფერალური პროგრამის“ შეთავაზების პირველ ეტაპზე ნეიტრალური დოკუმენტების წარდგენა პროგრამაში ჩართვის წინაპირობა იყო, რაც პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ბარიერებს ქმნიდა. შემდგომ ეს შეზღუდვა მოიხსნა, რაც პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის მკვეთრ ზრდაშიც აისახა. ასევე, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხარვეზების გამო, გალის რაიონის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ჯანდაცვის სფეროში არსებული შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ 2017 წლიდან მიეცა.

ბოლო პერიოდში პროგრამის ეფექტიანად მუშაობის ერთ-ერთ ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად პირველადი დიაგნოსტიკის დაფინანსების შეწყვეტა სახელდება. ასევე, კომისიის შეკრებისა და გადაწყვეტილების მიღება პროცედურულად და ბიუროკრატიულად განელილი პროცესია, რაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული პაციენტებისთვის, გადაადგილების შეზღუდვების გათვალისწინებით, დამატებით სირთულეებს ქმნის. ასევე, გასაუმჯობესებელია პოსტ-ოპერაციული რეაბილიტაციისა და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარების პროცესში პაციენტების საცხოვრებლით უზრუნველყოფა საკითხი. რამდენადაც „რეფერალური პროგრამის“ განხორციელების პროცესში სხვადასხვა სტრუქტურა არის ჩართული, მათ შორის სისტემური და კოორდინირებული მუშაობის ნაკლებობა პროგრამის ეფექტიანობას აფერხებს.

## სახალხო დიპლომატია


სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კონფლიქტებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის განვითარება და ხელშეწყობაა. ამ კუთხით საქართველოს მთავრობის შესაბამისი უწყებების როლი შეხვედრებში მონაწილეობითა და, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზება-კოორდინაციის პროცესში დახმარებით შემოიფარგლება.

დიალოგისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართულ შეხვედრებს, ძირითადად, საერთაშორისო, ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციები (მაგ. გერმანია, დიდი ბრიტანეთი) ატარებენ. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული შეხვედრები, ძირითადად, გაეროს განვითარების პროგრამის ქოლგის ქვეშ მოქმედი „საკოორდინაციო მექანიზმის“ ხელშეწყობით ხორციელდება. ადგილობრივი ორგანიზაციები კი, უმეტესად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში პირადი კონტაქტებისა და დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით მართავენ პროექტებსა თუ შეხვედრებს.

საზოგადოებებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობის მიზნით, 2010-2020 წლებში ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის მექანიზმის ორგანიზებით სულ 145 შეხვედრა გაიმართა, აქედან 131 შეხვედრაში ქართველებთან ერთად მონაწილეობდნენ აფხაზეთის რეგიონიდან, ხოლო 14 შეხვედრაში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთიდან (იხ. დიაგრამა 2).<sup>14</sup>

<sup>14</sup> ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის მექანიზმის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მონაცემები მიღებულია 2020 წლის 30 ივლისს. შესაბამისად, 2020 წლის შეხვედრების შესახებ სრული ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

პროგრამის ფარგლებში, კონკრეტული სფეროს წარმომადგენლებს შორის რეგულარული შეხვედრები იმართებოდა, მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორცაა კულტურული მემკვიდრეობისა და მუზეუმების მართვა, საარქივო მასალებზე მუშაობა, განათლება, ჯანდაცვა, კონფლიქტების მოგვარება, ადამიანის უფლებები და ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საკითხებზე შეხვედრები, ძირითადად, ქართველ და აფხაზ წარმომადგენლებს შორის ტარდებოდა. ასევე, ქართველმა, აფხაზმა და ოსმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე სამშვიდობო ბანაკში.



დიაგრამა 2. 2010-2020 წლებში ევროსაბჭოს ნდობის აღდგენის პროგრამის ფარგლებში გამართული შეხვედრები

2015 წლიდან ქართული და აფხაზური საზოგადოებების წარმომადგენლები, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღები პირები, ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებოდნენ ლონდონში (დიდი ბრიტანეთი), ბერნში (შვეიცარია) და ბერლინში (გერმანია).<sup>15</sup> შეხვედრები, ძირითადად, მიმდინარე მოვლენებისა და ინიციატივების განხილვის სივრცეს წარმოადგენდა. ერთი მხრივ, ეს შეხვედრები ნაკლებად სისტემური და კონკრეტულ თემასთან არ იყო დაკავშირებული, რაც მის შედეგებს ნაკლებად ხელშესახებს ხდის. მეორე მხრივ, ამ შეხვედრებზე დაედო საფუძველი აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის, ეკოლოგიისა და არქივების საკითხებზე ერთობლივ მუშაობას. ასევე, მსგავს ფორმატში განხილული საკითხები შემდგომ სახელმწიფო პროგრამებსა და ინიციატივებში იქნა გათვალისწინებული, მაგალითად, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განათლების მიმართულებაში.

აღსანიშნავია, რომ, დროთა განმავლობაში, რეგულარულმა შეხვედრებმა დადებითი შედეგები გამოიღო ურთიერთობის განვითარებასა და ნდობის აღდგენის კუთხით, რასაც აფხაზური მხრიდან პროაქტიული ინიციატივებისა და ჩართულობის გაზრდა მოჰყვა. ამ მხრივ, ხელშესახები შედეგებია, მაგალითად, თანამშრომლური ურთიერთობები ჯანდაცვის სფეროში და არქივის სპეციალისტების ერთობლივი პუბლიკაციები. არაპირდაპირი დადებითი გავლენები ჩანს სხვა მიმართულებითაც, მაგალითად, ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სოციალური

<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ შეხვედრების ეს ფორმატი მანამდე არსებული შეხვედრების, კერძოდ, შლანინგის ფორმატის საფუძველზე შეიქმნა.

მუშაკები კომუნიკაციას შეხვედრების მიღმაც აგრძელებენ და აფხაზეთში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ცხელი ხაზიც შექმნეს.

თანამშრომლობისთვის მზაობა ყველაზე მაღალია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. ასევე, მიუხედავად ადამიანის უფლებების დაცვის საკითხის პოლიტიზირებისა, ამ სფეროს და სახალხო დამცველის წარმომადგენლების რეგულარულ შეხვედრებს დადებითი გავლენები აქვს. მაგალითად, აფხაზეთის ამჟამინდელი ე.წ. სახალხო დამცველი, რომელიც წლების განმავლობაში ქართულ-აფხაზურ ტრენინგებში მონაწილეობდა, გალის რაიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებების დაცვაზე ყველაზე აქტიურად საუბრობს.<sup>16</sup> მსგავსად, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის აფხაზი სპეციალისტები უფრო აქტიურად იცავენ ადგილზე არსებულ ძეგლებს, მათ შორის ქართულ ძეგლებს.

საზოგადოებათაშორისი ურთიერთობების მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად ოსურ მხარესთან თანამშრომლობის ნაკლებობა რჩება. ამის რამდენიმე მიზეზი სახელდება: 1. ცხინვალის რეგიონის სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ნელ-ნელა იფანტება და მუდმივი წნეხის ქვეშ არის; 2. ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ორგანიზაციების წვდომის შეზღუდვა; და 3. საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესის ნაკლებობა, რაც, გარკვეულწილად, გამოწვეულია ოსი მონაწილეების დიალოგში ჩართვის მცდელობის უარყოფითი გამოცდილებით. ეს მიზეზები მჭიდრო კავშირშია გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასა და მიმდინარე ოკუპაციის პროცესთან. მიუხედავად სირთულეებისა, 2008 წლის შემდეგ ოსურ მხარესთან დიალოგის უფრო მეტი საჭიროება და შესაძლებლობა გაჩნდა. ამ კუთხით, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის ორგანიზებული სამოქალაქო დიალოგის ფორმატი „თვალსაზრისი“ ერთადერთ გრძელვადიან და რეგულარულ შეხვედრების სივრცეს ქმნის. ასევე, ქართული ადგილობრივი ორგანიზაციები ოსებთან პირადი კონტაქტების საშუალებით ერთობლივ პუბლიკაციებზე მუშაობენ.

აფხაზეთთან ურთიერთობის კუთხით, მესამე მხარის ფასილიტაციის გარეშე, პირდაპირი შეხვედრების ორგანიზებას რამდენიმე ფაქტორი აფერხებს: 1. აფხაზები მესამე მხარის ჩართულობის გარეშე ქართველებთან შეხვედრის წინააღმდეგი არიან, რადგან ეს მათთვის ადგილობრივ წინააღმდეგობას და პოლიტიკურ სირთულეებს ქმნის; 2. აფხაზები ქართველებთან თანამშრომლობაზე უფრო მეტად საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობით და ამ გზით ცოდნა-ექსპერტიზის მიღებით არიან დაინტერესებული. მეორე ფაქტორის მაგალითია ქართველი და აფხაზი მასწავლებლების შეხვედრები. აფხაზები ქართველ კოლეგებთან ღია თანამშრომლობის მომხრეები არ არიან, მაგრამ ტრენინგების დროს მიღებულ ცოდნასა და უნარებს აქტიურად იყენებენ პრაქტიკაში, რასაც მათ მიერ შეხვედრიდან-შეხვედრამდე შევსებული კითხვარები და ანგარიშებიც ადასტურებს.

სახელმწიფო სტრატეგია ასევე ითვალისწინებს დიასპორებთან, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის მიერ გადასახლებულ მოსახლეობასთან (მაგ. თურქეთში მცხოვრები აფხაზები), დიალოგის წარმოებას, თუმცა 2012 წელს საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა არ გაგრძელებულა. ეს მიმართულება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაშია და შერიგებისა და სამო-

<sup>16</sup> Civil.ge (2020) Abkhaz Ombudsperson Speaks of Rights Abuses of Gali Georgians. Civil.ge, <https://civil.ge/archives/357910> Accessed 27 August 2020

ქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ამ საკითხებზე კოორდინირებული მუშაობა არ მიმდინარეობს.

## კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა და შენარჩუნება

კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა-შენარჩუნების კუთხით მუშაობა მოიცავს არქივების საკითხებზე თანამშრომლობასა და ერთობლივი პუბლიკაციების მომზადებას, აფხაზური და ოსური ენების დაცვასა და ძეგლთა დაცვის საკითხებს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს განადგურებული სოხუმის არქივების აღდგენის მიზნით, თბილისის არქივებში დაცული საბჭოთა პერიოდის მასალების ასლები აფხაზურ მხარეს პერიოდულად გადაეცემოდა საერთაშორისო ფორმატების, მაგ. ჟენევის საერთაშორისო დიკუსიისა და ევროსაბჭოს ნდობის აღდგენის შეხვედრებისას. ასევე, ბრიტანეთის მთავრობის დახმარებით, ეთნოგრაფიული არქივები გადაეცა ოსურ მხარეს. რამდენიმე უწყების თანამშრომლობით მომზადდა აფხაზეთის ვირტუალური არქივი AVA, სადაც მასალები ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი.<sup>17</sup> არქივების გაცვლის მიმართ დაინტერესება დიდია და პროცესს მხარეები დადებითად აფასებენ.

კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის შენარჩუნების მიზნით, ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში, რეგულარული შეხვედრები იმართებოდა ქართველ და აფხაზ, ასევე ოს სპეციალისტებს შორის. შეხვედრების და ტრენინგების თემები მოიცავდა კულტურული მემკვიდრეობისა და მუზეუმების მენეჯმენტის, არქიტექტურულ ნაგებობათა კონსერვაციისა და აფხაზური ენის სინქრონული თარგმანის საკითხებს (აფხაზური ენის მცოდნე ქართველი და აფხაზი სპეციალისტების მონაწილეობით). ამავე ფორმატში, ქართველი და აფხაზი არქივის სპეციალისტები ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ერთობლივი პუბლიკაციების მოსამზადებლად. შედეგად, ერთი პუბლიკაცია გამოიცა, ერთი მზად არის გამოსაცემად და დამატებით სამ თემაზე მიმდინარეობს მუშაობა.

აფხაზური ენისა და კულტურის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, სპეციალური სახელმწიფო პროგრამა შეიქმნა. ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევის ცენტრი დაფუძნდა, რომელიც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო აფხაზური კუთხე. ასევე, ხელოვნების ეროვნულ ცენტრთან ერთად მოქვის სახარება მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე გამოიცა და გავრცელდა აფხაზეთის რეგიონშიც. დამატებით, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე სკოლაში გაძლიერდა აფხაზური ენის სწავლება და აფხაზურ და ოსურ ენებზე რამდენიმე სახელმძღვანელო შეიქმნა.

ძეგლთა დაცვის საკითხებზე, საქართველოს მთავრობის ძირითადი მუშაობა მიმართული იყო აფხაზეთში მდებარე ძეგლთა სიის შედგენის, აფხაზეთში „შავი არქეოლოგიის“ შესახებ საერთაშორისო საზოგადოების, კერძოდ UNESCO-ს ინფორმირებისა და მათ მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მონიტორინგის მიზნით ექსპერტთა მი-

<sup>17</sup> აფხაზეთის ვირტუალური არქივი AVA ვებ გვერდი: <http://ava.ge>

სიის მივლინების საკითხებზე. ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში კი ქართველი და აფხაზი, ასევე ქართველი და ოსი სპეციალისტები რეგულარულად ხვდებოდნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლისა და აღწერის საკითხებზე. ქართულ-აფხაზური თანამშრომლობა ამ მიმართულებით უფრო ეფექტიანი იყო. მათ ძეგლების აღრიცხვის ფორმა ერთობლივად შეიმუშავეს, რათა აფხაზ სპეციალისტებს თავად აღერიცხათ ადგილზე არსებული ძეგლები. ორივე რეგიონში საკითხის პოლიტიზირების გამო კონკრეტული ნაბიჯები ვერ გადაიდგა, მაგრამ აფხაზი და ოსი სპეციალისტების ცოდნის გაღრმავებამ და გაძლიერებამ დადებითი გავლენა იქონია მათ მიერ ადგილობრივი არასწორი პოლიტიკის გაპროტესტებისა და ძეგლთა დაცვის ადვოკატირების კამპანიების წარმართვის კუთხით.

სახელმწიფო სტრატეგიის კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა-შენარჩუნების მიზანი ასევე მოიცავს რელიგიური თავისუფლებისა და კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის ხელშეწყობას. წინა პერიოდისგან განსხვავებით, 2012 წლიდან შერიგების პოლიტიკის ფარგლებში კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის გაღრმავების საკითხზე მუშაობა არ მიმდინარეობდა, ხოლო რელიგიის საკითხებზე, მათ შორის მშობლიურ ენაზე საეკლესიო მსახურების უზრუნველყოფის კუთხით საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებზე ინფორმაცია არ მოიძებნება.<sup>18</sup>

## ინფორმაციის დაუბრკოლებელი გავრცელება

სახელმწიფო სტრატეგიის მიზანი ინფორმაციის დაუბრკოლებლად გავრცელების კუთხით მოიცავს კომუნიკაციისთვის ხელსაყრელი პლატფორმებისა და მექანიზმების შემუშავებას, ჟურნალისტებს შორის თანამშრომლობის ნახალისებასა და ამ პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

საკომუნიკაციო პლატფორმების შექმნის კუთხით, ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში ნარკომანიის პრევენციაზე მომუშავე ქართველი და აფხაზი ექიმების თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შეიქმნა ონლაინ პლატფორმა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. არსებული ინფორმაციით, სხვადასხვა პროექტის მონაწილეებისთვის სოციალურ ქსელებში ჯგუფები და არაფორმალური კომუნიკაციის სივრცეები იქმნებოდა. სხვა კონკრეტული პლატფორმა ან მექანიზმი ამ მიმართულებით არ შექმნილა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებისა და ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, ვიდეო-რგოლები და საინფორმაციო ბუკლეტები აფხაზურ და ოსურ ენებზეც მომზადდა. ბუკლეტების აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში გავრცელების ერთ-ერთი გზა მათი გამშვებ პუნქტებთან დარიგება და „რეფერალურ პროგრამაში“ ჩართული პაციენტებისთვის გადაცემა იყო. ვიდეო-რგოლები განთავსდა ქართულ საინფორმაციო სივრცეში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ გვერდზე და EUNATO GovGe-ის YouTube არხზე. ანგარიშის მომზადების დროისთვის, აფხაზურ ენაზე

<sup>18</sup> შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მითითებით, აღნიშნული საკითხი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციაში შედის.

თარგმნილი ვიდეოს ნახვების რაოდენობაა 89, ხოლო ოსურის – 21.<sup>19</sup> ასევე, კორონავირუსის პრევენციისა და არსებული რეკომენდაციების შესახებ აფხაზურ და ოსურ ენებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია StopCov.ge-ზე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გვერდს აქვს ქართული, ინგლისური და რუსული ენების გამოყენების ფუნქცია. გვერდზე სტრატეგიული დოკუმენტების ნაწილი თარგმნილია აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე, თუმცა ყველა დოკუმენტის თარგმანი აფხაზურ და ოსურ ენებზე არ არის ხელმისაწვდომი. ასევე, ქართულ ენაზე მოცემული დოკუმენტების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე აღნიშნულ ენებზე თარგმნილი მასალებისა. თარგმნილი დოკუმენტები განთავსებულია ქართულ წყაროებთან ერთად, რაც ართულებს მის მოძებნას და ხელმისაწვდომობას.

ჟურნალისტებს შორის ურთიერთობის კუთხით, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ქართველ და აფხაზ ჟურნალისტებს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ერთი ტრენინგი ჩაუტარდათ. მედიის წარმომადგენლების შეხვედრებზე დასწრების შესაძლებლობა იყო ჯოჯ მეისონის უნივერსიტეტის და შერიგების რესურსების (ლონდონის შეხვედრები) მიერ გამართულ შეხვედრებზე. დამატებით, „საკოორდინაციო მექანიზმის“ საშუალებით ქართველ ჟურნალისტებს კონფლიქტის გაშუქების საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარდათ. 2012-2020 წლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მინისტრები ყოველწლიურ შეხვედრებს მართავდნენ ქართველ ჟურნალისტებთან დახურულ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლის მიზნით, თუმცა კორონავირუსის პანდემიის გამო შეხვედრები შეფერხდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს შორის არსებული დახურული ინფორმაციული გარემოს გარღვევა გამონვევად რჩება. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში რუსული საინფორმაციო ველი არის დომინანტური, რაც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა თუ ქართული მხარის შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის სრულ და ზუსტ მიწოდებას აფერხებს. ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის ნაკლებობა აისახება განათლების, ჯანდაცვისა და ეკონომიკის მიმართულელებით არსებულ პროექტებში აფხაზებისა და ოსების მონაწილეობაზე. კერძოდ, მათთვის ინფორმაციის ძირითადი წყარო ხშირად ნაცნობები ან ადგილზე მომუშავე ორგანიზაციებია, რაც ინფორმაციის მიწოდებას ინდივიდებზე დამოკიდებულს ხდის.

ინფორმაციის დაუბრკოლებლად გავრცელების შემაფერხებელი ფაქტორებიდან რამდენიმეა: აფხაზურ და ოსურ მხარეს ინტერესის ნაკლებობა; რუსული საინფორმაციო სივრცის დომინანტურობა; ადგილზე ქართული სიგნალების ჩახშობა; ქართული მხარის მიერ ინფორმაციის გაფილტვრა კონფლიქტების სენსიტიურობისა და აფხაზი და ოსი პარტნიორების უსაფრთხოების გათვალისწინებით; ქართული მხარის შიდა პოლარიზება და საკითხების პოლიტიზირებულობა; ქართული მხრიდან ამ საკითხებზე მუშაობის კონკრეტული ხედვის ან მაქანიზმის არ არსებობა.

<sup>19</sup> აფხაზურ ენაზე ვიდეო რგოლის ბმული YouTube: <https://www.youtube.com/watch?v=qFjdBOCLlzQ> ოსურ ენაზე ვიდეო რგოლის YouTube-ის ბმული: <https://www.youtube.com/watch?v=2PZjzle4JBQ>

## სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები

სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობას სხვადასხვა დროს რეკომენდაციებით მიმართა ვენეციის კომისიამ, სახალხო დამცველმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. რეკომენდაციები, ძირითადად, საქართველოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის მიერ დაწესებული შეზღუდვების ლიბერალიზაციისკენ იყო მიმართული, კერძოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალი გადაადგილების და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების საკითხებზე. არსებული მდგომარეობით, კანონი ზღუდავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე პრაქტიკულად ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის ინვესტიციებისთვის, ასევე ქართული კომპანიებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის, თუ ეს საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით ხორციელდება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნებისმიერი საქმიანობა და გადაადგილება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე არის შესაძლებელი.<sup>20</sup>

2013 წელს მიღებული ცვლილებებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის ნებართვის გაცემის პროცედურები გამარტივდა. ასევე, გამონაკლის შემთხვევებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემის წესი შემუშავდა. ნებართვის გაცემა შესაძლებელია შესვლამდე და შესვლის შემდეგაც, შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე. ასევე, ტერიტორიებზე შესვლისას კანონით განსაზღვრული წესების დარღვევის პირველ შემთხვევაში პატიმრობის ნაცვლად ადმინისტრაციული სახდელი განისაზღვრა, ხოლო განმეორების შემთხვევაში – სისხლის სამართლის დანაშაულად აღირიცხება. 2016 წლის ცვლილებების მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა დასაშვებია გახდა თავშესაფრის ძიების მიზნით.

2018 წელს საქართველოს მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ საფუძველზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღების შესაძლებლობები და მათი ზოგადი განათლების დოკუმენტების აღიარების წესი გამარტივდა. ასევე, ინიციატივის გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებისა და განათლების მიმართულებები ითვალისწინებს რიგ ცვლილებებს საქართველოს კანონებში, კერძოდ: „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, „სამოქალაქო აქტების შესახებ“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“, „მენარმეთა შესახებ“, „გრანტების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონებში.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადაადგილებისა და საქმიანობასთან დაკავშირებული ნოთიფიკაციის სისტემა აფხაზეთთან და ოსებთან ერთობლივი

<sup>20</sup> სახალხო დამცველი (2017) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზი და რეკომენდაციები. თბილისი: სახალხო დამცველი. <http://ombudsman.ge/res/docs/2019041113004967514.pdf>. Accessed 14 ივლისი 2020.

პროექტების განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორად არ სახელდება. თუ პროექტი საქართველოს კანონმდებლობასა და მთავრობის განსაზღვრულ მიზნებს შეესაბამება, ნოტიფიკაციის მიღება სირთულეებს არ უკავშირდება. ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კომუნიკაციისა თუ კონსულტაციების კუთხით, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დადებითი გამოცდილება აქვთ. თუმცა ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის ჩართულობისა და თანამშრომლობის უფრო მაღალი ხარისხი არის სასურველი.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ადმინისტრაციული პროცედურები და საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინაციის ნაკლებობა გარკვეულ შემთხვევებში ფაქტორად სახელდება, მაგ. ნეიტრალური დოკუმენტების აღებისას, „რეფერალურ პროგრამაში“ ჩართვისას, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისა თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაცემული დოკუმენტების აღიარებისას. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ფულადი გადარიცხვების ორგანიზების შეზღუდვა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ერთობლივი პროექტების განხორციელებისას გარკვეულ შემთხვევებს უქმნის იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც მხოლოდ საბანკო გადარიცხვებით ახერხებენ ანგარიშწორებას. ასევე, საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების დამტკიცების შესახებ“ შეზღუდვებს აწესებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანასთან დაკავშირებით, მათ შორის პროექტებში მონაწილეების მიზნით.

## ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას, მათ შორის განსაკუთრებით ეთნიკურად ქართველების უფლებების დაცვას, და ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვასა და სპეციალური საერთაშორისო მონიტორინგის მისიების შექმნას.

ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყების მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე ინფორმაციის მიწოდებაზე იყო მიმართული. ეს საკითხები აქტიური განხილვის საგანი იყო ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატში და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მიერ ორგანიზებული შეხვედრების დროს.<sup>21</sup> კერძოდ, ძირითადად განიხილებოდა: გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, გამყოფ ხაზებთან ახლოს ეთნიკურად ქართველების დაკავებისა და მკვლელობის ფაქტები, გალსა და ახალგორში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა (მაგ. მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის საკითხები, ეთნიკური წარმომავლობისა და იდენტობის შეცვლის მცდელობები, „ბინადრობის მოწმობის“ აღების საკითხი და სხვა).

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, აფხაზურ და ოსურ მხარეებთან თანამშრომ-

<sup>21</sup> 2018 წლის ივნისიდან IPRM-ის შეხვედრები გალში შეწყვეტილია.

ლობისა და პირდაპირი მოლაპარაკებების დადებითი გამოცდილება იყო 2016 წელს ენ-გურის ხიდზე პატიმართა გაცვლა. ამ პროცესში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყება იყო ჩართული.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მისიებს (მაგ. ევროპის საბჭო, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია). თუმცა, 2015-2016 წლებში, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და ქართული მხარის მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტებს, თომას ჰამერბერგსა და მაგდალენა გრონოს შესაძლებლობა მიეცათ ადგილზე განეხორციელებიათ ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი აფხაზეთის რეგიონში. საბოლოოდ, საკითხის პოლიტიზირების გამო, მომზადებული ანგარიში ოფიციალურად არ გამოქვეყნდა და დამოუკიდებელი წყაროებით გახდა ხელმისაწვდომი.<sup>22</sup>

ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში, ყოველწლიური შეხვედრები იმართებოდა ქართველი და აფხაზი სახალხო დამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. შეხვედრებისა ძირითადი თემა ოჯახური ძალადობის, მათ შორის ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის, და ქალთა გაძლიერების საკითხები იყო. ასევე, ქართველ და აფხაზ ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვების დახმარების მეთოდებზე რამდენიმე ტრენინგი ჩაუტარდათ. მსგავს შეხვედრებზე სოციალური მუშაკების თანამშრომლობის შედეგია აფხაზეთში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის ცხელი ხაზის შექმნა. მიუხედავად აფხაზეთში ადამიანის უფლებების, კერძოდ, გალში მცხოვრები ეთნიკური ქართველების უფლებების დაცვის საკითხის პოლიტიზირებისა, ქართულ-აფხაზური შეხვედრების დადებითი გავლენა ჩანს 2018 წელს დანიშნული აფხაზი სახალხო დამცველის მიერ გალის მოსახლეობის უფლებების ადვოკატირებაში. ამ ფორმატში, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე თანამშრომლობა ოსურ მხარესთან არ შემდგარა.

#### სტიქიური უბედურებების პრევენცია

საქართველოს ხელისუფლება მზადყოფნას გამოთქვამს სტიქიური უბედურებების შემთხვევაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს/სამხრეთ ოსეთს დახმარება გაუწიოს.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნულ რეგიონებში სტიქიური უბედურების მნიშვნელოვანი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. მხოლოდ, აზიური ფაროსანას გავრცელებამ დიდად დააზარალა აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების სოფლის მეურნეობის სექტორი. ფაროსანასთან ბრძოლის ერთობლივი ეფექტური მექანიზმების შექმნის მიზნით, სფეროს სპეციალისტებს შორის რამდენიმე პირდაპირი შეხვედრა და რეგულარული კონსულტაციები გაიმართა. დამატებით, ქართულმა მხარემ აფხაზეთის რეგიონს სპეციალური შესანამლი ტექნიკა, ფერომონები, აღჭურვილობა და საჭირო პესტიციდები გადასცა. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ქართულ-აფხაზური თანამშრომლობა ერთ-ერთ წარმატებულ და დადებით გამოცდილებად ითვლება.

<sup>22</sup> Hammarberg, T. and Grono, M. (2017) Human Rights in Abkhazia Today. [report]. Stockholm and Brussels: <https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Today-report-by-Thomas-Hammarberg-and-Magdalena-Grono.pdf> Accessed 15 April 2020.

## ჩართულობის ინსტრუმენტები

სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ჩართულობის შვიდი ინსტრუმენტი განისაზღვრა:

1. ნეიტრალური სტატუსის მქონე საკოორდინაციო მექანიზმი
2. პირადობის ნეიტრალური მონაწილეობა და სამოგზაურო დოკუმენტი
3. ნდობის ფონდი
4. ერთობლივი საინვესტიციო ფონდი
5. თანამშრომლობის სააგენტო
6. ფინანსური ინსტიტუტი
7. ინტეგრირებული სოციალურ-ეკონომიკური ზონა

აღნიშნული ინსტრუმენტებიდან მხოლოდ პირველმა და მეორე ინსტრუმენტმა იმუშავა.

ნეიტრალური სტატუსის მქონე „საკოორდინაციო მექანიზმი“, კონფლიქტის სხვადასხვა მხარეებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის ქოლგის ქვეშ შეიქმნა. ის მანამდე არსებულ ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო კომისიის ფორმატის გამოცდილებაზე დაფუძნდა. „საკოორდინაციო მექანიზმს“ კოორდინატორი მხოლოდ აფხაზური მხრიდან ჰყავს, ხოლო ოსურ მხარეს ამ მექანიზმმა ვერ იმუშავა.

„საკოორდინაციო მექანიზმის“ მუშაობას ყველა მხარე დადებითად აფასებს. საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ. ევროპის საბჭო და გაეროს განვითარების პროგრამა) ქართულ-აფხაზური შეხვედრებისა და ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას სწორედ „საკოორდინაციო მექანიზმის“ ჩართულობითა და ხელშეწყობით ახერხებდა. საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოყოფილი სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარება აფხაზურ მხარეს ამ მექანიზმის საშუალებით გადაეცემოდა. ასევე, აფხაზეთის რეგიონში არსებული საჭიროებებისა და ინიციატივების კომუნიკაცია ქართულ მხარესა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მექანიზმის კოორდინატორის საშუალებით ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ „საკოორდინაციო მექანიზმი“ ხშირად ჰუმანიტარული კორიდორის ფუნქციასაც ასრულებდა. თუმცა მის უფრო ეფექტიან მუშაობას სხვადასხვა პერიოდში ობიექტური თუ პოლიტიკური ფაქტორები აფერხებდა, როგორცაა გამშვები პუნქტების დახურვა, პანდემიების პერიოდში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და გადაადგილების შეზღუდვა (მაგ. კორონავირუსის და H1N1 გავრცელების პერიოდში). მექანიზმის მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ პროცესებსა და ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ურთიერთობის დინამიკასთან. კრიზისულ სიტუაციებში მექანიზმის ფუნქციონირების ხარისხი იკლებს და, შესაბამისად, პროექტების ორგანიზებისა თუ დახმარების მიწოდების პროცესი ფერხდება. მიუხედავად ამისა, „საკოორდინაციო მექანიზმს“ მუშაობა არც ერთ ეტაპზე არ შეუჩერებია. ამასთან, მექანიზმის მუშაობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პიროვნულ ურთიერთობებსა და თავად კოორდინატორზე.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში „საკოორდინაციო მექანიზმის“ როლისა და ფუნქციის გათვალისწინებით, ოსურ მხარესთან ასეთი მექანიზმის არ არსებობამ მნიშ-

ვნელოვნად შეაფერხა ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ნდობის აღდგენის მიმართულებით მუშაობა და ჰუმანიტარული დახმარებების მიწოდება.

პირადობის ნეიტრალური მონმობა (NID) და სამოგზაურო ნეიტრალური დოკუმენტი (NTD) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ადამიანებს საცხოვრებლისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე შეუძლიათ აიღონ. ოკუპაციისა და იზოლაციის პირობებში, პირადობის ნეიტრალური მონმობის საშუალებით, აფხაზეთსა და ოსებს საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებულ პროგრამებში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, ხოლო სამოგზაურო ნეიტრალური დოკუმენტით – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა. 2018 წლის მონაცემებით, ნეიტრალური სამგზაურო დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია 12 ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის 9 ქვეყანაში.<sup>23</sup> სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, 235 პირადობის ნეიტრალური მონმობა და 29 სამოგზაურო ნეიტრალური დოკუმენტი გაიცა.<sup>24</sup>

2010 წლიდან წლების განმავლობაში პირადობის ნეიტრალური მონმობის წარდგენა საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, ეკონომიკური თუ სხვა შეღავათებით სარგებლობის წინაპირობა იყო, რაც აფხაზეთისა და ოსების მიერ ამ შესაძლებლობებით სარგებლობას მნიშვნელოვნად აფერხებდა. არსებობდა როგორც პოლიტიკური, ისე ადმინისტრაციული შემაფერხებელი ფაქტორები. ნეიტრალური დოკუმენტის შეთავაზებასთან დაკავშირებით აფხაზურ და ოსურ მხარეებთან კონსულტაციები არ შემდგარა. შესაბამისად, მათი პოზიცია და საჭიროებები არ გათვალისწინებულა. ნეიტრალური დოკუმენტები აფხაზეთისა და ოსების მიერ ქართულ პროპაგანდისტულ ნაბიჯად, ერთგვარ ხაფანგად იქნა აღქმული. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღებას არჩევდნენ, რადგან ეს უფრო მარტივი პროცესი იყო. ამასთან, პასპორტი უფრო მეტ ქვეყანაში მოგზაურობის საშუალებას ქმნიდა. ასევე, ნეიტრალური დოკუმენტების აღება ბიუროკრატიულად უფრო გართულებული პროცესი იყო, რადგან ქართულ სახელმწიფო ინსტიტუტებს ინფორმაციისა და კოორდინაციის ნაკლებობა ჰქონდათ.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, სახელმწიფო პროგრამებში ნეიტრალური დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება მოიხსნა, თუმცა დოკუმენტის მიღების შესაძლებლობა დარჩა. პროგრამებში მონაწილეობის მსურველებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გაცემული ე.წ. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზეც შეეძლოთ მომსახურების მიღება. 2018 წლიდან საქართველოს მთავრობის ახალ სამშვიდობო ინიციატივაში „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ შემოთავაზებულია ახალი, ე.წ. „ინდივიდუალური ნომრის“ მინიჭების სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ნდობის ფონდი და ერთობლივი საინვესტიციო ფონდი არ შექმნილა, თუმცა 2019 წელს, სახელმწიფო საინვესტიციო „საპარტნიორო ფონდთან“ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან ერთად, შეიქმნა „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“. ფონდი 2020 წლის შემოდგომას

<sup>23</sup> ჩეხეთის რესპუბლიკა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ასევე, იაპონია, ისრაელი და აშშ.

<sup>24</sup> ანგარიშის მომზადების დროს, ნეიტრალური დოკუმენტების გაცემის დეტალური სტატისტიკის მისაღებად მივმართეთ იუსტიციის სახლს, თუმცა პასუხი არ მიგვიღია.

სრულფასოვნად ამოქმედდა და ის ახალი სამთავრობო ინიციატივით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გათვალისწინებული ერთობლივი ვაჭრობისა და ბიზნეს იდეების წახალისების და ხელშეწყობის ფინანსური ინსტრუმენტია. ფონდის ტექნიკურ გამართვაში შ-საქართველო იყო ჩართული და მისი ფინანსური მხარდაჭერა გერმანიამ და შვეიცარიამ დაადასტურა. ფონდმა პირველი საგრანტო კონკურსით 14 ბიზნეს-პროექტი შეარჩია, რომელთა დაფინანსება 2021 წელს იგეგმება.

## დასკვნა და რეკომენდაციები

სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ ათწლიანი მუშაობის პირდაპირი შედეგების შეფასების მიხედვით, სტრატეგიამ აფხაზურ მხარესთან უფრო ეფექტიანად იმუშავა, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან. სტრატეგიის ყველაზე წარმატებული მიმართულება ჯანდაცვის სფეროა, რომლის „რეფერალურ პროგრამაში“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ყველაზე მეტი ადამიანი ჩაერთო და ზოგადი თანამშრომლობის გამოცდილებაც დადებითია. ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის ქოლგის ქვეშ მოქმედმა „საკოორდინაციო მექანიზმმა“ სტრატეგიის ჩართულობის ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ეფექტიანად იმუშავა, თუმცა ამ ფორმატში ცხინვალის რეგიონთან თანამშრომლობა ვერ შედგა. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სტრატეგიამ და აქამდე არსებულმა ინიციატივებმა ამ მიმართულებით ვერ იმუშავა. მხოლოდ, ახლახან დაწყებულმა სამთავრობო პროგრამამ „ანარმოე უკეთესი მომავლისთვის“ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში ინტერესი გამოიწვია, თუმცა მისი შეფასება ამ ეტაპზე ნაადრევია. მიუხედავად ოფიციალური ბიზნეს პროექტების ნაკლებობისა, არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან ზუსტი და ამომომწურავი ინფორმაციის მიწოდებას უკავშირდება, რაც სტრატეგიის ყველა მიმართულებაზე ახდენს გავლენას. საზოგადოებათაშორისი ურთიერთობის ხელშეწყობის კუთხით წამყვანი როლი საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს უჭირავთ. აღსანიშნავია, ნდობის აღდგენის მიზნით მუშაობა და რეგულარული შეხვედრების შედეგად დამყარებული კავშირები დადებითად მოქმედებს სხვა სფეროებში თანამშრომლობაზე. ამასთან, სახელმწიფო პროგრამებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, დიდწილად, ინდივიდების მუშაობაზე არის დამოკიდებული მაშინ, როცა ინსტიტუციონალიზაცია და სისტემატიზაცია მნიშვნელოვანია ნდობის აღდგენის პროცესის მდგრადობისთვის. ასევე, საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაცია და შეთანხმებული მიდგომა სტრატეგიის განხორციელების პროცესს გააუმჯობესებს. სტრატეგიისა და მის ფარგლებში შეთავაზებული პროგრამების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მიიჩნევა მისი ცალმხრივობა, კერძოდ, მათი შემუშავების პროცესში აფხაზური და ოსური საზოგადოებების ჩართულობის ნაკლებობა.

## სტრატეგიის შეფასების პროცესში გამოიკვეთა შემდგომი რეკომენდაციები:

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ჩართულობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით, საქართველოს მთავრობამ:

1. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და არსებული დიალოგის ფორმატების გამოყენებით, უნდა იმუშაოს ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ჩართულობის გასაზრდელად, მათ შორის „საკოორდინაციო მექანიზმის“ ამოქმედებითა და ოსების მონაწილეობით დაგეგმილი პროექტების დაფინანსების ხელშეწყობით;
2. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მექანიზმების დახმარებით (ჟენევის ფორმატი, IPRM), აფხაზურ და ოსურ მხარეებთან დიალოგის გზით, აქტიურად უნდა იმუშაოს გამყოფი ხაზის გავლით გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფისთვის;
3. უნდა უზრუნველყოს სამშვიდობო, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების დეპოლიტიზაცია და ამ მიმართულებით, ასევე, უნდა იმუშაოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან;
4. უნდა შეიმუშაოს აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში ინფორმაციის გავრცელების ხედვა და კონკრეტული მექანიზმები;
5. სამშვიდობო პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავების პროცესში, კონსულტაციები უნდა გამართოს აფხაზური და ოსური საზოგადოებების წარმომადგენლებთან, მათი ინტერესების, საჭიროებებისა და მდგომარეობის გათვალისწინების მიზნით;
6. საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი რესურსების გაძლიერებას, მათ შორის ადამიანური რესურსების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ინფრასტრუქტურის;
7. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს სამშვიდობო ინიციატივების შემუშავების პროცესში, განსაკუთრებით ეკონომიკის და საზოგადოებათაშორის ურთიერთობის საკითხებში;
8. ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებათაშორისი ურთიერთობის განვითარებას და სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულების განხორციელებაში სახალხო დიპლომატიის როლზე სისტემური ხედვა უნდა შეიმუშაოს;
9. უნდა იმუშაოს კავკასიელ ხალხებთან და დიასპორასთან (მაგ. თურქეთში აფხაზური დიასპორა) ურთიერთობის განვითარების მიმართულებით;
10. ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით, უნდა იმუშაოს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან პოლიტიკური შეთანხმების მისაღწევად, ბიზნესგარემოს უსაფრთხოების გაზრდისა და ბიზნესსექტორის წახალისების მიზნით;
11. უნდა უზრუნველყოს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული სტუდენტების საცხოვრებლითა და ცხოვრებისთვის საჭირო ხარჯები და ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პროგრამებს;
12. ჯანდაცვის მიმართულებით, უნდა უზრუნველყოს „რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში პირველადი დიაგნოსტიკის დაფინანსება, არსებული რისკებისა და ხარვეზების გათვალისწინებით;

**ადმინისტრაციული და საკანონმდებლო მიმართულებით:**

13. საქართველოს მთავრობის სხვადასხვა უწყებამ შეთანხმებულად და კოორდინირებულად უნდა იმუშაონ საკანონმდებლო და ადმინისტრაციული სივრცის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო სამშვიდობო და ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელების პროცესში;
14. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს ეფექტურად მომუშავე პროგრამებისა და მიდგომების ინსტიტუციონალიზაციასა და სისტემატიზაციაზე, რათა სამშვიდობო პროცესი ხელისუფლებისა და თანამდებობის პირების ცვლილებაზე, ან ცალკეულ ინდივიდებზე არ იყოს დამოკიდებული;
15. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მანდატი უნდა მოიცავდეს როგორც კოორდინაციის, კონსულტაციისა და ადმინისტრაციულ საკითხებს, ასევე სტრატეგიის მიზნებით განსაზღვრული პროგრამული აქტივობების განხორციელებასაც;
16. საქართველოს მთავრობის შესაბამისმა უწყებებმა უნდა შეიმუშაონ სამშვიდობო პროგრამების რისკების ანალიზის და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კონფლიქტისადმი მგრძობიარე პრინციპების (conflict sensitivity, Do No Harm principles) გათვალისწინებით;
17. საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს, საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გაზრდის პარალელურად, ადგილობრივი ფინანსური რესურსების მოზიდვაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

Chankvetadze, N. (2019) Assessment of the Trade Facilitation Component of Georgia's Peace Initiative – A Step to a Better Future. [Policy paper]. Tbilisi: PMC Research Center.

Civil.ge (2020) Abkhaz Ombudsperson Speaks of Rights Abuses of Gali Georgians. Civil.ge, <https://civil.ge/archives/357910> Accessed 27 August 2020

Council of Europe (2019) Consolidated report on the conflict in Georgia. [Information Documents]. Council of Europe. <https://rm.coe.int/native/090000168093fb65> Accessed 30 July 2020.

Hammarberg, T. and Grono, M. (2017) Human Rights in Abkhazia Today. [report]. Stockholm and Brussels: <https://www.palmecenter.se/wp-content/uploads/2017/07/Human-Rights-in-Abkhazia-Today-report-by-Thomas-Hammarberg-and-Magdalena-Grono.pdf> Accessed 15 April 2020.

IDFI (2017) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტების სამედიცინო მომსახურების ხარჯები. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/idfi\\_general/Expenses\\_of\\_medical\\_care\\_of\\_patients\\_living\\_in\\_occupied\\_territories\\_geo.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/idfi_general/Expenses_of_medical_care_of_patients_living_in_occupied_territories_geo.pdf) Accessed 20 აგვისტო 2020.

ICG (2018) Abkhazia and South Ossetia: Time to Talk Trade. Brussels: International Crisis Group. [https://d2071andvip0wj.cloudfront.net/249-abkhazia-and-south-ossetia-time-to-talk-trade%20\(1\).pdf](https://d2071andvip0wj.cloudfront.net/249-abkhazia-and-south-ossetia-time-to-talk-trade%20(1).pdf) Accessed 12 September 2019.

Mirimanova, N. (2015a) Abkhazia: Regulations for Trade with Disputed Statehood. In Druey, C. C. and Fitzé, E. (editors) The Caucasus Conflicts: Frozen and Shelved? Politorbis. Bern: FDFA and swisspeace. 9-17.

Mirimanova, N. (2015b) Trans-Ingur/I Economic Relations: A Case for Regulation. London: International Alert.

Mirimanova, N. (2018) Opening the 'Ingur/i gate' for legal business: Views from Georgian and Abkhaz private companies. London: International Alert.

Parulava, D. (2020) Georgia's medical programme for Abkhazians and South Ossetians may be at risk. OC Media, [https://oc-media.org/features/georgias-medical-programme-for-abkhazians-and-south-ossetians-may-be-at-risk/?fbclid=IwAR1GsqYh2cF2M1t0z9bnZ3krY1q40\\_-dTe1Mruy8BOoy-LYTDc4bcNDyfsM](https://oc-media.org/features/georgias-medical-programme-for-abkhazians-and-south-ossetians-may-be-at-risk/?fbclid=IwAR1GsqYh2cF2M1t0z9bnZ3krY1q40_-dTe1Mruy8BOoy-LYTDc4bcNDyfsM)

SMRCE (2013) რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2013 წლის ანგარიში. თბილისი: რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE (2016) 2014-2015 წწ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE (2017) 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE (2018a) 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE. (2018b) „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივა: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის / სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE. (2018c) „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ სამშვიდობო ინიციატივა: ვაჭრობის

წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ. თბილისი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE (2019) 2018 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

SMRCE (2020) 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

UNDP (2019) UNDP Evaluation Guidelines. New York: United Nations Development Programme.

სახალხო დამცველი (2017) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზი და რეკომენდაციები. თბილისი: სახალხო დამცველი. <http://ombudsman.ge/res/docs/2019041113004967514.pdf> Accessed 14 ივლისი 2020.

საქართველოს მთავრობა (2010a) სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით. თბილისი: საქართველოს მთავრობა.

საქართველოს მთავრობა (2010b) ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. თბილისი: საქართველოს მთავრობა.

საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ 2008 [https://smr.gov.ge/uploads/prev/matsne\\_191\\_e42564ce.pdf](https://smr.gov.ge/uploads/prev/matsne_191_e42564ce.pdf) Accessed 12 ივნისი 2020

საქართველოს მთავრობის დადგენილება N320 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების დამტკიცების შესახებ 2010 [https://smr.gov.ge/uploads/prev/\\_9fc1a153.pdf](https://smr.gov.ge/uploads/prev/_9fc1a153.pdf) Accessed 12 ივნისი 2020

საქართველოს მთავრობის დადგენილება N2019 საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის თანხმობის გაცემისა და აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვის გაცემის წესის შესახებ [https://smr.gov.ge/uploads/prev/matsne\\_584\\_680c151f.pdf](https://smr.gov.ge/uploads/prev/matsne_584_680c151f.pdf) Accessed 12 ივნისი 2020

დანართი 1. 2011-2019 წლებში ოკუპირებული ტერიტორიებიდან „სახელმწიფო რეფერალური პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსებული პაციენტების რაოდენობა

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
აფხაზეთის რეგიონი			161	396	902	1,402	1,136	1,174	1,227
ცხინვალის რეგიონი	167	381	238	445	648	697	403	342	254
დაფინანსება	594,419 ლ	1,261,662 ლ	728,975 ლ	3,166,603 ლ	4,267,512 ლ	5,182,504 ლ	4,214,654 ლ	4,528,766 ლ	4,119,538 ლ
ჯანდაცვის კომპონენტის დაფინანსება	2 მლნ ლ	3 მლნ ლ	2 მლნ ლ	4,5 მლნ ლ	6 მლნ ლ	6 მლნ ლ	6 მლნ ლ	7 მლნ ლ	7 მლნ ლ

დანართი 2. ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ

1. ინტერვიუ N1, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ყოფილი თანამდებობის პირი, 25.05.2020
2. ინტერვიუ N2, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 09.06.2020
3. ინტერვიუ N3, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, 03.07.2020
4. ინტერვიუ N4, ევროპის საბჭოს ნდობის აღდგენის მექანიზმი, 21.07.2020
5. ინტერვიუ N5, ექსპერტი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, 07.08.2020
6. ინტერვიუ N6, ექსპერტი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, 09.08.2020
7. ინტერვიუ N7, ექსპერტი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, 13.08.2020

შენიშვნა: კორონავირუსისგან გამონეული შეზღუდვების გამო, ჩატარდა სატელეფონო და ონლაინ ინტერვიუები.

## წარსულის გააზრება საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციისთვის ივანე აბრამაშვილი

მასშტაბური პოლიტიკური ცვლილებების, ომებისა თუ მასობრივი სისასტიკის ხდომილების შემდეგ, საზოგადოებების წინაშე მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა რჩება წარსულის, იდენტობის, ვიქტიმიზაციისა და სამართლიანობასთან დაკავშირებით. მძიმე წარსულის გააზრება შესაძლოა რთული და საკმაოდ გრძელვადიანი პროცესი აღმოჩნდეს. ეს განსაკუთრებით პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებს ახასიათებს, რომელთა წარსულს მეტადრე ამძიმებს მემკვიდრეობა, რომელიც ადამიანთა უფლებების უხემ დარღვევებს უკავშირდება. „წარსულის გააზრება“ (Dealing with the Past) არის მეთოდი, რომელიც ხასიათდება მრავლისმომცველი მიდგომით, ის სასარგებლოდ გვესახება მტკივნეული პოლიტიკური მემკვიდრეობის დასაძლევად და მდგრადი მშვიდობის მისაღწევად.

DWP შედარებით ახალი კონცეფციაა; სავარაუდოდ, მისი ევოლუცია შეიძლება დავუკავშიროთ ომისშემდგომი პერიოდის გერმანიაში გავრცელებულ ცნებას Vergangenheitsbewältigung (წარსულის დაძლევა), რომელიც აღწერდა ქვეყნის მცდელობას, გაეაზრებინა და შეგუებოდა ნაციონალ-სოციალიზმისა და ჰოლოკოსტის საკუთარ ისტორიას. ეს პროცესი ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა და მოიცავდა გამოძიებებსა თუ სასამართლო პროცესებს, ასევე კრიტიკულ თვითრეფლექსიას, როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარსულის გააზრების მძიმე პროცესი ასევე მოიცავდა ფიქრს მომავალსა და იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მომავალი თაობებისთვის წარსულის ხსოვნას<sup>1</sup>.

დღეს „წარსულის გააზრება“ ზოგადად ასოცირდება სასამართლო და არასამართლო მექანიზმებთან, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებების დარღვევების მძიმე მემკვიდრეობასთან გასამკლავებლად, განსაკუთრებით ავტორიტარული რეჟიმებიდან დემოკრატიულ წყობაზე გადასვლისა და აგრეთვე, კონფლიქტების დროს.<sup>2</sup> ეს მიდგომა ემყარება მსხვერპლზე ორიენტირებულ უფლებებსა და დაუსჯელობის წინააღმდეგ გამოსაყენებელ ოთხ უმთავრეს პრინციპს<sup>3</sup>:

1. უფლება იცოდე (ეს არის ინდივიდუალურ მსხვერპლთა და მათი ოჯახების უფლება, შეიცნონ სიმართლე – თუ რა შეემთხვათ მათ ან მათ ახლობლებს; ის გულისხმობს ასევე არქივების დაცვას, კოლექტიური მეხსიერების დაცვასა და ზრუნვას, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას);
2. მართლმსაჯულების აღსრულების უფლება (მსხვერპლთა უფლება, მიიღონ სამართლიანი რეაგირება მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მოვალეობას გამოიძიოს, გაასამართლოს და სათანადო სასჯელი განახორციელოს);
3. ანაზღაურების უფლება (მაგ., რესტიტუცია; კომპენსაცია ფიზიკური თუ ფსიქიკური ზიანის გამო, ასევე დაკარგული შესაძლებლობების – დასაქმების, განათლებისა და სოციალური დახმარებების მხრივ; სამედიცინო რეაბილიტაცია და ფიზიოთერაპია; სიმბოლური აქტები, როგორცაა მსხვერპლთა მიმართ ყოველწლიურად გამოხატული

<sup>1</sup> Vergangenheitsbewältigung: განსაზღვრება Deutsche Welle-ს მიერ.

<sup>2</sup> Sisson, Jonathan (2010) A Conceptual Framework for Dealing with the Past, In: Politorbis Nr. 50, გვ. 11.


<sup>3</sup> იქვე, გვ. 12-13.

პატივისცემა, ძეგლებისა და მუზეუმების დაარსება; სახელმწიფოს მიერ მისი პასუხისმგებლობის აღიარება საჯაროდ ბოდიშის მოხდის სახით);

4. დანაშაულების განუმეორებლობის გარანტია (მაგ., დანაშაულის მსხვერპლთა და ზოგადად საზოგადოების დაცვა შემდგომი დარღვევებისგან; კარგი მმართველობისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა).

ამ სამართლებრივი განზომილების გარდა, DWP ასევე მოიცავს ნაციონალიზმისა და მიკერძოებული კოლექტიური მეხსიერების დეკონსტრუქციას. კონფლიქტების კვალდაკვალ, პრობლემად რჩება წარსულის პოლიტიზირება, ვიქტიმიზაციის კოლექტიურ მეხსიერებაში ჩანერგვა და „მეხსიერებათა ომების“ ხელშეწყობა, რადგან მხარეები, როგორც წესი, სტრატეგიულად ახდენენ კოლექტიური მეხსიერების მანიპულირებას და შემდეგ ცდილობენ მის ინსტიტუციონალიზაციასა და გავრცელებას, როგორც სივრცეში, ისე დროში<sup>4</sup>. ამ პროცესის ფარგლებში „მიკერძოებული მეხსიერება“ წარმატებით ახდენს სახელმწიფო რესურსებისა და საზოგადოებრივი განწყობების მობილიზებას.<sup>5</sup>

ზოგადად, იმ საზოგადოებებში, რომლებიც ცდილობენ გადალახონ ძალადობრივი კონფლიქტების მემკვიდრეობა, „წარსულის გააზრების“ პროცესი მიზნად ისახავს ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნას, რომლებიც აუცილებელია ტოლერანტობისა და ძალაუფლების გაზიარების დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებასა და ასევე მსხვერპლ-დამნაშავის იდენტიფიკაციის ტრანსფორმაციისთვის<sup>6</sup>.



<sup>4</sup> McGrattan, Cillian (2014) Policing politics: framing the past in post-conflict divided societies, Democratization, 21:3, გვ. 390-394.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 394.

<sup>6</sup> Baumgartner Elisabeth, Gabriel Sidonia & Jones Briony (2015) A Transformative Approach to Dealing with the Past, Swisspeace, გვ. 9.

ამგვარი ფოკუსი დემოკრატიული, სამართლიანი და მშვიდობიანი საზოგადოების შექმნაზე, კონფლიქტის ტრანსფორმაციის გადამწყვეტი კომპონენტია, რაკი ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი დარღვევები ყოველთვის გავლენას ახდენს ინდივიდუალურ, კოლექტიურ და სტრუქტურულ ურთიერთობებზე. ეს კი ხელს უშლის საზოგადოებების შერიგებას<sup>7</sup>. დემოკრატია, „ნარსულის გააზრებასა“ და კონფლიქტის ტრანსფორმაციას შორის ამ მჭიდრო ურთიერთქმედების გააზრება შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი იყოს იმის ასახსნელად, თუ რატომ შეიძლება „ნარსულის გააზრება“ წარმატებული იყოს ზოგიერთ პოსტკონფლიქტურ გარემოში და არა რომელიმე სხვაში.

### კონფლიქტები საქართველოში და წარსულის გააზრება: ყოველსომაცველი ჩარჩოს არარსებობა

უახლესი ისტორიის ყველა ეტაპზე, საქართველოს უწევდა გამკლავებოდა ურთულეს პოლიტიკურ მემკვიდრეობას და თან შეჭიდებოდა ადამიანის უფლებების ხშირ დარღვევებს. ამგვარი აუცილებლობა წარმოიშვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებისა (როგორებიც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, დამოუკიდებლობის აღდგენა, 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალება, 2003 წლის ვარდების რევოლუცია, მთავრობის შეცვლა 2012 წელს) და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარ ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგადაც. ვინაიდან ბოლო 29 წლის განმავლობაში ეს კონფლიქტები სულ უფრო და უფრო რთულ ხასიათს იღებდა, დღეს აუცილებელია მათ ყველა მხრიდან დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება, პირველ რიგში კი ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან; დრო აქ, ძირითადად, თბილისის წინააღმდეგ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მრავალი მცდელობა იყო და არაერთი ცალკეული ინიციატივა, რათა კონფლიქტთან დაკავშირებული თემების ირგვლივ დაწყებულიყო DWP პროცესი, ამ მიდგომას არასდროს მისცემია სისტემური ხასიათი. ამგვარი ვითარება მრავალმა მიზეზმა განაპირობა.

ისტორიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ „ნარსულის გააზრება“, როგორც წესი, წარმატებით ფუნქციონირებს ძლიერი ინსტიტუტებისა და ნდობაზე დამყარებული საზოგადოების მქონე ლიბერალურ დემოკრატიებში. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველო ხან მეტი და ხანაც ნაკლები წარმატებით ცდილობს ნამდვილი დემოკრატიული სისტემის შექმნას, და ეს პროცესი დღესაც არ დასრულებულა. რაკი ქვეყანაში ჯერ არ არის კარგად დამკვიდრებული მართლმსაჯულების მექანიზმები, გადანწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე სისტემა და კონსენსუსის პრინციპზე დამყარებული პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური პროცესი, ძირითადად ტრიალებს ერთი მუჭა ადამიანების გარშემო, რომელთა ნაწილი პირადად უკავშირდება 1990-იანი ან 2008 წლების მოვლენებს. ამის შედეგად, საქართველოს კონფლიქტებთან „ნარსულის გააზრების“ პროცესის დაკავშირება შეზღუდულია, რადგან ქართული პოლიტიკური ელიტები ნაკლებ პოლიტიკურ ნებას იჩენენ ამ საკითხებთან დაკავშირებით.

მეორეც, სოხუმსა და ცხინვალთან მოლაპარაკებების დაწყებიდან მოყოლებული

<sup>7</sup> Baumgartner Elisabeth, Gabriel Sidonia & Jones Briony (2015) A Transformative Approach to Dealing with the Past, Swisspeace, გვ. 10.

თბილისს არ გააჩნია მათთან მიმართებაში თანამიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა. 1990-იან წლებში, კონტროლის მექანიზმების სისუსტისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განუვითარებლობის გამო, მთავრობის მიერ წარმოებული სამშვიდობო პროცესი ხშირად ხდებოდა შეიარაღებულ ჯგუფთა აგრესიული ქმედებების მსხვერპლ<sup>8</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ახალმა მთავრობამ დაშალა ეს შეიარაღებული დაჯგუფებები, მან კვლავ განაგრძო პოლიტიკა, რომელსაც ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ და შემდგომში პარლამენტის წევრმა ივლიანე ხაინდრავამ უწოდა „დღისით მოლაპარაკებებისა და ღამით ომის პოლიტიკა“<sup>9</sup>. 2005-2006 წლებში განხორციელებულმა თანამშრომლობაზე მიმართული სტრატეგიის მალევე შეცვლამ და კვლავ აგრესიულ პოლიტიკაზე გადასვლამ დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილის მთავრობას ასევე არ გააჩნდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების მკაფიო სტრატეგია. 2012 წელს ხელისუფლების შეცვლამაც ვერ მოახერხა სამშვიდობო პოლიტიკის სასურველი მიმართულებით გარდაქმნა და ის კვლავ რჩება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მემკვიდრეობის ტყვედ. ოფიციალური „კონფლიქტის თაობაზე ერთიანი დისკურსი“, რომელიც 2008 წლის შემდგომ ჩამოყალიბდა, დაფუძნებულია იმის განცხადებაზე, რომ არ არსებობს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს, და ქართველებსა და ოსებს შორის, არამედ რუსეთია კონფლიქტის ერთადერთი მეორე მხარე. რეალობის ამგვარმა უარყოფამ მნიშვნელოვნად შეაფერხა არსებული ვითარების ობიექტური აღქმა და ხელი შეუშალა სახელმწიფოს ადეკვატური სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში<sup>10</sup>. საბოლოო ჯამში, ფაქტებთან ამგვარი პოლიტიკური შეუსაბამო დამოკიდებულება აჩვენებს, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას არა აქვს ქვეყნის კონფლიქტების ტრანსფორმაციისადმი მიდგომის გრძელვადიანი ხედვა.

დაბოლოს, ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთ ოსური კონფლიქტების შემთხვევაში არ არსებობს მკაფიო გამყოფი ხაზები მსხვერპლსა და მოძალადეს შორის, რაც ართულებს ადეკვატური მიდგომის შემუშავებას „წარსულის გააზრების“ კუთხით. 2008 წლის ომმა და რუსულმა აგრესიამ სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა. აფხაზებისა და ოსების მიერ დე ფაქტო დამოუკიდებლობის გამოცხადების მიუხედავად, მათი იდენტურობა ჩამოყალიბდა კოლექტიური ვიქტიმიზაციის ირგვლივ, რაც ნიშნავს შემდეგს, რომ ნაცვლად მათ მიერ ამოსავალი პრინციპების შეთავაზებებისა, სამივე საზოგადოებაში არსებული წარსულის დღევანდელი რეპრეზენტაცია ხელს უწყობს „თემთაშორის ‘მსხვერპლობაში’ კონკურენციის“ განვითარებას, ანუ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული საზოგადოებები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სწორედ მათ განიცადეს მეტი ჭირ-ვარამი, ვიდრე მათმა მოწინააღმდეგეებმა<sup>11</sup>.

<sup>8</sup> აბრამაშვილი ივანე & ქოიავა რევაზ, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, კავკასიური სახლი, თბილისი, 2018, გვ. 63.

<sup>9</sup> ივლიანე ხაინდრავას სიტყვა ცხინვალის მოვლენებთან დაკავშირებით (2004) საქართველოს რესპუბლიკური პარტია. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3bllcZQ>.

<sup>10</sup> აბრამაშვილი & ქოიავა, გვ. 82.

<sup>11</sup> Psaltis Charis, Carretero Mario, Čehajić-Clancy Sabina (Eds.) (2017) History Education and Conflict Transformation: Social Psychological Theories, History Teaching and Reconciliation, Palgrave Macmillan, გვ. 13.

## „ნარსულის გააზრებისა“ და კონფლიქტების ტრანსფორმაციის დაკავშირება საქართველოში

„ნარსულის გააზრება“ ეფუძნება რწმენას, რომ სამართლიანი და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მთავარია ადამიანის უფლებათა ნარსული დარღვევების საკითხის მოგვარება<sup>12</sup>; შესაბამისად, სწორედ ეს არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ტრანსფორმაციის აუცილებელი კომპონენტი. ეს პრინციპი უკვე დიდი ხანია აღიარებულია ქართული, აფხაზური და სამხრეთ ოსურ სამოქალაქო საზოგადოებების მიერ. წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ისეთ სფეროებში, როგორცაა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიება, ბიოგრაფიული ინტერვიუებისა თუ დანაწევრებული არქივების აღდგენა-სისტემატიზაციის საფუძველზე დიალოგის ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროა მეინსტრიმულ საზოგადოებრივ დისკურსში სრულფასოვნად შეღწევა. მიღწეული პროგრესის გაზიარება-დეიზოლირების მიზნით, საქართველოს სჭირდება ჰოლისტიური მიდგომა „ნარსულის გააზრების“ კუთხით, მაგრამ ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, ეს უკიდურესად რთული პროცესია, რომელიც ტვირთად აწევს, ძირითადად სამოქალაქო საზოგადოებას.

2019 წელს გაეროს ეგიდით ჩატარდა კონფერენციებისა და დისკუსიების სერია, რომლებშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დაინტერესებული მხარეები. მათი მიზანი იყო განხორციელებულიყო „ნარსულის გააზრების“ პროცესთან დაკავშირებული ქართული სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის დაგეგმვა და ამ პროცესის შემდგომი სტიმულირების პოტენციური გზების მოძიება. ამ მუშაობის შედეგად მრავლად გამოიკვეთა შესაბამისი მიმართულებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი გავლენა იქონიონ ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთ ოსური საზოგადოებების შერიგების პროცესზე. ეს მიმართულებები შეიძლება დანაწილდეს სამართლებრივ და არასამართლებრივ კატეგორიებად და მოიცვას სფეროები, რომლებსაც შემდგომში ცალ-ცალკე გავანალიზებთ: არქივების აღდგენა; ბიოგრაფიული ინტერვიუების საფუძველზე დისკუსიისა და დიალოგის ხელშეწყობა; განათლების სისტემის ფარგლებში კონფლიქტების მიმართ სენსიტიურობის განვითარება და გარდამავალი მართლმსაჯულების ხელშეწყობა.

### არქივების აღდგენა

არქივები საკვანძო როლს ასრულებენ ერის ისტორიის შემონახვისა და მოქალაქეების უფლებების დაცვის საქმეში. პოსტ-კონფლიქტურ პირობებში ეროვნული არქივები, მათი სამეცნიერო და პოლიტიკური ღირებულების გათვალისწინებით, ნარსული მოვლენების შესახებ კოლექტიური მეხსიერების შესწავლისა და ფორმირებისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია.

აფხაზეთის ეროვნული არქივის მასალების აღდგენის პროცესი, რომელიც არსებული მონაცემებით ქართველი სამხედროების მიერ დაიწვა კონფლიქტის დროს, იქცა ერთერთ ისეთ საკვანძო სფეროდ, სადაც ქართველი, აფხაზი და საერთაშორისო მკვლევრები

<sup>12</sup> Baumgartner, Gabriel & Jones, გვ. 7.

და მეცნიერები წარმატებით ახერხებენ თანამშრომლობას. არქივი, რომელიც შეიცავდა 176 000-ზე მეტ არტიფაქტს, ათასობით წიგნს, ფოლკლორულ ჩანაწერსა თუ ფოტოსურათს, უნიკალურ განძს წარმოადგენდა არა მხოლოდ აფხაზი და ქართველი ხალხებისთვის, არამედ მთელი კავკასიისთვისაც<sup>13</sup>. ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობასთან ერთად, ამ საარქივო მასალებს მეტად პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდათ – იქ დაცული იყო პირადი დოკუმენტებიც (დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, საპენსიო მოწმობებისა და ა.შ.).

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი გიორგი ანჩაბაძე იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც წამოიწყო და დიდი ძალისხმევა გასწია აფხაზეთის დამწვარი არქივის აღსადგენად – გადასცა რა მე-19 და მე-20 საუკუნეების დოკუმენტთა ასლები საქართველოს არქივიდან<sup>14</sup>. დღეს ამ მიმართულებით რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. ბოლო ხანებში ამ მიმართულებით, კონკრეტულად კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ორივე მხარის არქივების სისტემატიზაციის საქმეში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბრიტანულმა ორგანიზაციამ Conciliation Resources და შვეიცარულმა ფონდმა შნისსპეაცე. ეს არქივები შეიცავენ ოფიციალურ დოკუმენტებს, პირად ფოტოებს, სხვა მასალებს კერძო არქივებიდან, საზოგადო მოღვაწეთა თუ რიგით თვითმხილველ ადამიანთა მონათხრობს, საგაზეთო წერილებს, კინოკლიპებსა და სხვა მედია მასალებს. ამ მონაცემთა საფუძველზე მცდელობაა, მაქსიმალურად აღდგეს საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობების სურათი 1989 წლიდან 1996 წლამდე.<sup>15</sup>

სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, 2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადგილობრივი ქართული ორგანიზაციის, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის მიერ საარქივო დოკუმენტაციის საფუძველზე საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ქრონოლოგიური სურათის შესაქმნელად, ხოლო ამ სამუშაოს შედეგები ინტერნეტში განთავსდა და ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. ქრონოლოგიზებული მასალა მოიცავს დასკანერებულ დოკუმენტებს, საგაზეთო სტატიებს, განკარგულებებისა და შეთანხმებების ტექსტებს, რომლებიც სისტემატიზებულია და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის დალაგებული. ეს მასალა უზრუნველყოფს 1988-2008 წლებში თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობის ამსახველი სრული სურათის შექმნას<sup>16</sup>.

სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის გარდა, საქართველოს სახელმწიფო უწყებებიც თანამშრომლობენ აფხაზ პარტნიორებთან საარქივო მასალების გაცვლის პროცესში; თუმცა, გასაცვლელი მასალების შერჩევის საკითხი ორივე მხარისთვის კვლავ დიდ გამოწვევად რჩება.<sup>17</sup> გარდა ამისა, თვით ქართველი მკვლევრებისთვის სახელმწიფო საარქივო მასალებზე წვდომა საკმაოდ გართულებულია, რადგან დოკუმენტების ასლების გაკეთება მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, ხოლო არქივების ზოგიერთ ნაწილი კი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი<sup>18</sup>. ეს ცხადყოფს, რომ არქივე-

<sup>13</sup> How Abkhazia is trying to restore its historic archive which burned down 27 years ago during the Georgian-Abkhaz conflict Jamnews, 27.01.2020 ხელსაწვდომია აქ: Available at: <https://bit.ly/3fA8B8H>

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> The Memory Project, Conciliation Resources. ხელისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3cgM4vs>

<sup>16</sup> ISNC, ქართულ-ოსური კონფლიქტის ქრონოლოგია (1989-2008) ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3dyBH7S>

<sup>17</sup> რომან ღვინჯილია. არქივების პროექტი უკეთესად მუშაობს საქართველოს შემთხვევაში. ნეტგაზეთის მიერ აღებული ინტერვიუ. 03.05.2019 ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/2SSaC6x>

<sup>18</sup> Increasing Transparency of Archival Documents in Georgia, Legislative Proposal of IDFI, 23.04.2019. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3cjhTE4>

ბის მიმართ პოლიტიკური სენსიტიურობის გავლენა კვლავ ძლიერი ფაქტორია კონფლიქტების ყველა მხარისთვის, რაც ცხადყოფს ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავების აუცილებლობას.

## ბიოგრაფიული ინტერვიუების საფუძველზე ნარმოვანი დისკუსიებისა და დიალოგის ხელშეწყობა

კონსტრუქციული თხრობის პროცესზე დამყარებული დიალოგი მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ პროცესს შესწევს ძალა განამტკიცოს თანაგრძნობა და მიტევება, დაუპირისპირდეს სტერეოტიპებზე დამყარებულ ნარატივს და წარსულის უკეთ გაგებას შეუწყოს ხელი. ზეპირი ისტორიები და ბიოგრაფიული ინტერვიუები ეროვნული მეხსიერების შენარჩუნებისა და არქივებში შემონახული მასალის გამდიდრების მძლავრი საშუალებაა. საზოგადოებრივ სივრცეში პროეცირებისას, ამ მიდგომებს შეუძლიათ ბიძგი მისცენ მნიშვნელოვან დისკუსიებს (ხშირად თვითკრიტიკულ და თაობათაშორის ბჭობას) წარსულზე და არსებულ რეალობასთან მისი კავშირების შესახებ.

ქართულ-აფხაზურ და ქართულ-სამხრეთ ოსურ კონტექსტებში, ისევე როგორც შესაბამის საზოგადოებებში, ბერგჰოფის ფონდი ხელმძღვანელობდა უწყვეტი დიალოგის წარმოების სისტემას, რომელიც ემყარებოდა ბიოგრაფიული ინტერვიუების ჩაწერას, ანალიზსა და განხილვას. ამ პროცესში, რომელიც 2012 წელს დაიწყო, ქართველი, აფხაზი და ოსი მონაწილეები ერთმანეთს ბიოგრაფიულ სტილში უზიარებდნენ ისტორიებს საკუთარ წარსულსა და თავ-თავიანთ გამოცდილებაზე, უსმენდნენ სხვადასხვა ხედვების მქონე ადამიანებს. ამ პროცესის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების აქტორების წახალისება და მხარდაჭერა ყოფილ მოწინააღმდეგეებთან მშვიდობიანი და ტოლერანტული ურთიერთობების გასაღრმავებლად. ეს ისტორიები არ არის ცალმხრივი, არ ასახავენ თანაცხოვრების მხოლოდ პოზიტიურ გამოცდილებას და არც მხოლოდ ძალადობრივ ქმედებას აღწერენ. ამგვარი განხილვები ჩვეულებრივ ხდება სოხუმისა და თბილისის სპეციალურ ბიოგრაფიულ სალონებში, სადაც შექმნილია რეგულარული შეხვედრებისა და თხრობის სივრცე ომის მოწმეთათვის, როგორებიც არიან საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ახლობლები, დევნილები და ა.შ.<sup>19</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში ბერგჰოფის ფონდმა ჩაინერა დაახლოებით 450 ბიოგრაფიული ინტერვიუ და 700-მდე პირადი ისტორია, რომლებიც ყოველწლიურად განიხილება ასობით სემინარზე ათასობით ადამიანის მონაწილეობით<sup>20</sup>, ამ პროცესს აქვს მეტი ზრდის პოტენციალი და რესურსებისა და ჩართულობის მოზიდვის შესაძლებლობა; რომ უფრო წარმატებით მიიღოს გამონვევა და დაუპირისპირდეს კონფლიქტის ყველა მხარესთან გაბატონებულ ნარატივს და ურთიერთ უნდობლობას.

<sup>19</sup> Berghof Foundation, History, Memory and Identity. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/2SRWKJK>

<sup>20</sup> ბერგჰოფის ფონდის თანახმად, მხოლოდ 2012 წლის განმავლობაში აფხაზეთში ჩატარდა 155 სადისკუსიო სემინარი, საკუთრივ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე კი 255. ამ დისკუსიებში ჩართული იყო შესაბამისად 1800 და 3000 მონაწილე.

## კონფლიქტ-სენსიტიური მიდგომის დანერგვა განათლების სისტემაში

განათლების მიღება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, ხოლო მის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამხედრო კონფლიქტი და მის შემდეგ შექმნილი ვითარება. პოსტკონფლიქტურ კონტექსტებში განათლებას ძალუძს შეასრულოს მეტად დიდი როლი როგორც კონფლიქტის დადებითი მიმართულებით გარდაქმნაში, ისე პირიქით, მის გაღრმავებაში.

წლების განმავლობაში განათლების არსებული სისტემა ხელს უწყობდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ახალ თაობებში კვლავწარმოებას, რადგან შესაბამისი მთავრობები სხვადასხვაგვარად ხედავდნენ და აყალიბებდნენ ქვეყნის წარსულის გააზრებას. მეხსიერების პოლიტიკის ქართველმა მკვლევარმა გურანდა ბურსულაიამ უახლესი ისტორიის სწავლების ამ შეუსაბამობის დროითი დინამიკა სამ ფაზად დააღაგა: ტრავმული დუმილი (1993-2003), პერსონალური დუმილი (2004-2007) და 'გამსხვერპლების' (ვიქტიმიზირებული) დუმილი (2008 წლიდან მოყოლებული). მისი თქმით, პირველი ეტაპი იყო დუმილის სახეობა, რომელიც კონფლიქტების შეწყვეტას დაუყოვნებლივ მოჰყვა და ემოციურად მეტად მძაფრი იყო. შესაბამისად, 2003 წლამდე საქართველოს ისტორიის სწავლებისას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში წარმოებული სამხედრო მოქმედება საერთოდ არ იყო ასახული. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ოფიციალურმა დისკურსმა დაიწყო განტევების ვაცის ძებნა და იმის მაგიერ, რომ ელიარებინა მომხდარში საკუთარი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ყოველივე ამაში კონკრეტული ადამიანების დადანაშაულება დაიწყო. რაც შეეხება ბოლო ეტაპს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდს, რომელიც დღესაც გრძელდება, აქ არის შერჩევით გაჟღერებული ვიქტიმიზაციის ნარატივი, მხოლოდ ერთი მხარის ტკივილისა და ტრაგედიის გახმოვანება, და ხაზგასმით გაჟღერება ნარატივისა, რომ არსებული კონფლიქტი სინამდვილეში მხოლოდ ქართულ-რუსულია.<sup>21</sup>

სკოლების გარდა, მსგავსი პრობლემები უმაღლეს განათლებაშიც სჭარბობს. აქ მთავარი გამონწვევა სამეცნიერო კვლევების ფინანსური მხარდაჭერის არარსებობაა, რაც საჭიროა საქართველოს კონფლიქტების ისტორიის გადასაზრებლად, და აუცილებელი პროგრესული და ახლებური ხედვების დასაწერად. გარდა ამისა, პრობლემა ისიცაა, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში არ მიმდინარეობს სამშვიდობო კვლევების, როგორც ცალკეული დისციპლინის სწავლება, რადგან ადგილობრივ აკადემიურ წრეებში კონფლიქტები ძირითადად, გეოპოლიტიკისა და უსაფრთხოების პარადიგმაში განიხილება, ხოლო კონფლიქტის ინდივიდუალური, კოლექტიური ან სხვა მიკრო თუ მაკრო განზომილებები უგულებელყოფილია.<sup>22</sup>

კონფლიქტსა და განათლებას შორის ამ რთული ურთიერთობის სამართავად, მსოფლიოს ზოგიერთმა ქვეყანამ დანერგა კონფლიქტის მიმართ სენსიტიური მიდგომა. ეს მეთოდი შეიმუშავა "საგანგებო სიტუაციებში განათლების უწყებათაშორისმა ქსელმა"

<sup>21</sup> Bursulaia Guranda, (2020): The voices of silence: The case of Georgian history textbooks, Caucasus Survey. ხელმისაწვდომია აქ: <https://doi.org/10.1080/23761199.2019.1709784>

<sup>22</sup> Abramashvili Ivane and Kalandarishvili Nino (2020) *Conflict Transformation and Conflict-sensitive Teaching: Challenges for Georgian Education System*, Center for Peace and Civic Development.

(Inter-agency Network for Education in Emergencies – INEE), რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის ისე გადაცემას, რომ გათვალისწინებული იყოს კონფლიქტის კონტექსტი, ასევე მიზნად ისახავს კონფლიქტის ნეგატიური წვლილის შედარებით შემცირებასა და მოვლენების პოზიტიური განზომილების გაზრდას<sup>23</sup>. ცოტა ხნის წინ, ზოგიერთმა ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაიწყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა, რათა საქართველოს სკოლებში ისტორიის სწავლების პროცესში დაინერგოს კონფლიქტის მიმართ სენსიტიური სწავლება. ბუნებრივია, რომ ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომლის წარმატება, საბოლოო ჯამში, დამოკიდებული იქნება მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე.

## გარდამავალი მართლმსაჯულების ხელშეწყობა

გარდამავალი მართლმსაჯულება კონფლიქტის ტრანსფორმაციის კონტექსტში საკმაოდ ფართო ცნებაა და მოიცავს ყველაფერს, რასაც საზოგადოება მოიმოქმედებს კონფლიქტის მემკვიდრეობის ან/და ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევების შედეგების მოსაგვარებლად, დაწყებული სისხლის სამართლის კოდექსში თუ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში ცვლილებების შეტანით, მემორიალებისა და მუზეუმების შექმნით, გლოვის დღეების გამოცხადებით, დამთავრებული პოლიციისა და სასამართლოს რეფორმებით, და ასევე საშემოსავლო უთანასწორობის მოგვარებით, რაც ხშირად საფუძვლად უდევს კონფლიქტს<sup>24</sup>. საქართველოს შემთხვევაში, მიუხედავად საომარი მოქმედებების მარეგულირებელი კანონებისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევისა, ათასობით დაღუპულისა და ასიათასობით დევნილისა, კონფლიქტების დროს ჩადენილი დანაშაულები არასდროს იყო განხილული გარდამავალი მართლმსაჯულების კუთხით. დაუსჯელობა და ქეშმარიტების გამოვლენის მცდელობების იშვიათობა კვლავ რჩება კონფლიქტის ტრანსფორმაციის ყველაზე რთულ საკითხად. იმავდროულად, ამ მიმართულებით მოძრაობა სულ უფრო საჩქარო ხდება, რადგან 90-იანი წლების დასაწყისის მოვლენების მრავალი მოქმედი პირი უკვე გარდაცვლილია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მშვიდობისმყოფელი პირები და ადამიანის უფლებათა დამცველები ნაკლებად მსჯელობენ გარდამავალი მართლმსაჯულების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე, ქართულ და აფხაზურ თუ ქართულ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებს შორის ურთიერთდობის აღდგენის საქმეში, არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა დალოდება, ვიდრე გაჩნდება ამისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური წინაპირობები. ზოგჯერ გამოითქმის მოსაზრება, რომ მიუხედავად ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა საკუთრების დაბრუნების შესახებ 2006 წლის საქართველოს კანონის მიღებისა, რაც თავისთავადაც დიდ პროგრესად უნდა ჩაითვალოს, ქეშმარიტი სამშვიდობო პროცესის არარსებობის გამო, ამას პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. თუმცა ზოგი იმასაც ამტკიცებს, რომ თვით გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენება უკვე საკმაოდ ძლიერი მესიჯია, მას

<sup>23</sup> INEE Guidance Note on Conflict Sensitive Education, New York, 2013. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3fFsLy1>

<sup>24</sup> Undine Kayser-Whande and Stephanie Schell-Faucon (2010). *Transitional Justice and Conflict Transformation in Conversation* in Politorbis Nr. 50-3, გვ. 98.

ძალუძს კონფლიქტის გამყოფი ხაზის ორივე მხარეს შეუქმნას თანამშრომლობისთვის საჭირო სივრცე<sup>25</sup>.

რაკი საქართველოს მთავრობის მხრიდან არ არსებობს მზადყოფნა, გამოიყენოს თავის სამშვიდობო პოლიტიკაში გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმები, ამ პროცესს გარკვეულწილად შეიძლება გაუძღვეს სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც დასჭირდება გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების შესაბამისი ადაპტირება, რადგან არ არსებობს ამ მექანიზმების უნივერსალური მოდელი. საწყის ნაბიჯებად შესაძლოა იქცეს დროებითი და აპოლიტიკური, სიმართლის შემსწავლელი კომისიის შექმნა და ადამიანის უფლებებთან დარღვევების დოკუმენტაცია, რაც ხელეწიფება ქართულ მხარეს. ამ სამუშაოს ნაწილი უკვე შესრულებულია 1990-იან და 2000-იან წლებში, მაგრამ ის მოითხოვს შემდგომ სისტემატიზაციას და გადამონმებას<sup>26</sup>.

ბუნებრივია, სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა, თუკი საქართველოს მთავრობა ითანამშრომლებდა სიმართლის დამდგენ კომისიებთან, რათა დოკუმენტური მასალების საფუძველზე გასამართლებულიყვნენ 1990-იანი წლების კონფლიქტების დროს ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმსრულებლები. თუმცა კი, ძალზე საეჭვოა ეს მოხდეს, რადგან დღემდე სისხლის-სამართლებრივი გასამართლება იშვიათად გამოიყენეს საქართველოში წარსული დანაშაულების მემკვიდრეობასთან გასამკლავებლად. იგივე მდგომარეობაა ამ მხრივ ზოგადად მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც. როგორც წესი, სასამართლო პასუხისმგებლობის უგულებელყოფა სტაბილურობის დაცვის საბაბით, ან ნათესაური კავშირებისა თუ პირადი ერთგულების ფაქტორის გამო ხდება.<sup>27</sup> გარდა ამისა, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის ამონურვის გამო ასევე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში.

მდგომარეობის მოსაგვარებლად არსებული შესაძლებლობების შეზღუდულობის ფონზე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ხელთ არსებული ერთ-ერთი პერსპექტიული მექანიზმი სიმბოლური რეპარაციის/კომპენსაციის მოთხოვნაა. კონფლიქტებისადმი მიძღვნილი აფხაზური, ოსური და ქართული მემორიალები ჩვეულებრივ გამოიყენება ნაციონალიზმისა და ვიქტიმიზაციის პროპაგანდისთვის, მაგრამ მათ ასევე გააჩნიათ პოტენციალი, ემსახურონ სამართლიანობის, შერიგებისა და მშვიდობის იდეებს<sup>28</sup>.

საქართველოში გარდამავალი მართლმსაჯულების სხვა განხილული მექანიზმებისგან განსხვავებით, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიება არის ის სფერო, სადაც მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. 2004 წლიდან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. 2010 წელს მან შეძლო ორი ცალკეული საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა (ორმხრივი ქართულ-აფხაზური და სამმხრივი ქართულ-რუსულ-სამხრეთ ოსური), რათა მომხდარიყო გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაკარგული პირების ბედის გარკვევა. ამ ჰუმანიტარული პლატფორმების გამოყენებით 500-მდე ადამიანის ნეშტი იქნა მოძიებული, რომელთაგანაც დაახლოებით 200 ადამიანის ვინაობის ამოცნობა მოხდა და ნეშტი გადაეცა

<sup>25</sup> Studio Re, Discussion on the Transitional Justice in Georgia, 2014. ხელმისაწვდომია აქ: [https://www.youtube.com/watch?v=EtVf69cc5\\_0](https://www.youtube.com/watch?v=EtVf69cc5_0)

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> Grono Magdalena Frichova (2009). Transitional Justice and Georgia's Conflicts: Breaking the Silence, ICTJ, გვ. 27.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 29.

მათ ოჯახებს. რადგან შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით დაახლოებით 2 300 ადამიანის კვალი ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი, ეს პროცესი მოითხოვს შემდგომ მუშაობას და მეტ კოორდინაციას კონფლიქტის მხარეებს შორის.<sup>29</sup>

## ნარსულის გააზრების ჰოლისტიური მიდგომა: შესაძლო ნაბიჯები საქართველოსთვის

„ნარსულის გააზრება“ ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალური და ენდემური პროცესია. ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შემთხვევაში მთავრობა არ არის დღეს მზად კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების მიმართ სისტემური „ნარსულის გააზრების“ პროცესის წამოსაწყებად. ასევე ცხადია ისიც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ ელიტებს არ გააჩნიათ განზრახვა, ჩაერთონ ამ პროცესში, ვინაიდან მათი მხრიდანაც არანაკლებ ხდებოდა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები. ამ სიტუაციაში წინსვლის ერთადერთი გზა არის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ მაგალითის ჩვენება და მომდევნო წლებში მაქსიმალურად ჰოლისტიური მიდგომის განხორციელება ამ მეტად შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში, რათა გავეუქმავდეთ კონფლიქტების მემკვიდრეობას.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ჯგუფებმა, მშვიდობისმყოფელებმა, ადამიანის უფლებათა დამცველებმა, მკვლევარებმა და საერთაშორისო პარტნიორებმა კერძო პირების სტატუსით გამოხატეს სურვილი, ჩაერთონ ამ უკიდურესად რთულ სამუშაოში, რისთვისაც საჭირო იქნება, რომ ყველანი გაერთიანდნენ და შექმნან ფორმალური კოალიცია ან ქსელი, ვინაიდან ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაციის გარეშე უკიდურესად რთული იქნება სამუშაოს კოორდინაცია. ასევე საჭირო იქნება სახალხო დამცველის აპარატის და საჯარო პოლიტიკაზე მომომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა, რადგან ნარსული შეცდომების წარმატებით გამოსწორება პირდაპირ უკავშირდება მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. როგორც მაგდალენა გრონომ აღნიშნა თავის 2009 წლის ანგარიშში საქართველოში გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივების შესახებ, „თუ ანგარიშვალდებულება არ არის უზრუნველყოფილი, ბოროტქმედებისა და სამართალდარღვევების განმეორების რისკი დიდია, როგორც კონფლიქტის მოგვარების, ისე დემოკრატიზაციის პროცესში. ათწლეულების განმავლობაში გამეფებული ოფიციალური დაუსჯელობა ინვესტს საზოგადოების მხრიდან სამთავრობო სტრუქტურების მიმართ და საჯარო ინსტიტუტებისადმი უნდობლობას და ასევე ცინიკურ დამოკიდებულებას აღიარებულ დასავლურ ღირებულებებსა და უფლებებზე დაფუძნებულ დისკურსების მიმართ. ნარსული ბოროტქმედებების უგულებელყოფის კუმულატიურმა ზემოქმედებამ დამანგრეველი გავლენა მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე“.<sup>30</sup>

შემდეგ ნაბიჯად კოალიციამ უნდა განაგრძოს დეტალური თემატური მოკვლევები თითოეულ ზემორე დასახელებულ სფეროში (არქივების აღდგენა, ბიოგრაფიული ინტერვიუების საფუძველზე დისკუსიებისა და დიალოგის ხელშეწყობა, განათლების სისტე-

<sup>29</sup> ICRC. Missing in connection with 1990s, 2008 conflicts remains of 23 more people identified, 12.03.2019. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3dGZNw6>

<sup>30</sup> Grono, გვ. 23.

მაში კონფლიქტების მიმართ სენსიტიურობის განვითარება; გარდამავალი მართლმსაჯულების დანერგვა) და ჩამოაყალიბოს რეალისტური ჰოლისტიური სტრატეგია. ეს უკანასკნელი ასევე მოითხოვს მედია-სტრატეგიის ფორმირებასაც, რადგან ქართული მეინსტრიმული მედია კვლავაც დაქუცმაცებულია, და მიკერძოებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებული ახალი ამბების გაშუქებისა ან ანალიზის მხრივ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აქ ჟურნალისტებს შორის „წარსულის გააზრების“ პროცესის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რათა მათ თავის მხრივ ფართო საზოგადოებას გასაგებად გააცნონ შესაბამისი ინფორმაცია.

ჰოლისტიური სტრატეგიის ჩამოყალიბების შემდეგ ქართულმა კოალიციამ მჭიდრო თანამშრომლობა უნდა დაამყაროს თავის პარტნიორებსა და დონორებთან, რათა მათ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფების შექმნას ასევე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ეს კი იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი წარსულის გააზრების საკითხების გარშემო ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი დიალოგის პროცესის დასამკვიდრებლად, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება წარსულ უსამართლობასთან გამკლავების გზაზე და საბოლოოდ ნდობის აღდგენას ემსახურება.

## დაუყოვნებლივ გადასადგმელი ნაბიჯები

### არქივების აღდგენა

- ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან მუდმივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან, რათა სახელმწიფო არქივები უფრო ხელმისაწვდომი გახდეს (მაგ., საფასურის შემცირება, კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან თუ პირებთან დაკავშირებული საარქივო მასალების ხელმისაწვდომობა და ა.შ.).
- ქართველმა მკვლევრებმა უნდა გააძლიერონ კერძო არქივებში მუშაობა. ეს სფერო არ არის საკმარისად შესწავლილი, რადგან არ არსებობს ზუსტი მონაცემები შემონახული მასალების რაოდენობრივი მასშტაბის შესახებ. ადრეული დაკვირვების საფუძველზე ირკვევა, რომ ამ არქივების უმეტესობა საოჯახო ხასიათისაა, და შესაბამისად, როგორც წესი, არ არის სისტემატიზებული და გაციფრებული, ამიტომ განსაკუთრებით სერიოზულია არსებული მასალების დაკარგვის რისკი;
- ადამიანური რესურსების მეტი ინვესტიციაა საჭირო უკვე შექმნილი საარქივო მასალების დიგიტალიზაციასა და კატეგორიზაციის საქმეში. სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ერთიანი მონაცემთა ბაზა ან ერთმანეთთან კოორდინაციის საშუალება; ხოლო სისტემური სამუშაო პროცესის გარეშე არქივების გაცვლა-გაზიარება გახანგრძლივდება და სპორადულ ხასიათს შეინარჩუნებს;
- კვლევითი მიზნების მისაღწევად საჭიროა განხორციელდეს არსებული მასალებისა და მონაცემთა ბაზების პოპულარიზაცია:

➤ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების წვდომა მათ ხელთ არსებულ მასალებზე. ამის საუკეთესო გზაა მათი გაციფრულება და ვებ-გვერდებზე გამოქვეყნება;

- საჭიროა ახალგაზრდა მკვლევართა აქტიურად ჩართვა და სტიმულირება, რომ მეტი ყურადღება გაამახვილონ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-სამხრეთ ოსურ არქივებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივ უნივერსიტეტებთან; შესაძლოა იმის მიღწევა, რომ ისტორიის ფაკულტეტებმა საკურსო კრედიტები მიანიჭონ სტუდენტებს, ვინც მიიღებს მონაწილეობას ამ არქივების შესწავლასა და სისტემატიზაციაში;
- უფრო ფართო აუდიტორიაზე გასასვლელად საჭირო იქნება პერიოდული გამოფენებისა და მედია-დისკუსიების მოწყობა. გარდა ამისა, საარქივო მასალებზე დაფუძნებული დოკუმენტური ფილმები და სხვა მსგავსი მედია-პროდუქტები შეიძლება სასარგებლო იყოს საზოგადოების ინტერესის გასაღვივებლად რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტთან დაკავშირებული თემების მიმართ.

### ბიოგრაფიული ინტერვიუების საფუძველზე წარმართული დისკუსიებისა და დიალოგის ხელშეწყობა

- მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებული უკვე ჩანერილი ბიოგრაფიული ინტერვიუებისა და ცხოვრებისეული ისტორიების ანალიზი და კატეგორიზაცია. აუცილებელია იმის გაგება, თუ რა ეტაპზე იმყოფება ეს პროცესი და რა სტატისტიკური დისბალანსებია გამოსასწორებელი (მაგ., სქესთან, ასაკთან ან გეოგრაფიასთან მიმართებით).
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ მეინსტრიმულ მედიასთან (მაგ., ქართულ კონტექსტში – ესაა ეროვნული სატელევიზიო არხები), რათა საჯარო დისკუსიები მოაწყონ შეგროვებული სიუჟეტებისა და ინტერვიუების საფუძველზე. ეს აუცილებელი ნაბიჯია იმისთვის, რომ მათ ნდობის აღდგენის საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ. 2016-2017 წლებში ბერგჰოფის ფონდმა ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა სცადა – რადიო თავისუფლების ქართულ არხზე 49 რადიოგადაცემის მოწყობით, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისათვის (69%) ტელევიზია ჯერჯერობით რჩება ინფორმაციის ძირითად წყაროდ.<sup>31</sup>
- ცხოვრებისეული ისტორიების შეგროვების პროცესის განსავრცობად შესაძლოა სასარგებლო პირველი ნაბიჯი იყოს ახალდაარსებულ „ახალგაზრდულ სააგენტოსთან“ პარტნიორობა. რადგან მშვიდობის მშენებლობის სხვადასხვა ინიციატივაში მონაწილეობა ამ ორგანიზაციის მანდატის ნაწილია, ეს პარტნიორობა დაეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საქართველოს შორეულ რეგიონებში შეაღწიონ და ახალი მონაწილეების დიალოგისა და დისკუსიის პლატფორმებში ჩაერთონ.

### კონფლიქტ-სენსიტიური სწავლების განვითარება განათლების სისტემაში

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს განათლების სისტემაში კონფლიქტის მიმართ სენსიტიურობის დამკვიდრების საქმესთან დაკავშირებით შეიქმნა ერთიანი

<sup>31</sup> NDI, Public Attitudes in Georgia, Results of December 2019 survey. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/2MLHp9E>

სამუშაო ფორმატი, რომელიც აერთიანებს საქართველოს განათლების სამინისტროს, მშვიდობისმყოფელებს, განათლების ექსპერტებს, პედაგოგებს, ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორებსა და ახალი თაობის ისტორიკოსებს; თუმცა საჭიროა შემდგომში ამ ფორმატის გაფართოება – ეფექტური კომუნიკაციის, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების ანალიზის უზრუნველსაყოფად;

- საჭიროა მომზადდეს ისტორიის პედაგოგებისთვის დამხმარე მასალები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შესახებ და მოხდეს მათი ინტეგრირება სკოლების სასწავლო გეგმებში. 2020 წლის თებერვალში ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფმა და მშვიდობის მკვლევრებმა დაიწყეს ისტორიის მასწავლებელთა დამხმარე მასალების შემუშავება, რომლებიც მოიცავენ ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთ ოსური ურთიერთობების ისტორიას შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე, ასევე მე-20 საუკუნისა და 1990-იანი წლების კონფლიქტების ისტორიას;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს სპეციალური ტრენინგის მოდული კონფლიქტის მიმართ სენსიტიური სწავლების თემაზე, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა საქართველოს მასშტაბით დიდი ჯგუფის ჩართვას და მათთვის ტრენინგების ჩატარებას;
- განათლების სამინისტროს ზოგადი განათლების მენეჯმენტისა და განვითარების დეპარტამენტის ჩართულობით, კონფლიქტების მიმართ სენსიტიურობის თემა უნდა დაინერგოს, როგორც ინტერდისციპლინარული სწავლების მეთოდოლოგია და ისტორიასთან ერთად უნდა მოხდეს მისი ინტეგრაცია ისეთ საგნებში, როგორებიცაა ქართული ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება და ხელოვნება;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, რომლებიც ნდობის აღდგენაზე მუშაობენ, უნდა ითანამშრომლონ განათლების სამინისტროსთან, რომ მოხდეს კონფლიქტის ანალიზისა და მშვიდობის მშენებლობის საგნის დამკვიდრება საქართველოს სკოლებში, ცალკე არჩევითი საგნის სახით. ეს საგანი შესთავაზებს მოწაფეებს კონფლიქტის მენეჯმენტის თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც დიდი ნაბიჯი იქნება კონფლიქტის ციკლის განყვეტისა და ახალ თაობებს შორის ეთნიკური სტერეოტიპების გავრცელების აღკვეთის მიმართულებით.

## ბარდამაძე მარტლმსაჯულების ხელშეწყობა

- საქართველოში საჭიროა შეიქმნას სამოქალაქო კომისია, რომელიც დოკუმენტურად დააფიქსირებს და შეისწავლის ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებსა და მნიშვნელოვან ტრაგიკულ მოვლენებს (მაგ., ძარის ტრაგედია), რაც მოხდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტების მსვლელობაში; საქართველოს მთავრობისათვის შეიმუშავებს რეკომენდაციებს მართლმსაჯულების ტრადიციული და დროებითი მექანიზმების საფუძველზე განხორციელების თაობაზე. ლოგიკურია ამ კომისიის სახალხო დამცველის აპარატთან შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა შეუძლებელი იქნება 1990-იანი წლების კონფლიქტების დროიდან კანონით განსაზღვრული ვადის ამონურვის გამო;

მანც მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და სხვა მსგავსი დანაშაულების დოკუმენტირება, დანაშაულის ხარისხის განსაზღვრა და მსხვერპლთა ანაზღაურების/რეპარაციების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება. ასევე მნიშვნელოვანია სიმართლის დადგენა და ანგარიშვალდებულების წარმოჩენა;

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ ზენოლა მთავრობასა და პარლამენტზე, რომ თუნდაც დიდი დაგვიანებით ხელი მოეწეროს და დამტკიცდეს „საერთაშორისო კონვენცია ყველა ადამიანის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ“, რასაც საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი რეკომენდაციას უწევს 2013 წლიდან მოყოლებული. უნივერსალური პერიოდული განხილვის (UPR) ბოლო რაუნდის დროს, საქართველომ ვალდებულება აიღო, რომ მოამზადებდა კონვენციის რატიფიცირებას. ეს კონვენცია განსაზღვრავს იძულებითი გაუჩინარების დანაშაულს და ავალდებულებს წევრ-სახელმწიფოებს მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ იძულებითი გაუჩინარება ეროვნულ დონეზე სისხლის სამართლის დანაშაულად იქნეს აღიარებული. კონვენცია აგრეთვე ავალდებულებს სახელმწიფოს, ჩაატაროს საფუძვლიანი და ობიექტური გამოძიება, როგორც კი მიიღებს შესაბამის ინფორმაციას. კონვენცია ასევე ადგენს ნებისმიერი მსხვერპლის უფლებას იცოდეს სიმართლე იძულებითი გაუჩინარების გარემოებებსა და გაუჩინარებული ადამიანის ბედზე, და უზრუნველყოფს მის უფლებას ამ მიზნით მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს შესატყვისი ინფორმაცია.

## დასკვნა

„წარსულის გააზრება“ ყველა საზოგადოებისთვის არის მეტად მტკივნეული, დამქანცველი და ემოციური მოგზაურობა. ამ პროცესის უმთავრესი მახასიათებელი ისაა, რომ ის მომავალზე ორიენტირებულია. წარსულის გააზრება არის ქვაკუთხედი შერიგებისა, რომელიც არ მოითხოვს დავიწყებას. პირიქით, ის გულისხმობს წარსულის გააზრებასა და შეფასებას, რათა შესაძლებელი გახდეს მშვიდობიანი, უსაფრთხო და დემოკრატიული მომავლის აშენება.

გაჭიანურებული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რუსეთის ოკუპაცია და ასევე შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობა თითქმის განუხორციელებელ ამოცანად აქცევს საქართველოში წარსულ დანაშაულებრივ ქმედებებთან გამკლავების საკითხის მოგვარებას. მეორე მხრივ, მათთვის, ვინც სისხლისღვრისა და დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად დაკარგა ახლობლები ან ნორმალური ცხოვრების შანსი, კონფლიქტის ტრანსფორმაციის წარუშლელი ამოცანაა მათი ჭრილობების მოშუშება და მათ კითხვებზე პასუხების გაცემა. ჩვენი ახლო წარსული საკმარის მითითებებს გვთავაზობს იმის გასააზრებლად, რომ წარსული ტრავმებისა და დაუსჯელობის აღმოფხვრის გარეშე არც ქართულ და არც აფხაზურ თუ ოსურ საზოგადოებებს არ ეძლევათ გარანტია, რომ ერთ დღეს უხეში ძალა კვლავ მშვიდობაზე გაიმარჯვებას არ იზეიმებს.

## შეხვედრის რეაქცია კავკასიაში – ყარაბაღის მეორე ომის გამომავალი საპრობლემო ზურაბ მენაღარიშვილი

*2020 წლის 26 სექტემბერს ჩემი აზროვნებით მეგობრისგან დაბადების დღის საჩუქრად სომხური კონიაკი მივიღე. იუბილურ მომილოცა ბაქოელმა მეგობარმა, რომელმაც პირობა დამადებინა, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ მას ვესტუმრებოდი. იმ საღამოს ვერც ერთი ჩვენთაგანი წარმოიდგენდა, რომ მეორე დღით ომი დაიწყებოდა, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლიდა გეოპოლიტიკურ რეალობას სამხრეთ კავკასიაში.*

2020 წლის სექტემბერში მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეებს შორის საბრძოლო მოქმედებები კიდევ ერთხელ განახლდა. ამ შემთხვევაში, დაპირისპირებამ 1990-იანი წლების შემდგომ, ყველაზე მასშტაბური სახე მიიღო, რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.<sup>1</sup> ომი, რომელიც 44 დღე გაგრძელდა, აზერბაიჯანის შედარებითი სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობით დასრულდა. რეგიონში საკუთარი პოზიციები გაიმყარა რუსეთმაც. ასევე, აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის შემდეგ პირველად, თურქეთი, როგორც რეგიონალური ჰეგემონიის მისწრაფებების მქონე სახელმწიფო, სამხრეთ კავკასიის რეგიონში დაბრუნდა. ყარაბაღის მეორე ომის ფაქტობრივი შედეგებისა და გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია მისი კვლევა, მათ შორის ქართული პერსპექტივიდანაც, იმის გასაგებად, თუ რა ცვლილებები განხორციელდა რეგიონში და რას უნდა ნიშნავდეს ეს ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, მათ შორის შიდა კონფლიქტების, ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკის მიმართებით.

გარდა ამისა, აღნიშნული კონფლიქტის კვლევა საქართველოსთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ქვეყნის მოსახლეობის 6.3% ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ხოლო 4.5% ეთნიკურად სომეხი მოქალაქეა<sup>2</sup>, რომელთაც კვლავ ძლიერი ემოციური კავშირები აქვთ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან. ქართული სახელმწიფო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეების საერთო ქართულ სამოქალაქო სივრცეში ინტეგრაციას ცდილობს, კონფლიქტი მთიან ყარაბაღში კი საქართველოსთვის ერთგვარ გამონეგებებს ქმნის კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური სომხებისა და აზერბაიჯანელების ერთ სივრცეში სოციალიზაციის გზაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის რეალობა, რაც ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ რეგიონში შეიქმნა. ოფიციალურმა ბაქომ ძალის გამოყენებით შეძლო მიეღწია იმ პოლიტიკური გამარჯვებისთვის, რაც ილჰამ ალიევის განცხადებით, აქამდე შეუძლებელი იყო დიპლომატიისა და მოლაპარაკებების მრავალწლიანი მცდელობებით, რომელიც საბოლოოდ, „კიდევ უფრო შეუძლებელი გახდა სომხური მხარის მიერ მოლაპარაკებებისთვის აზრის დაკარგვის გამო“<sup>3</sup>. ეს ყოველივე, ერთი მხრივ, ქართულ საზოგადოებაში შეიძლება აჩენდეს მილიტარისტულ განცდას, რომ მშვიდობის შენება და აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღ-

<sup>1</sup> ოფიციალური ბაქოს განცხადებით, აზერბაიჯანმა დაკარგა 2783 ჯარისკაცი. სომხური მხარე ამ დრომდე ითვლის დაღუპულთა რიცხვს. ასევე მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები ჰადრუთის/ხოჯევანდის, ფუზულის, ზანგელანის, ქუბადლის რაიონებში.

<sup>2</sup> საქსტატი. საყოველთაო აღწერის შედეგები 2014

<sup>3</sup> President Aliyev: Armenian regime did everything to undermine negotiations [UPDATE]. 8 ოქტომბერი 2020. <https://www.azernews.az/nation/170203.html>

დგენის პროცესი ფუჭი და უშედეგოა, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში, შესაძლოა, აჩენდეს განცდას, ანდაც ტოვებდეს სივრცეს მანიპულაციისთვის რიგი ჯგუფების, ან სულაც სხვა სახელმწიფოსთვის, რათა დაინერგოს აზრი, რომ ქართველები კონფლიქტის სამხედრო ძალით მოგვარებას შეეცდებიან, როგორც კი ამის საშუალება მიეცემათ, ეს კი მუდმივად შექმნის დაპირისპირებისთვის სივრცეს, რაც, ბუნებრივია, ართულებს ნდობის აღდგენის პროცესს ქართველებსა და ოსებსა და აფხაზებს შორის.

საბოლოოდ, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ქართულ აკადემიურ სივრცეში თანამედროვე სამხრეთ კავკასია, როგორც ერთიანი რეგიონი, არაჯეროვნადაა შესწავლილი. გამომდინარე აქედან, ყარაბაღის მეორე ომისა და მისი შედეგების, ასევე, რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური გადანაწილების საქართველოზე გავლენის ანალიზი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, მით უფრო, რომ მეზობელ სახელმწიფოებში მომხდარ მოვლენებს საქართველოზე პირდაპირი და მყისიერი გავლენები აქვს.

აღნიშნული ტექსტის მიზანს ყარაბაღის მეორე ომის შედეგების კრიტიკული ანალიზი და საქართველოზე შესაძლო მოქმედი გავლენების შესწავლა წარმოადგენს.

## კონფლიქტის ქრონოლოგია

მთიან ყარაბაღში სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტი სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე დაიწყო და იგი დღემდე სხვადასხვა ფორმებით გრძელდება. მართალია, ორ ხალხს შორის დაპირისპირებას უფრო ძველი საწყისი აქვს, ვიდრე თავად საბჭოთა კავშირია, თუმცა ერთი რამ ცხადია, კონფლიქტმა ის მიმდინარეობა, რაც 1980-იანი წლების მიწურულს ჰქონდა და რამაც გამოიწვია ფართომასშტაბიანი ომი, მიიღო სწორედ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის ცენტრალური მმართველი რგოლები დასუსტდა ან გაუჩინარდა, ხოლო ადგილობრივმა ძალებმა დაიწყეს ბრძოლა საკუთარი ინტერესებისათვის. საბჭოთა სისტემამ თავისი არსებობის განმავლობაში, მართალია, შეძლო დროებით შეეჩერებინა ისტორიული კონფლიქტი ორ ხალხს შორის, მაგრამ უძლური აღმოჩნდა სრულიად აღმოეფხვრა იგი<sup>4</sup>. პირიქით, ეთნო-ტერიტორიულმა ფედერალურმა მოწყობამ, რომელიც მიზნად „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის/იდენტობის“ შექმნას ისახავდა, რომელიც ერთგვარ შესაძლებლობას აძლევდა ხალხებს საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკები ჰქონოდათ დიდ მოკავშირე რესპუბლიკებში, რასაც თან ახლდა სასაზღვრო და მმართველობითი უთანხმოებები, კიდევ უფრო გააღვივა ნაციონალისტური განწყობები არა მხოლოდ ყარაბაღსა და სამხრეთ კავკასიაში, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებშიც<sup>5</sup>.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების ისტორია აერთიანებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამ სამხედრო დაპირისპირებას:

- პირველი დაპირისპირება ახლად შექმნილ აზერბაიჯანულ და სომხურ სახელმწიფოებს შორის სრულმასშტაბიანი ომით დასრულდა. ომში სომხურმა მხარემ შეძლო

<sup>4</sup> Cheterian, V. (2001). *Little Wars and a Great Game: Local Conflicts and International Competition in the Caucasus*. Basel: Swisspeace.

<sup>5</sup> Geukjian, O. (2012). *Ethnicity, Nationalism and Conflict in the South Caucasus: Nagorno-Karabakh and the Legacy of Soviet Nationalities Policy*. Farnham: Ashgate Publishing Limited.

უპირატესობის მოპოვება. შედეგად სომხებმა კონტროლი მოიპოვეს არა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე, არამედ მის გარშემო არსებულ აზერბაიჯანულ რაიონებზეც, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობასაც აზერბაიჯანელები შეადგენდნენ.

- მეორე ინციდენტი 2016 წელს მოხდა, რომელიც აპრილის ომით, ან ოთხდღიანი ომის სახელითაც ცნობილი. ამ დაპირისპირების დროს, აზერბაიჯანმა მოახერხა სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება, ოფიციალური ერევნის პოზიციის მიხედვით კი, სომხურმა ძალებმა მტრის თავდასხმის შეჩერება შეძლეს. მიღწეულმა მცირე სამხედრო წარმატებამ აზერბაიჯანულ საზოგადოებაში თავდაჯერებულობის განცდა დანერგა<sup>6</sup>.

- მესამე და ბოლო შემთხვევა 44-დღიანი ომია, რომელიც 27 სექტემბერს დაიწყო და, რომელსაც ყარაბაღის მეორე ომის სახელითაც მოიხსენიებენ. ბრძოლების შედეგად, აზერბაიჯანმა შეძლო, კონტროლი მოეპოვებინა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საზღვრებს მიღმა არსებულ ყველა იმ რაიონზე, რომელზეც ბაქოს იურისდიქცია ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ აღარ ვრცელდებოდა. აზერბაიჯანის არმიამ აიღო ქალაქი შუშა/შუშიც, ასევე კონტროლი დაამყარა მთიანი ყარაბაღის სამხრეთ ნაწილზეც [ჰადრუთის/ხოჯევანდის რაიონი], რომელიც აქამდე მხოლოდ სომხური მოსახლეობით იყო დასახლებული. ყარაბაღის მეორე ომი ადგილობრივ საზოგადოებებში აზერბაიჯანისთვის აშკარა წარმატებად, ხოლო სომხეთისთვის მარცხად მიიჩნევა. სწორედ ამ უკანასკნელმა ომმა თითქმის 30 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ შეცვალა ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

## ვინ (უფრო) მოიგო

ყარაბაღის მეორე ომი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რუსეთის შუამავლობით მიღებული შეთანხმების საფუძველზე დასრულდა, რომელსაც ხელი 10 ნოემბრის ღამეს მოეწერა. პრემიერ მინისტრი ნიკოლ ფაშინიანის განცხადებით, ხელმოწერის ტექსტი სომხეთისთვის „დაუჯერებლად მტკივნეული იყო“.<sup>7</sup>

შეთანხმება მოიცავს 9 პუნქტს, მათ შორის: სომხეთის მიერ აზერბაიჯანისთვის ტერიტორიების გადაცემის, მთიან ყარაბაღში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების, კონფლიქტის ზონაში რუსი მშვიდობისმყოფელებისა და რუსულ-თურქული სამშვიდობო ცენტრის განთავსების, დანარჩენ აზერბაიჯანსა და ნახიჩევანის რესპუბლიკას შორის დამაკავშირებელი კორიდორის შექმნისა და ლაჩინის კორიდორის ფუნქციონირების შესახებ. შეთანხმების შემდეგ სატელევიზიო მიმართვაში, რომელიც ქვეყნის ყველა ტელეარხით გადაიკა, ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ დოკუმენტში არაფერი იყო ნახსენები მთიანი ყარაბაღის სტატუსის შესახებ, ხოლო ომი აზერბაიჯანის ფაქტობრივი ტერიტორიული და პოლიტიკური წარმატებით დასრულდა.

<sup>6</sup> International Crisis Group. (2017). Nagorno-Karabakh's Gathering War Clouds. Brussels: International Crisis Group.

<sup>7</sup> ნიკოლ ფაშინიანმა ამის შესახებ იმავე ღამით, საკუთარი Facebook-ის ანგარიშის საშუალებით განაცხადა. განცხადებას სომხურ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. განცხადების ტექსტი – <https://www.facebook.com/nikol.pashinyan/posts/2807204759599901>

შეთანხმების მომენტში ბაქო უკვე სრულად ან ნაწილობრივ აკონტროლებდა ფუზულის, ჯებრაილის, ხოჯევანდის, ზანგილანის, ქუბადლის რაიონებს, ასევე ქალაქ შუშასა და დასახლებებს ლაჩინისა და ხოჯალის [ასკერანის] რაიონებში. პირველ დეკემბერს, აზერბაიჯანულმა არმიამ ლაჩინის რაიონზე კონტროლის მოპოვებით, დაასრულა შეთანხმებით გათვალისწინებული ტერიტორიების დაკავება, რაც საბოლოოდ, ბუნებრივია, მის წარმატებად მიიჩნევა.

აზერბაიჯანული მხარის წარმატებაა ისიც, რომ კონფლიქტის მედიაციის, უფრო ზუსტად კი სამშვიდობო შეთანხმებისა და ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის პროცესში ჩაერთო თურქეთის რესპუბლიკაც, რომელიც აზერბაიჯანის მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო მოკავშირედ ითვლება. თურქეთის რეგიონში შემოყვანა, ბუნებრივია, აზერბაიჯანული მხარის მიერ აღქმული უნდა იყოს რუსეთის დაბალანსების მცდელობად. ამიერიდან, რეგიონში მხოლოდ რუსეთის ფედერაცია აღარ იქნება წარმოდგენილი, შედარებით მცირე წარმომადგენლობა გაუჩნდა თურქეთსაც.

მნიშვნელოვანია ნახიჩევანის კორიდორის საკითხიც. აზერბაიჯანის ინტერესს მუდმივად წარმოადგენდა მოეპოვებინა პირდაპირი უმოკლესი სახმელეთო კავშირი ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან,<sup>8</sup> რომელიც გეოგრაფიულად სომხეთზე, უფრო კონკრეტულად კი სომხეთის სიუნიქის პროვინციაზე გაივლიდა. აქამდე ამგვარი გზის არსებობის არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და ყველაფერი დამოკიდებული იყო აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოების ბილატერალურ შეთანხმებაზე, თუმცა ცნობილი მიზეზების გამო, მსგავსი შეთანხმება წარმოუდგენელი გახლდათ. ყარაბაღის მეორე ომის შემდგომ, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, აზერბაიჯანს უკვე მიეცა სამართლებრივი უფლება, რათა აღნიშნული კორიდორის გახსნა მოითხოვოს.

გარდა ამისა, შეთანხმებაში არსებობს ისეთი პუნქტიც, რომელიც მხარეებს კონფლიქტის ზონაში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას ავალდებულებს. აღნიშნული რამ მოკლევადიან პერსპექტივაში წარმოუდგენლად გამოიყურება, რადგან საზოგადოებებში არსებული ომის შემდგომი პოლარიზაციის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე მაინც, ნაკლებად სავარაუდოა მშვიდობიანი თანაცხოვრება, თუმცა ეს ყოველივე ოფიციალურ ბაქოს საშუალებას აძლევს, მუდმივად გაამახვილოს ყურადღება აზერბაიჯანელი დევნილების მთიან ყარაბაღში დაბრუნების თაობაზე, რითაც ხაზი გაუსვას სომხური მხარის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას და ასევე, თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, იქონიოს პოლიტიკური გავლენა სომხეთში მიმდინარე შიდა მოვლენებზე.

საბოლოოდ, ომში მიღწეული წარმატება, ცხადია, აზერბაიჯანულ საზოგადოებაში თავდაჯერებისა და სიამაყის განცდას იწვევს, ეს ყოველივე კი მმართველი ელიტის ლეგიტიმაციის ხარისხში აისახება, რაც აქამდე ერთგვარ კრიზისს განიცდიდა.

მეორე მხრივ, შეთანხმებას სომხეთში საპროტესტო აქციები მოჰყვა. დემონსტრანტებმა დაიკავეს მთავრობისა და პარლამენტის შენობები, ფიზიკურად გაუსწორდნენ პარლამენტის წევრებს და მოითხოვეს პრემიერ მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის გადადგომა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარება. ამ უკანასკნელ მოთხოვნას, აქციებისა და მთავ-

<sup>8</sup> ამჟამად აზერბაიჯანი ნახიჩევანის რესპუბლიკას ორი სახმელეთო გზით უკავშირდება. პირველი გადის საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაზე და შედარებით შორ მანძილს წარმოადგენს, მეორე კი ირანის ისლამური რესპუბლიკის გავლით უკავშირდება ავტონომიურ რესპუბლიკას.

რობის წევრებისა თუ პარლამენტარების მიერ პოსტების დატოვების ფონზე, საბოლოოდ, ფაშინიანი დათანხმდა და სომხეთში ახალი არჩევნები გაიმართება.<sup>9</sup>

ომის შემდეგ სომხეთს მოუხდა იმ ტერიტორიების დათმობა, დაეთმო ის ტერიტორიები, რომელიც მას ყარაბაღის პირველი ომის შედეგად ჰქონდა მოპოვებული. ეუთოს ფორმატში ჩამოყალიბებული ხედვის მიხედვით, რომელიც „მადრიდის პრინციპების“ სახელითაა ცნობილი და, რომელიც ბოლოს 2009 წელს განახლდა, სომხეთს შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში უნდა დაეთმო ყარაბაღს მიღმა არსებული აზერბაიჯანული რაიონების ნაწილი, თუმცა სანაცვლოდ, ლაჩინისა და ქელბაჯარის შენარჩუნებით ექნებოდა სახმელეთო კავშირი დე-ფაქტო მთიან ყარაბაღთან და ასევე გაირკვეოდა მთიანი ყარაბაღის სტატუსიც<sup>10</sup>, რაც მნიშვნელოვანი დიპლომატიური სარგებელი უნდა ყოფილიყო სომხეთისთვის. მიუხედავად საბაზისო პრინციპებზე შეთანხმებისა, მადრიდის პრინციპების ცენტრალურ საკითხებზე შეთანხმება არ მომხდარა. შედარებისთვის, ომის შემდეგ სომხეთმა დათმო ყველა ის „აქტივი“, რითაც შეიძლებოდა მთიანი ყარაბაღის სტატუსის<sup>11</sup> შესახებ „ევაჭრა“, რაც ლოგიკურია, ერევნისთვის პოლიტიკური მარცხია.

ცალკე განხილვის თემაა, ის სამხედრო და ცოცხალი ძალის დანაკარგები, რომელიც ამჟამად ზუსტდება. ასევე, დევნილთა ნაკადი, რომელიც კონფლიქტის ზონიდან, ძირითადად სომხეთის რესპუბლიკაში ჩავიდა.

გარდა სომხეთისა და აზერბაიჯანისა, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ თურქეთისა და რუსეთის ფედერაციის შესახებ, რომელთაც ასევე მიიღეს პოლიტიკური თუ გეოსტრატეგიული სარგებელი შექმნილი ვითარებიდან.

რუსეთის ფედერაცია, რომელმაც კონფლიქტის მიმდინარეობისას მოქმედების თავისუფლება მიანიჭა აზერბაიჯანს, ომის დასრულების შემდეგ მშვიდობის მთავარ გარანტად იქცა.

სამმხრივი შეთანხმების თანახმად:

- მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე განთავსდა მსუბუქად აღჭურვილი 1960 რუსი მშვიდობისმყოფელი;
- ე.წ. კონტაქტის ხაზის გასწვრივ გაიხსნება რუსული საგუმაგოები და გამშვები პუნქტები;
- ლაჩინის კორიდორში მგზავრთა და ტვირთების გადაადგილებას გააკონტროლებენ რუსული ძალები;
- რუსეთის ფედერაციის ძალები თურქ კოლევებთან ერთად შექმნიან სამშვიდობო ცენტრს, რომელიც, სავარაუდოდ, აღდამის რაიონში განთავსდება;

გარდა ამისა, ომის დასრულების შემდეგ, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლე-

<sup>9</sup> 2021 წლის 7 თებერვალს, სომხეთის მმართველმა პარტიამ – «ჩემი ნაბიჯი», ახალი არჩევნების შატარების შესახებ განცხადება გაავრცელა. განცხადების მიხედვით, მოსახლეობაში არ იყო ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა მომავალი პერიოდის განმავლობაში. გამომდინარე აქედან, სომხეთში ახალი არჩევნების ჩატარება, ძალიან სათუთაა.

<sup>10</sup> OSCE. (2009, July 9). Statement by the OSCE Minsk Group Co-Chair countries. Retrieved from osce.org: <https://www.osce.org/mg/51152>

<sup>11</sup> ამჟამად მთიან ყარაბაღს არავითარი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი არ აქვს, რომელსაც ორივე, აზერბაიჯანი და სომხეთი აღიარებენ. ფაქტობრივად კი, ადგილზე მუშაობას აგრძელებს დე ფაქტო მთავრობა, რომელიც საკუთარ თავს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, არცაზის მთავრობას უწოდებს. არხაზის დამოუკიდებლობა არცერთ სუვერენულ სახელმწიფოს არ უღიარებია, თუმცა მისი დამოუკიდებლობა სცნო ევროპის, ავსტრალიისა და ამერიკის ცალკეული პროვინციებისა თუ ქალაქების მთავრობებმა, რომელთაც საგარეო პოლიტიკაზე გავლენა არ აქვთ. ასევე დე ფაქტო სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა.

ბი აქტიურად არიან ჩართულები სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრის დემარკაციის პროცესში, მათ შორის სიუნიქის რეგიონში.

ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიცვალა რუსეთის გეოპოლიტიკური აქტივები ყარაბაღის ომის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მათ შორის სომხეთთან მიმართებაში.

ომამდე რუსეთის ფედერაცია სამხედრო ძალით სამხრეთ კავკასიის მხოლოდ ორ სახელმწიფოში იყო წარმოდგენილი, მათ შორის საქართველოში უკანონო სამხედრო ბაზებით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და სომხეთის რესპუბლიკაში, კანონიერი გიუმრის ბაზით. ომის შემდგომი რეალობით, ამჟამად რუსეთი აზერბაიჯანშიცაა წარმოდგენილი, რაც მას განსაკუთრებულ შესაძლებლობას აძლევს გავლენა იქონიოს აზერბაიჯანისა და სომხეთის არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაზე, არამედ საშინაო მოვლენებზეც.

ის ფაქტი, რომ მიუხედავად სომხეთის დაჟინებული მოთხოვნისა<sup>12</sup> რუსეთი კონფლიქტში ჩარეულიყო, ხოლო თავად რუსეთი ერთგვარ ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა, მიანიშნებს იმაზე, რომ მოვლენათა მსგავსი განვითარება შედიოდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებში. ამას რამდენიმე შესაძლო ახსნა შეიძლება მოეძებნოს, მათ შორის: ხავერდოვანი გზით ხელისუფლებაში მოსული ნიკოლ ფაშინიანის დასჯა, რომელმაც დემოკრატიული რეფორმებითა და კორუფციასთან ბრძოლით მეტ-ნაკლებად გაიმეორა დასავლეთთან დაახლოების მანამდე არსებული ქართული ან უკრაინული გამოცდილება, რაც ბუნებრივია, მტკიცუნეულად აღიქმება მოსკოვში. ასევე იმ რეალობაში, რაც ამჟამადაა, როგორც უკვე ვთქვით, რუსეთი აკონტროლებს სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკას და მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში თურქეთიც გამოჩნდა და იმიტომ, რომ აღნიშნულ ომში დასავლეთის გავლენები მინიმუმამდე დავიდა, რუსეთის მმართველ წრეებში გაჩნდა განცდა, რომ ისინი სრულად აკონტროლებენ სამხრეთ კავკასიის რეგიონს.

თავის მხრივ, თურქეთმაც მიიღო გეოსტრატეგიული სარგებელი. იგი დიდი ხნის ისტორიული პაუზის შემდეგ, პირველად დაბრუნდა სამხრეთ კავკასიაში, რაც თურქეთის ამჟამინდელი ხელისუფლების პანთურქული და ნეოოტომანური პოლიტიკის ერთ-ერთ ტრიუმფად ითვლება. თურქეთის კავკასიაში შემოსვლით, ანკარას ეძლევა შესაძლებლობა, რუსეთთან კავკასიის საკითხის კომპრომისით ივაჭროს ლიბიისა და სირიის სხვა სტრატეგიულ თემებზე, ან პირიქით, ლიბიისა და სირიის საკითხებზე პოზიციების დათმობით, გაიმყაროს პოზიციები კავკასიაში.

საბოლოოდ, შექმნილი გეოსტრატეგიული მდგომარეობით, რეგიონში პოზიციები გაიმყარა რუსეთის ფედერაციამ და გამოჩნდა ახალი მოთამაშე თურქეთს სახით, რომელიც რუსეთის დაბალანსებას შეეცდება. თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა აზერბაიჯანიც, რომელმაც გარკვეულწილად შეძლო საკუთარი მიზნების მიღწევა.

ამ რეალობაში ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, თუ რა არის საქართველოს როლი და სად არის მისი ადგილი.

<sup>12</sup> ომის მიმდინარეობისას ნიკოლ ფაშინიანმა პირდაპირ თუ ირიბად არაერთხელ მოუწოდა რუსეთს ომში უფრო აქტიურად ჩარევისაკენ. 31 ოქტომბერს, ომის დასრულებამდე 10 დღით ადრე, მან წერილიც კი მიწერა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, თუმცა პუტინის განცხადებით, ბრძოლები სომხეთის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა, ამდენად იგი ვერ ჩაერეოდა. წერილის ტექსტი ინგლისურ ენაზე: <https://www.mfa.am/en/press-releases/2020/10/31/let/10617>

## რეგიონალური გავლენა საქართველოზე

საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობები აქვს თურქეთსა და აზერბაიჯანთან. სწორედ საქართველოს გავლით აწვდის აზერბაიჯანი საკუთარ ენერგორესურსებს თურქეთსა და შემდგომში – ევროკავშირის ქვეყნებს. სამ ქვეყანას შორის გაფორმებულია არაერთი პარტნიორობისა და მხარდაჭერის დოკუმენტი და ისინი ერთმანეთთან არა მხოლოდ დამოუკიდებლად, ანუ ორმხრივ ურთიერთობებში, არამედ საერთო, სამხრივ ურთიერთობებშიც არიან ჩართულნი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თანამშრომლობს აზერბაიჯანსა და თურქეთთან, განსაკუთრებით კი ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და თურქეთის შემთხვევაში თავდაცვის სფეროებში, ეს ყოველივე საქართველოს მაინც არ აქცევს კონფლიქტის მხარედ და თურქეთ-აზერბაიჯანის მოკავშირედ, რადგან საქართველოს ასევე აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობები სომხეთთანაც. ამას საკმაოდ კარგად ხვდებიან ბაქოშიც და ანკარაშიც.

იმ დროს, როდესაც რეგიონში კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს უშუალო მონაწილეობის, რუსეთის ფედერაციის გავლენები, ბუნებრივია, დგება საქართველოს ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვის საკითხი, თუმცა ამ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი შეეცდება რუსეთის ერთგვარ საპირსწინედ იქცეს რეგიონში, საქართველო ანკარას საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვისთვის აბსოლუტურად ვერ დაეყრდნობა, რადგან მიუხედავად კარგი ურთიერთობებისა, თეორიულად შესაძლებელია, რომ საქართველოსა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, ან, როგორც უკვე ვთქვი, თურქეთთან კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობამ და მოკავშირეობამ, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს კეთილმეზობლური ურთიერთობები სომხეთთან. ნაცვლად ამისა, საქართველო უნდა შეეცადოს რეგიონში დააბრუნოს დასავლეთი, რომელიც ბოლო ომის დროს, პრაქტიკულად მონყვეტილი იყო პროცესებს.<sup>13</sup>

საბოლოოდ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, რომ ამჟამად, მაშინ, როცა სამხრეთ კავკასია თანდათან ყალიბდება ორი რეგიონალური ჰეგემონიისთვის მებრძოლი სახელმწიფოს, რუსეთისა და თურქეთის გეოპოლიტიკური დაპირისპირების ადგილად, საქართველო კი მეტ-ნაკლებად მარტოა, აუცილებელია დასავლეთის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, კონკრეტულად კი საქართველოში კიდევ უფრო მეტად გააქტიურება, მათ შორის ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების კუთხით.

<sup>13</sup> მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები რუსეთთან ერთად საფრანგეთი და აშშ-ცაა, მათი როლი რუსეთთან შედარებით მოკრძალებული იყო. მაშინ როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ილჰამ ალიევის კრიტიკის ობიექტი გახდა მისი „პრო-სომხური პოზიციის გამო“, ხოლო აშშ-ის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო ზავი უფრო მეტად ტრამპის საარჩევნო მოქმედებას წარმოადგენდა, ვიდრე რეალურ სამშვიდობო გეგმას, რუსეთის ფედერაციამ ითამაშა მთავარი მედიატორის როლი.

## რას ნიშნავს ყარაბაღის მეორე ომი ქართველეთისთვის, აფხაზეთისა და ოსეთისთვის

ყარაბაღის მეორე ომმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აქამდე მიმდინარე მოლაპარაკებები მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მასში ჩართულ მხარეებს არ ჰქონდათ რეალური მზაობა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ორივე საზოგადოების პოლარიზება და შექმნილი რეალობიდან კომპრომისზე წასვლის შეუძლებლობა გახლდათ.

აზერბაიჯანის სამხედრო წარმატებამ, რეალპოლიტიკის პერსპექტივიდან გამომავალია, რომ ის, რაც ამდენი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იყო დიპლომატიის გზით გადანყვეტილიყო, შედარებით სწრაფად გადაიჭრა სამხედრო ძალის დახმარებით. ეს ყოველივე კი გარე რიგითი დამკვირვებლის თვალით აჩენს განცდას, რომ კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ სამხედრო ძალითაა შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს არასოდეს დაუფიქსირებია, რომ იგი დაპირისპირებას რუსეთთან და შიდა ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებს სამხედრო გზით მოაგვარებს, შესაძლოა, რომ აზერბაიჯანის სამხედრო წარმატება ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ამყარებდეს აზრს, რომ მშვიდობის მშენებლობისა და მოლაპარაკებების ის ფორმატები, რაც ამ დრომდე არსებობს, უშედეგოა, და მსგავსად ჩვენი მეზობლისა, საქართველომაც მილიტარიზაციაზე უნდა იფიქროს, რაც, რა თქმა უნდა, ქმნის ლეგიტიმაციის პრობლემას სახელმწიფოს მიერ აქამდე წარმოებული „შერიგების პოლიტიკისთვის“. თავის მხრივ, მოსახლეობის ნაწილის განცდას, რომ მილიტარიზაციის გარეშე შეუძლებელია კონფლიქტების მოგვარება, ხსნის ის ფაქტი, რომ მსგავსად აზერბაიჯანი-სომხეთის მოლაპარაკებებისა, საქართველოს რეალობაში არსებული ფორმატებიც მეტწილად უნაყოფო და ფორმალურია, ანდაც მხოლოდ ყოფითი ინციდენტების რეაგირებით შემოიფარგლება.

მეორე მხრივ, აფხაზეთ და ოსურ საზოგადოებებშიც შესაძლოა არსებობდეს განცდა, რომ ქართულმა სახელმწიფომ სამხედრო ძალის გამოყენებით სცადოს კონფლიქტის მოგვარება. ომის მიმდინარეობისას, 30 სექტემბერს აფხაზეთმა მედია საშუალებამ „აფხაზეთი დღეს“ გაავრცელა აფხაზი ჟურნალისტისა და დე-ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ახრა სმირის წერილი<sup>14</sup>, სადაც იგი ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებს აფხაზეთში ომს ადარებს.

„ომისა და ბლოკადის შემდეგ, 1998, 2001 და 2008 წლის მოვლენების შემდეგ, პოლიტიკური კრიზისი, გადატრიალებებისა და პანდემიის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი წლის ნებისმიერ დღეს საქართველოს შეუძლია თავს დაგვეხსნას ძლიერი ქვეყნების დახმარებით. აფხაზეთის მოქალაქეებო და აფხაზეთო მთელ მსოფლიოში, შეხედეთ ყარაბაღს და გახსოვდეთ, რომ მტერი არსად წასულა. ის იცდის“, – აცხადებს სმირი საკუთარ წერილში.

მსგავსი განწყობები იკითხება დე-ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ტექსტებიდანაც. უწყებამ 25 დეკემბერს გაავრცელა განცხადება, სადაც აფხაზეთი

<sup>14</sup> წერილი 30 სექტემბერს დე-ფაქტო რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს გამოქვეყნდა. წერილის ტექსტი რუსულ ენაზე:

<https://www.facebook.com/apsny.today/photos/a.547762342256624/1202620516770800/>

მხარე იმ დროს თავდაცვის მინისტრობის კანდიდატის ირაკლი ლარიბაშვილის საპარლამენტო მოსმენის ტექსტს ეხმაურება, სადაც ლარიბაშვილი ამბობს, რომ თბილისი გეგმავს სადაზვერვო და საბრძოლო დრონების შექმნას. სოხუმი თბილისს მილიტარიზაციასა და კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარებაში ადანაშაულებს.

„მთიან ყარაბაღში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საბრძოლო დრონების გამოყენებით, აზერბაიჯანულმა მხარემ შეძლო შეტევითი ოპერაციების განხორციელება. ცხადია, ამგვარი თანამედროვე ტიპის იარაღი შეიძლება გამოიყენოს [ქართულმა მხარემ] გადაუჭრელი კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარებისათვის“, – ნათქვამია დე-ფაქტო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.<sup>15</sup>

პრაქტიკულად მსგავსი განწყობებია ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, სადაც, დე-ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვის განცხადებით, სამხრეთ ოსეთმა უნდა ისწავლოს ყარაბაღის გაკვეთილებზე დაყრდნობით. თავდაცვის საკითხების შემაჯამებელი ანგარიშისას, ბიბილოვმა განაცხადა, „რომ სამხრეთ ოსეთმა უნდა გააანალიზოს და გაიაზროს მთიან ყარაბაღში, სირიასა და მსოფლიოს სხვა „ცხელ წერტილებში“ მომხდარი მოვლენები, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩვენი თავდაცვის სამინისტრო სხვადასხვა მაღალტექნოლოგიური მიმართულებით განვითარდეს“.<sup>16</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური და ოსური დე-ფაქტო მთავრობები აცხადებენ შიშებს იმის შესახებ, რომ შესაძლოა საქართველომ დაიწყოს სამხედრო დაპირისპირება, ეს ყოველივე რეალურად მაინც ადგილობრივი საზოგადოებისთვის გაკეთებულ განცხადებებზე ან/და დიპლომატიური ბრძოლის საშუალებად უნდა შეფასდეს და არა რეალური საფრთხის შეგრძნებად, რადგან:

- განსხვავებით აზერბაიჯანისა, ქართული სამხედრო შესაძლებლობები შეზღუდულია

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი მიუხედავად იმისა, რომ იზრდება ლარებში, არსებითად იგივე რჩება ან დიდად არ იზრდება, რაც გამომდინარეობს ეროვნული ვალუტის გაუფასურებით იმ დროს, როდესაც თავდაცვის უწყების ძირითადი შესყიდვები და მომსახურებები უცხოურ ვალუტაში, ძირითადად ამერიკულ დოლარშია. ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი ძირითადად დაახლოებით 300 მილიონი ამერიკული დოლარია. შედარებისთვის, მსოფლიო ბანკის მონაცემების, აზერბაიჯანმა თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის (48.048 მილიარდი აშშ დოლარი მიმდინარე ფასებში) თითქმის 4 პროცენტი თავდაცვაზე დახარჯა, მაშინ როცა იმავე წელს საქართველომ თავისი 17.477 მილიარდიანი მთლიანი შიდა პროდუქტიდან თავდაცვას მხოლოდ 2% მოახმარა.

- საქართველოს გაცხადებული პოლიტიკა

ქართული სახელმწიფოს გაცხადებული სტრატეგია არალიარებისა და დეოკუპაციის პოლიტიკასთან ერთად არის შერიგების პოლიტიკაც. ოფიციალურ თბილისს არაერთგზის დაუფიქსირებია, რომ კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან გზას უჭერს მხარს.<sup>17</sup>

<sup>15</sup> Комментарий МИД Абхазии – სრული ტექსტი რუსულ ენაზე: [http://mfaapsny.org/ru/allnews/news/statements\\_speeches/kommentariy-mid-abkhazii-87/](http://mfaapsny.org/ru/allnews/news/statements_speeches/kommentariy-mid-abkhazii-87/)

<sup>16</sup> Президент Южной Осетии призвал извлечь уроки событий в Нагорном Карабахе, Сирии и других «горячих точках» <http://cominf.org/node/1166533982>

<sup>17</sup> „არალიარება, დეოკუპაცია, შერიგება“ – მინისტრი თბილისის სამშვიდობო პოლიტიკაზე Netgazeti <https://netgazeti.ge/news/509781>

- რუსეთის ფაქტორი

კავკასიაში სამხედრო ბალანსი რუსეთის მხარესაა. რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში აქვს სამხედრო ბაზები. გარდა ამისა, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რუსეთი უზრუნველყოფს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საზღვრების დაცვასა და უსაფრთხოებას. აღნიშნული გარემოება, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სამხედრო შესაძლებლობები შეზღუდულია, პრაქტიკულად გამორიცხავს თბილისის მიერ კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების შანსს.

მიუხედავად იმისა, ყარაბაღის ომის შემდეგ მართლა დაიწყო თუ არა საქართველომ მილიტარიზაცია ან/და მართლა შიშობენ თუ არა ადგილობრივი დე-ფაქტო მმართველები, რომ ახალი ომი დაიწყება, ერთი რამ ცხადია – ყარაბაღის მეორე ომით შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც ერთმა მხარემ ძალისმიერი მეთოდებით შეძლო საკუთარი ინტერესების მიღწევას, რაც, პროპაგანდისა და მესამე ძალების მიერ მანიპულაციის შემთხვევაში, კიდევ უფრო აღრმავებს ქართული და ოსური და აფხაზური საზოგადოებების მხრიდან ერთმანეთისადმი უნდობლობის განცდას, რაც „შერიგების“ პროცესისთვის დამაზიანებელია.

## ინტეგრაციის საკითხი

საქართველოს მოსახლეობის, არცთუ ისე, მცირე ნაწილი, სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებია. სახელმწიფო ენის არცოდნის, შრომითი თუ სასწავლო მიგრაციების, ნათესაური კავშირების, საინფორმაციო საშუალებების ძირითადი წყაროებისა თუ სხვა მიზეზების გამო, მოქალაქეთა ეს ჯგუფი კვლავ სოლიდარულია, შესაბამისად, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებისადმი.

საქართველოს გაცხადებული პოლიტიკის მიხედვით, სახელმწიფო ცდილობს ამ მოქალაქეების საერთო სივრცეში ინტეგრაციას, თუმცა იმ ფონზე, როდესაც კიდევ უფრო ღრმავდება დაპირისპირება და ხიდრატეხილობა სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებებში, რაც გარკვეულწილად, ნეგატიურად აისახება საქართველოს მოქალაქე სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების ურთიერთობაზეც.

კონფლიქტის მიმდინარეობისას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ საჯაროდ განაცხადა, რომ იგი საკუთარ ტერიტორიაზე არ ატარებდა არც ერთი მხარის საბრძოლო ტექნიკას და ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, საქართველოში კომპაქტურად მცხოვრებ სომეხ მოქალაქეებში გავრცელდა ყალბი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველო ატარებდა თურქულ სამხედრო დახმარებას და ხელს უშლიდა ჰუმანიტარული ტვირთების სომხეთის მიმართულებით გაგზავნას, რასაც ვნებათა ღელვა მოჰყვა. ეს ფაქტი აჩვენებს იმას, რომ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების ნაწილი არ ენდობა იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც არიან, რაც მათი ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური ინტეგრაციის არარსებობით აიხსნება. საბოლოოდ, სომხეთის საელჩომ განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.<sup>18</sup>

<sup>18</sup> სომხეთის საელჩო: ტყუილია, რომ საქართველო ხელს გვიშლის ჰუმანიტარული ტვირთის მიღებაში. რადიო თავისუფლება. 06.ოქტომბერი. 2020 <https://www.radiotavisupleba.ge/a/30878364.html>

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ყარაბაღის მეორე ომის დროს ქართული საზოგადოების ნაწილში კიდევ ერთხელ გააქტიურდა არმენოფობიის საკითხი. აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ასლან ბჟანიას თანაშემწემ, 6 ნოემბერს, ომის დასრულებამდე 4 დღით ადრე, ახრა ავიძბამ სოციალურ ქსელებში გაავრცელა აფხაზეთელი სომხების ფოტოები, რომლებიც მთიან ყარაბაღში საბრძოლველად მიდიოდნენ. ავიძბას განცხადებით, „ყველა ეთნიკურად სომეხ მოქალაქეს ჰქონდა უფლება დაეცვა საკუთარი სამშობლო“<sup>19</sup>. მოგვიანებით გაავრცელდა ცნობა, რომ სომეხი მოხალისეები მართლაც ჩავიდნენ სომხეთში და დე-ფაქტო მთიანი ყარაბაღის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

აფხაზეთის ომში ადგილობრივი სომეხთა რაზმი, ე.წ. „ბაგრამიანის ბატალიონი“ აქტიურად იბრძოდა ქართული ძალების წინააღმდეგ. შესაბამისად, ამ ომში აფხაზეთელი სომხების მონაწილეობის შესახებ გაავრცელებული ინფორმაცია, საზოგადოების ნაწილში ვნებათაღელვისა და რიგ შემთხვევაში, არმენოფობიისა და სიძულვილის ენის გამოყენების მიზეზი გახდა.

შეჯამებისთვის, ნათელია, რომ 44-დღიანი ომის შემდეგ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოქალაქეების ინტეგრაციის პროცესი რთულდება, როცა ერთმანეთის წინააღმდეგ ის სახელმწიფოები იბრძვიან, რომელთა მიმართაც ამ ადამიანებს ერთგვარი მიკუთვნებულობა გააჩნიათ. საკითხი განსაკუთრებით მძიმდება იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ ომში საქართველოს ყოფილი ან ამჟამინდელი სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეებიც მონაწილეობენ, რომლებიც, ჩართული არიან უშუალო საომარ მოქმედებებში<sup>20,21</sup>, ან მეორე შემთხვევაში, მონაწილეობას იღებენ ე.წ. საინფორმაციო ომში და ემოციურად მხარს უჭერენ კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარეს. ომმა კიდევ უფრო ნათელი გახადა ის, რომ ქართულმა სახელმწიფომ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გაიღოს მოქალაქეთა ერთიან სივრცეში ინტეგრაციისთვის.

## დასკვნა

ყარაბაღის ომის შედეგად, საკუთარი პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა რუსეთის ფედერაციამ. ამჟამად იგი მთავარი მედიატორია დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რაც მას ბაქოსა და ერევნის პოლიტიკაზე ზეგავლენის საშუალებას აძლევს. სარგებელი მიიღო თურქეთმაც, რომელმაც ახალი დაპირისპირებული სივრცის შექმნით, რუსეთის სხვა რეგიონებში ბალანსის შესაძლებლობა მიიღო. თავის მხრივ, სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია აზერბაიჯანმაც, რომელმაც კონტროლი დაამყარა იმ ტერიტორიების უდიდეს ნაწილზე, რომელსაც თითქმის ბოლო 3 ათწლეულის მანძილზე ვერ აკონტროლებდა.

<sup>19</sup> კონფლიქტის ზონაში საბრძოლველად 20-მდე მოხალისე ჩაფრინდა, თუმცა უცნობია მათ რეალურად მიიღეს თუ არა მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. ახრა ავიძბას მიერ გაავრცელებული ფოტოები: [https://www.facebook.com/permalink.php?story\\_fbid=794358321415573&id=100025242379704](https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=794358321415573&id=100025242379704)

<sup>20</sup> ერევანში ვაჰაგნ ჩახალიანი დააკავეს | სომხური მედია. 11.11.2020. Netgazeti <https://netgazeti.ge/news/497886/>

<sup>21</sup> ვაჰაგნ ჩახალიანის მიერ მთიანი ყარაბაღის ომში მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ მედიაში, რომელსაც აზერბაიჯანულენოვანი მკითხველიც ყავს, ინფორმაცია შემდეგი სათაურით გაავრცელდა – „ჯავახეთის სეპარატისტი ვაჰაგნ ჩახალიანი იბრძვის ტერორისტების რიგებში ყარაბაღში და პირობას დებს, რომ „საქართველოში იარაღითა და ძმებით დაბრუნდება“ ანუ ტერორისტებთან“. რადიო მარნეული. 05.10.2020. <https://www.marneulifm.ge/ka/siakhleebi/article/34630>

საქართველოს პერსპექტივიდან იმ დროს, როდესაც რეგიონში ყალიბდება ორი ძირითადი ძალის, თურქეთისა და რუსეთის გეოსტრატეგიული დაპირისპირება, მნიშვნელოვანი ხდება დასავლეთის, როგორც საქართველოს პარტნიორისა და მხარდამჭერის, კიდევ უფრო გააქტიურება, რათა რეგიონში საქართველოს ინტერესები მეტ-ნაკლებად იყოს დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სახელმწიფოს ასეთი განზრახვები არ აქვს, რიგითი დამკვირვებლისთვის მილიტარიზაციის გზით ქვეყნის ეროვნული მიზნების მიღწევა, შეიძლება სიმპათიას იწვევდეს და ქართულ საზოგადოების ნაწილშიც აჩენდეს კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების სურვილს, თუმცა მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ აღნიშნული განწყობები მესამე ძალის მიერ ქართველებსა და აფხაზებსა და ოსებს შორის სიძულვილის გაღვივებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. საბოლოოდ, ამ შემთხვევაში საქართველომ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ის ძალისხმევა, რაც ნდობის აღდგენისა და შერიგების პოლიტიკისადრე მიმართული, რათა მინიმუმ კონფლიქტით დაინტერესებულ სხვა ძალებს არ მისცეს საშუალება, პროპაგანდის გავრცელების გზით ხელი შეუწყოს დაპირისპირების გაღრმავებას.

ომმა გამოაჩინა ისიც, რომ საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში მაქსიმალური სოციალიზაცია, რათა თავიდან ავიცილოთ უკვე საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის რაიმე ტიპის გართულებების გაჩენა. ამისათვის კი აუცილებელია ეთნიკურ უმცირესობებში განათლებასა და ყოველდღიურ ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ეკონომიკური გაძლიერება, ახალგაზრდებისთვის საქართველოში დასაქმებისა და ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და სხვა.

დაბოლოს, ჩნდება კითხვა, არის თუ არა ომის შედეგები მშვიდობის დასაწყისი აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხს შორის?! პასუხი ალბათ ცალსახაა, რომ არა. ამ შემთხვევაში პირიქით, ომის შემდეგ შექმნილი ვითარება, საზღვრის დემარკაციის პროცესი, სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებებში ომის შემდგომი ტრავმები და ადგილზე რუსი სამშვიდობოების ყოფნა, ახალი კონფლიქტების წარმოშობის საფუძველია. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანმა მიიღო პრაქტიკულად ყველაფერი, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა შექმნილი რეალობიდან, კონფლიქტი არ გადაჭრილა. ამის სანაცვლოდ, სომხური და აზერბაიჯანული საზოგადოებები გახდნენ უფრო პოლარიზებული. კონფლიქტის შესაძლო კომპრომისული გადაჭრა, ორივე ქვეყანაში აღიქმება, როგორც სამშობლოს ღალატი, რაც სახელმწიფოებს მუდმივ დაპირისპირებას უწინასწარმეტყველებს. აქედან გაკვეთილი ქართველებისთვის, ოსებისა და აფხაზებისთვის ნათელი უნდა იყოს – თუ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მშვიდობის დამყარება რეალურად უნდათ და ამისათვის თავისუფალნი იქნებიან სხვა გარე ძალების გავლენებისგან, მაშინ ერთმანეთისადმი ნდობის აღდგენასა და შერიგებას ალტერნატივა არ აქვს.

# თურქეთის ინტერესები აფხაზეთში: წარსული და თანამედროვეობა სანდრო ბაკურაძე

## მოკლე ისტორიული მიმოხილვა და აფხაზეთის ომი

აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქეთის ინტერესებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვთ და მათი სათავე ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიამდე მიდის. აფხაზეთი, ოსმალეთის იმპერიისათვის, შავი ზღვის აუზის კონტროლის საკითხში მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა და ჯერ კიდევ XV საუკუნეში, ოსმალებმა რამდენჯერმე სცადეს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დამკვიდრება და აფხაზეთის სანაპიროზე გარკვეული გავლენაც მოიპოვეს. შავი ზღვის აუზში რუსეთის გავლენის ზრდასთან ერთად ოსმალეთის იმპერიისათვის აფხაზეთის სტრატეგიულმა მნიშვნელობამაც მოიმატა და XVIII საუკუნიდან, ოსმალეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სანაპიროს ფორტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა დაიწყო. მაგალითად, შუა საუკუნეების პერიოდში, გენუელთა კუთვნილი ციხესიმაგრის ადგილას ახალი, სოხუმ-კალეს სახელით ცნობილი ციხის მშენებლობისას, ოსმალეთის ხელისუფლებამ, გარდა მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯისა, დიდი შრომა გასწია იმპერიის დედაქალაქ სტამბოლიდან, ტრაპიზონსა და ერზურუმის მსგავსი ოსმალური ქალაქებიდან კვალიფიციური მუშების ჩამოსაყვანადაც.<sup>1</sup>

შავი ზღვის აუზში რუსეთის იმპერიის გავლენის ზრდასთან ერთად, ერთი მხრივ, ოსმალეთისათვის აფხაზეთის მნიშვნელობა გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო ყირიმის დაკარგვამაც, მეორე მხრივ კი, აფხაზეთმა არისტოკრატია, რუსეთის, როგორც ალტერნატიული ძალის რეგიონში შემოსვლის გამოყენებით, უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. კავკასიის ომების პერიოდში აფხაზეთის ტერიტორია ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების დაპირისპირების ადგილად იქცა და 1864 წელს, რუსეთის იმპერიის გამარჯვების შემდეგ, ბევრი სხვა კავკასიელი ხალხის მსგავსად, აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა მუჰაჯირობის სახელით ცნობილი გადასახლების ტალღის ფარგლებში, ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულიყო.

მუჰაჯირობის შემდგომ, გადასახლებული აფხაზების ერთი ნაწილი მართალია, უკან დაბრუნდა, მაგრამ რეგიონის დემოგრაფია სამუდამოდ შეიცვალა და მანამდე მეტწილად აფხაზებითა და ნაწილობრივ ქართველებით დასახლებული რეგიონი თანდათანობით მრავალეროვნულ და მრავალკულტურულ გარემოდ იქცა. მაგალითად, 1886 წლისათვის, აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 41%-ს შეადგენდნენ, ხოლო 1926 წელს ეს რიცხვი კიდევ უფრო მეტად დაეცა და 26% შეადგინა.<sup>2</sup> 1950-იანი წლებიდან, საკურორტო

<sup>1</sup> Fedakar, Cengiz – Kafkasya'da Osmanlı Tahkîmatı:Sohum Kalesi (1723-1729), VAKANÜVİS-Uluslararası Tarih Araştırmaları Dergisi, Vol. 2, Kafkasya Özel Sayısı ISSN: 2149-9535, 2017, გვ. 167-168.

<sup>2</sup> აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრო-აფხაზური წყაროები დღევანდელი გალის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს, ცალკე ჯგუფად – სამურზაყანოელებად მოიხსენიებენ. თუმცა სამურზაყანოელების აღქმა რუსების მიერ საკმაოდ გაურკვეველი საკითხია. ნ.კ ზაიდლიცის ხელმძღვანელობით შედგენილი სტატისტიკური ცნობები და 1880 წლის კავკასიის ეთნოგრაფიული რუკა, ერთი მხრივ, სამურზაყანოელებს ხალხების კატეგორიაში ცალკე არ მოიხსენიებს, თუმცა 1886 წლის სტატისტიკურ ცნობებზე დაყრდნობით გამოცემულ დემოგრაფიულ ცნობარში, მართალია, წინასიტყვაობაში მოცემული ხალხების სიაში სამურზაყანოელები ცალკე ხალხად არ ფიქსირდებიან, მაგრამ უშუალოდ სოხუმის გუბერნიისადმი მიძღვნილ ნაწილში ისინი ცალკე არიან აღრიცხვნილები. რაც როგორც პრო-ქართულ, ისე პრო-აფხაზურ წყაროებს ინტერპრეტაციისათვის სივრცეს აძლევს. იხ: Hewitt, George (Ed.) – The Abkhazians, Routledge, 2013, გვ. 289; Свод Статистических Данных О Населении Закавказского Края, Извлеченных из Посемейных Списковъ 1886 Г., Тифлиси, 1893, с. XIV, 162

ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად, რეგიონისაკენ მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ათასობით ადამიანი გადმოსახლდა და შედეგად, 1979 და 1989 წლებში, აფხაზეთში აფხაზების წილი 17%-იდან 19% გახდა. რეგიონს არ ჰყავდა აბსოლუტური ეთნიკური უმრავლესობა, თუმცა მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ.<sup>3</sup>

მუჰაჯირობასთან ერთად, აფხაზეთში დასუსტდა ისლამის გავლენაც და მოგვიანებით, რუსეთის ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით განხორციელებული მისიონერული კამპანიის შედეგად, ეთნიკური აფხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი, ნომინალურად თუ გულწრფელად, მართლმადიდებლურად მოინათლა. მუჰაჯირობისა და ისლამის გავლენის შესუსტებასთან ერთად, აფხაზეთში ოსმალეთის და შესაბამისად, თურქეთის გავლენაც დასუსტდა, რამაც ახალი მასშტაბები მიიღო საბჭოთა პერიოდში, სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვის შემდეგ, რამაც თურქეთში გადასახლებულ აფხაზებსა და სამშობლოში დარჩენილ მათ თანამემამულეებს შორის კონტაქტები თითქმის მთლიანად შეზღუდა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლება, რომელიც საკმაოდ დიდი სიფრთხილით უდგებოდა კონტაქტებს კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებსა და მათ კაპიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ დიასპორებთან, იგივენაირად იქცეოდა აფხაზებთან მიმართებაშიც და ათწლეულების განმავლობაში თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები ისტორიული სამშობლოს მონახულების საშუალებას მოკლებულნი იყვნენ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, პოლიტიკურ ლიბერალიზაციასთან ერთად, ოფიციალური ვიზიტით თუ სამსახურებრივი მივლინებით, აფხაზური ინტელიგენციის გარკვეულ წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ მოენახულებინათ თურქეთი და იქ მცხოვრებ აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან კონტაქტები დაემყარებინათ. მაგალითად, 1968 წელს, იზმირის საერთაშორისო ფესტივალზე, საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ აფხაზური დიასპორის ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ისტორიკოსები გიორგი ძიძარია, შალვა ინალიფა და მწერლები – ვიანორ ფაჩულია და ვლადიმირ აიუძბა.<sup>4</sup>

თურქეთის აფხაზური დიასპორის წარმომადგენლების საბჭოთა აფხაზეთში პირველი ვიზიტი 1969 წელს განხორციელდა, როდესაც მეჰდი და ჰაქქი ოზდემირები (აჟიბა) აფხაზეთს ეწვივნენ, ხოლო პირველი სრულმასშტაბიანი ვიზიტი, რომელიც ადგილობრივი აფხაზების სტუმართმოყვარეობის დემონსტრაციად იქცა და ადგილობრივი და თურქეთელი აფხაზების მეხსიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, 1973 წელს შედგა. აფხაზეთს ეწვივნენ სალიჰ და მელიჰა ამირბები და ადვოკატი, მოგვიანებით აფხაზური დიასპორის მნიშვნელოვანი აქტივისტი რაჰმი თუნა და მისი მეუღლე, პუბლიცისტი და მკვლევარი მაჰინურ თუნა (პაპბა).<sup>5</sup> „პერესტროიკის“ პერიოდში, საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად, ანალოგიური მოვლენები განვითარდა აფხაზეთშიც. პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ კი აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა და შედეგად, თურქეთსა და სირიიდან, სასწავლებლად თუ რეპატრიაციის მიზნით არაერთი ეთნიკური აფხაზი ჩამოვიდა.<sup>6</sup>

<sup>3</sup> რუსულ და საბჭოთა ოფიციალურ დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი ცხრილებითვის ინ: <http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>

<sup>4</sup> Abhazou, Vahdang – Seferberlik Zamani, Sohum, 2013, s.18

<sup>5</sup> იქვე, გვ. 23

<sup>6</sup> აფხაზოუს მიხედვით 1991 წლისთვის აფხაზი, ადიღე და უბიხი სტუდენტების რაოდენობა აფხაზეთში 41-ს აღწევდა, მათ შორის 23 თურქეთიდან იყო. ინ: Abhazou, 2013, გვ. 27

1989 წლიდან, აფხაზებსა და ქართველებს შორის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის გამწვავების შემდეგ, თურქეთის აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებმა ბევრად უფრო აქტიურად დაიწყეს აფხაზეთში მოქმედება და ადგილობრივ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა. მაგალითად 1989 წლის ოქტომბერში, თურქეთის ერთ-ერთი მაღალ-ტირაჟიანი გაზეთის ტრრეყეტ-ის ეკონომიკური სექციის რედაქტორი სეზაი ბაბაქუმი (პაპბა) და მოკლე ხანში, აფხაზური მხარის ლიდერის ვლადისლავ არძინბას დავალებით ინფორმაციის და საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტში დაიწყო მუშაობა. 1990 წელს აფხაზეთს ეწვია თურქეთის აფხაზური დიასპორის ცენტრის, ადაფაზარის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ქალაქის მერ უნალ ოზანის ხელმძღვანელობით და სოხუმსა და ადაფაზარის მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმდა მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულება.<sup>7</sup> ამ პერიოდში, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის იურიდიული სტატუსი ჯერჯერობით აქტიური დავის საგნად არ იყო ქცეული, თურქეთის ხელისუფლება ოფიციალურ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, რასაც ხელს უწყობდა თურქეთში არსებული იდეოლოგიური ფონიც, რომელიც თურქეთის მოქალაქეების მიერ არათურქული იდენტობების გამოხატვას არაერთგვაროვნად უდგებოდა.

1992 წელს, აფხაზეთის ომის დაწყებასთან ერთად, თურქეთის ხელისუფლება, რომელიც უკვე აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას მის საბჭოთა პერიოდის საზღვრებში, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, საკუთარი სეპარატისტული პრობლემებისა და ნაკისრი ვალდებულებების გამო, იძულებული იყო ოფიციალურ დონეზე მხარი დაეჭირა საქართველოსთვის,<sup>8</sup> მეორე მხრივ, კი გავლენიანი აფხაზური და ჩრდილოკავკასიური დიასპორისა და შავი ზღვის აუზთან დაკავშირებული სტრატეგიული ფაქტორების გამო, რაიმე სახის რადიკალური გადაწყვეტილების საშუალება არ ჰქონდა. ამგვარად, თურქეთს აფხაზური თუ ჩრდილოკავკასიური დიასპორის წარმომადგენლები, რომელთაც აფხაზეთში საბრძოლველად ნასვლა სურდათ, არ დაუბრკოლებიათ, თუმცა მათ ყველა მცდელობას, მოეპოვებინათ თურქეთის ხელისუფლების იურიდიული მხარდაჭერა, ხელისუფლების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. უშედეგოდ დასრულდა ვლადისლავ არძინბას ვიზიტი თურქეთში 1992 წლის ივლისში, როდესაც მან უშედეგოდ სცადა შეხვედროდა თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

საინტერესოა, რომ იმ პერიოდში თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, ვლადისლავ არძინბას გარდა იმისა, რომ შეხვედრაზე უარი უთხრა და თურქულ მედიასში გამოჩენის საშუალება არ მისცა, მისი ვიზიტიდან ერთი კვირის შემდეგ ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს და 1992 წლის 30 ივლისს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც, საქართველო-თურქეთის თანამშრომლობის სხვა დეტალებთან ერთად, ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასაც მოიცავდა და ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა ემუშავა ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.<sup>9</sup> მიუხედავად თურქეთის ხელისუფლების წევრებთან შეხვედრის წარუმატებელი მცდელობისა, აფხაზურმა დელეგაციამ მოახერხა ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან – ბულენტ ეჯევიტთან, ოლუზჰან ასილთურქთან და მესუთ ილმაზთან შეხვედრა, მაგრამ მიღებული შედეგები აფხაზური მხარისთვის მეტწილად არადადამაკმაყოფილებელი იყო. მიუხედავად ამისა, თურქეთის მეჯლისში აფხაზეთის საკითხი გაჟღერდა და იმ პერიოდის გავლენიანი პოლი-

<sup>7</sup> Sol (Simsim), Selçuk – [Savaş öncesi Abhazya-Diaspora ilişkileri \(1989-1992\) I.Bölüm](#), Jineps, 01/02/2020

<sup>8</sup> Oran, Baskın (Ed.) – *Türk Dış Politikası*, Cilt II., İletişim Yayınları, İstanbul, 2002, გვ. 417

<sup>9</sup> იხ: Taştekin, Fehmi - [Küllerinden Doğan 'Canlar Ülkesi' Abhazya](#), Karadeniz Araştırmaları Dergisi, N 24, Kış 2010, გვ. 157; TC Resmi Gazete, Sayı: 21360, 29.09.1992, გვ. 2; 5.

ტიკოსებიდან ისთემიჰან თალაის და ოლუზჰან ასილთურქის გამოსვლებმა, რომლებიც აფხაზურ მხარეს მხარდაჭერას უცხადებდა, თურქეთის ჩრდილოკავკასიურ დიასპორაში დიდი მღელვარება გამოიწვია.<sup>10</sup>

აფხაზეთის ომში თურქეთის აფხაზური და ჩრდილოკავკასიური დიასპორის ათეულობით წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო ხუთი მათგანი დაიღუპა.<sup>11</sup> დაღუპულები თურქეთის ჩრდილოკავკასიური დიასპორისათვის მნიშვნელოვან ფიგურებად იქცნენ და მათ ისტორიასა და იკონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. თურქეთის აფხაზური დიასპორიდან შენდოლან ქაითი (აჟუნდი) აფხაზეთის არმიის გენერალი გახდა. აფხაზეთის ომი დღემდე, თურქეთის ჩრდილოკავკასიური დიასპორისათვის მნიშვნელოვან მოვლენად მოიაზრება, რომელმაც მათ კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

## თურქეთის ზოგადი პოზიციები აფხაზეთთან მიმართებაში

აფხაზეთის ომის შემდეგაც, თურქეთის პოზიციები აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში, პრაგმატული და ემოციური ფაქტორების ერთობლიობით გამონვეული ორაზროვნებით იყო განსაზღვრული. საკუთარი შიდაპოლიტიკური პრობლემებიდან, სადაც დიდ როლს ასრულებდა ქურთული სეპარატიზმის პრობლემა, გამომდინარე, თურქეთი ოფიციალურად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზური მხარის ლოგისტიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ერიდებოდა, მაგრამ გავლენიანი აფხაზური და ჩრდილოკავკასიური დიასპორების და თურქული საზოგადოების ისტორიული წარსულით განპირობებული სენტიმენტების გათვალისწინებით, აფხაზეთის წინააღმდეგ რაიმე სახის აქტიური ნაბიჯის გადასადგმელად თავს იკავებდა და აფხაზეთში საქმიანობის წარმართვის მსურველი ორგანიზაციებისა თუ მოხალისეების წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღებას ერიდებოდა.

იურიდიულად, თურქეთი ჯერ კიდევ 1992 წლიდან ოფიციალურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ მხრივ 1992 წლის 30 ივლისის შეთანხმება, საწყის ნერტილს შეადგენს, სადაც ხაზგასმულია, რომ „ორივე ქვეყანა აღიარებს ერთმანეთის საზღვრებს იმ მდგომარეობაში, როგორც მან ყარსის ხელშეკრულების მიხედვით მიიღო“. 1996 წელს თურქეთი ოფიციალურად შეუერთდა დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის მიერ დაწესებულ ემბარგოს და გააუქმა ოფიციალური სატრანსპორტო კავშირები, რომლებიც თურქეთსა და აფხაზეთს შორის არსებობდა. მათ შორის სოხუმი – ტრაპიზონის საზღვაო რეისი, რომელმაც რეგულარული ფუნქციონირება აფხაზეთის ომის შემდეგ, 1994 წელს დაიწყო.<sup>12</sup>

თურქეთი კარგა ხნის მანძილზე ემბარგოს პირობებს იცავდა და საქართველოს სანა-

<sup>10</sup> Marje, N 8, 12/1992, გვ. 21-23

<sup>11</sup> ესენი იყვნენ ეთნიკურად აფხაზები ერქან ჩაღლი (ციბა), ზაფერ ალიში (არგუნი), ვედათ აქარი(ქვაც-ბა), ბაჰადირ ოზბალი (აბაღბა) და ადილე ჰანეფი არსლანი (იეგოჟ). კავკასიური დიასპორის სამოქალაქო ორგანიზაციების იკონოგრაფიებში მათი ადგილისათვის იხ: <http://demokratikcerkeshareketi.org/node/708>; <http://www.kafkasevi.com/uploads/diasporaaniyor.jpg>

<sup>12</sup> Gültekin Punsman, Burcu; Tarba, Kemal; Başkan, Argun – *Karadeniz'in Bütünleşmesi İçin Abhazya*, TEPAV, ORSAM, 2009, გვ. 10

პირო დაცვის მიერ ემბარგოს რეჟიმის დამრღვევი თურქული გემების დაკავებასა და სანქცირებას გაგებით ეკიდებოდა. თუმცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის, საქართველოს დსთ-დან გასვლის და რუსეთის მიერ აფხაზეთის სანინაალმდეგო ემბარგოს ოფიციალურად გაუქმების შემდეგ, თურქეთის პოზიციებმაც ცვლილება განიცადა და 2009 წელს, საქართველოს მიერ პანამის დროშით მცურავი თურქული გემის – ბუკეტის და მისი ეკიპაჟის დაკავების შემდეგ, იმ პერიოდში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმეთ დავუთოლლუ საგანგებო ვიზიტით ეწვია საქართველოს და შედეგად, ქართული მხარე იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა გემის ეკიპაჟი და კაპიტანი, რომელსაც სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა.<sup>13</sup> მომდევნო პერიოდში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა თურქი მფლობელებისთვის დაებრუნებინა ის გემებიც, რომელთა მფლობელებმაც გემების მიერ საზღვრის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმა არ გადაიხადეს და ამგვარად, გემები საქართველოს ხელისუფლების მიერ დროებით კონფისკაციას იყო დაქვემდებარებული.<sup>14</sup> თურქული წყაროები აჰმეთ დავუთოლლუს მიერ გადადგმული ნაბიჯის გამართლებად იყენებენ ფაქტს, რომ გემი შავი ზღვის აკვატორიაში არსებულ, „რუსულ-თურქულ ეკონომიკურ ზონაში“ იქნა დაკავებული და ამგვარად, მიუხედავად საერთაშორისო კანონმდებლობისა, რომელიც, ერთი მხრივ, სანაპირო ქვეყნებს აძლევს უფლებას, დააკავონ ის გემები, რომლებიც მათ კანონმდებლობას არღვევენ, ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო წყლებში, ხოლო გემთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების გადაწყვეტას იმ ქვეყანას აკისრებს, რომლის დროშითაც გემი დაცურავდა, გამონაკლისის სახით თურქეთს გარკვეული პრეტენზიების გამოხატვის უფლება ჰქონდა.<sup>15</sup> აჰმეთ დავუთოლლუს მიერ 2013 წელს განხორციელებული განმეორებითი ვიზიტის შემდეგ კი, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაკავებული თურქული გემების რიცხვმა მკვეთრად იკლო.<sup>16</sup>

მსგავსი ორაზროვანი საკითხების მიუხედავად, თურქეთი დღემდე აგრძელებს აფხაზეთის არალიარების პოლიტიკას და შესაბამისად, უერთდება იმ შეზღუდვების უმეტესობას, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება იყენებს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 2011 წელს, იმ პერიოდს აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბალაფშმა ვერ მოახერხა საკუთარი ვიზიტისათვის თურქეთში რაიმე სახის ოფიციალური სახე მიეცა და მიუხედავად თურქეთის აფხაზური დიასპორის მცდელობებისა, ვიზიტს პირადი და არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა, რომელიც, თურქული მედიის ცნობით, ბალაფშის ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდებოდა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადებაც ადასტურებდა, რომ ვიზიტს არანაირი ოფიციალური ხასიათი არ ჰქონდა.<sup>17</sup> ვიზიტიდან დაახლოებით ერთ თვეში, სერგეი ბალაფში მოსკოვში ოპერაციის დროს გარდაიცვალა, რაც თურქული მხარის განცხადების სარწმუნოობას დიდწილად ადასტურებდა.

2014 წელს, სტამბოლში, თურქეთის პოლიციამ დააბრკოლა თურქეთის აფხაზური

<sup>13</sup> [Buket'in Türk kaptanı yarın serbest kalacak](#), Sabah, 06/09/2009

<sup>14</sup> [Gürcistan elindeki Türk gemileri bırakıyor](#), Denizhaber, 20/12/2010

<sup>15</sup> მაგალითად: Ece, Nur Jale, Erbaş Açikel, Aslıhan – [Uluslararası Deniz Hukuku'nda Kıyı Devletinin Gemilere El Koyma Yetkisinin Sınırları: Gürcistan'ın Karadeniz'de Seyreden Gemilere El Koyması](#), Uluslararası Deniz Hukuku'nda Kıyı Devletinin Gemilere El Koyma Yetkisinin Sınırları Sempozyumu, Orsam, Ankara, 2011, გვ. 136-138

<sup>16</sup> Eissler, Eric R. – [Can Turkey De-Isolate Abkhazia?](#), Turkish Policy Quarterly, Fall 2013, გვ. 132

<sup>17</sup> Чарквиани, Нестан – [Лидер Абхазии посетил Турцию с «бизнес-визитом»](#), Голос Америки, 13/04/2011

დიასპორის მცდელობა, გაეხსნათ საარჩევნო უბანი, სადაც დე-ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეობის მქონე პირებს ხმის მიცემა შეეძლებოდათ დე-ფაქტო აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში. მიუხედავად აფხაზეთის დიასპორის წარმომადგენლების, მათ შორის მეფლისის დეპუტატის ენგინ ოზქოჩის მცდელობებისა, თურქულმა პოლიციამ საარჩევნო უბანი დახურა.<sup>18</sup>

მიუხედავად არაღიარების პოლიტიკისა, თურქული მხარე ინარჩუნებს კონტაქტებს აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან და ამ ფარგლებში, აფხაზეთში სანქციონებული ვიზიტით იმყოფებოდნენ: თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველის მოადგილე უნალ ჩევიქოზი, რომელიც აფხაზეთს 2009 წელს ეწვია, და თურქეთის ელჩი საქართველოში 2009-2013 წლებში ლევენტ მურათ ბურჰანი, რომელიც აფხაზეთს 2010 წელს ეწვია.<sup>19</sup>

## საზოგადოებრივი და არაოფიციალური ურთიერთობები თურქეთსა და აფხაზეთს შორის

მიუხედავად აფხაზეთის საკითხის მიმართ თურქეთის ოფიციალური პოზიციებისა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს და გააჩნია მიზეზები, რომელთა ფესვებიც თავად თურქეთის შიდა პრობლემებში შეგვიძლია ვეძიოთ, თურქული საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრის ნაწილი აფხაზეთს საკმაოდ ემოციურად უყურებს, რასაც ისტორიული და რელიგიური ფაქტორები აქვს. აფხაზეთი დიდი ხნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის გავლენის სფეროში შედიოდა, თურქეთის აფხაზეთი დიასპორის აბსოლუტური უმრავლესობა კი, მორწმუნე მუსლიმია, რაც თურქების საკმაოდ ნაწილის თვალში აფხაზეთის ბრძოლას ქართველების წინააღმდეგ რელიგიურ საფარველში ბურავდა.<sup>20</sup> თურქეთში აფხაზეთი და ზოგადად ჩრდილოკავკასიური დიასპორის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენების გამო, თურქეთის ხელისუფლებაც, გარკვეულ დონეზე იძულებული იყო ანგარიში გაენიათ ამ უკანასკნელთათვის. შესაბამისად, მიუხედავად თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისა, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ დონეზე ურთიერთობები გაგრძელდა.

თანამშრომლობა პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო დონეზე მნიშვნელოვან როლს ატარებდა და თურქეთიდან რეპატრირებულმა აფხაზეთმა და ეთნიკურად აფხაზმა თუ არააფხაზმა თურქეთის მოქალაქეებმა, აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ამ მხრივ გამოსარჩევია აფხაზეთის ისლამურ საქმეთა სამმართველო და ბაშარანის თურქული კოლეჯი, რომლებმაც აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს და ორივე მათგანის დაარსებაში თურქეთის აფხაზეთი დიასპორის წევრებს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდათ.

<sup>18</sup> [Abhazya seçiminde sandık tartışması](#), Habertürk, 24/08/2024

<sup>19</sup> [No: 86, 20 Nisan 2010, Tiflis Büyükelçimizin Abhazya Bölgesini Ziyareti Hk.](#), Turkish Ministry of Foreign Affairs, mfa.gov.tr

<sup>20</sup> ამის საინტერესო მაგალითი შეგვიძლია ვიხილოთ ვეტერანი ისლამისტი პოლიტიკოსის ოლუზჰან ასილთურქის საპარლამენტო გამოსვლაში და საპარლამენტო კომიტეტისთვის წარდგენილ განცხადებაში 1992 წლის 13 ოქტომბერს, სადაც ის თურქეთის ხელისუფლებას მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებული ჩაგვრის იგნორირებაში და შუა აზიისაკენ მიმავალი კარიბჭის ჩაკეტვის საფრთხის წინაშე უმოქმედობაში ადანაშაულებს. იხ: [TÜRKİYE BÜYÜK MİLLET MECLİSİ, 19. Dönem 17. Cilt 3. Birleşim, S. 112-114](#); [TÜRKİYE BÜYÜK MİLLET MECLİSİ, 19. Dönem 18. Cilt 12. Birleşim – S.376](#); [Marje, N 8, 12/1992](#), გვ. 21-23

აფხაზეთის მუსლიმთა სამმართველო, რეგიონში, სადაც ფორმალურ რელიგიაზე მნიშვნელოვანი ყოველთვის ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები იყო<sup>21</sup> ერთგვარად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, რომელიც ომის შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდა, დამაბალანსებელ ორგანიზაციად ქცევის ამბიციით გაიხსნა. ამავე დროს, მისი არსებობა განაპირობა მეტწილად მუსლიმი რეპატრიანტი აფხაზების ფაქტორმაც, რომლებმაც ომის შემდეგ საგრძნობი ოდენობით დაიწყეს დაბრუნება ან უძრავი ქონების შექმნა და თავისუფალი დროის ისტორიულ სამშობლოში გატარება.

აფხაზეთის მუსლიმთა სამმართველოს დამაარსებელი თურქეთიდან რეპატრირებული აფხაზი ადილ გაბლია (თოქჯანი) იყო, რომელიც მას დაარსებიდან სიკვდილამდე – 2010 წლამდე ხელმძღვანელობდა. ადილ გაბლიას მმართველობის პერიოდში, მისი ხელმძღვანელობით აშენდა მეჩეთი ქალაქ სოხუმში, გამოიცა რელიგიური ლიტერატურა და აფხაზეთის მუსლიმების ერთი რელიგიური ორგანიზაციის გარშემო გაერთიანება მეტწილად მოხერხდა. გაბლია, რომელსაც რელიგიური განათლებაც თურქეთში ჰქონდა მიღებული, რელიგიური და პოლიტიკური მიზეზებით, თურქეთთან აქტიურ კონტაქტებს ინარჩუნებდა და ამგვარად, მისი უეცარი გარდაცვალება საეჭვო გარემოებებში<sup>22</sup> სერიოზული მითქმა-მოთქმის საგანი გახდა, რასაც ხელი შეუწყო მანამდე მომხდარმა თავდასხმებმა აფხაზეთის ისლამური თემის ლიდერებზე. აფხაზეთის ისლამური თემი, სადაც რეპატრიანტების წილი საკმაოდ დიდია, ამავე დროს თურქეთის ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს და თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველოს, აფხაზეთში წარმომადგენელიც ჰყავს, რომელიც, ამჟამად ეთნიკური აფხაზი აიჰან ციხირბაა.<sup>23</sup> რელიგიურ საკითხებში აფხაზეთს და თურქეთს შორის კავშირები, პირველ რიგში, ცხადია, რეპატრიანტების ფაქტორით არის განპირობებული, თუმცა რეგიონული პოლიტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია თურქეთის, ამბიციები აქტიური კონტაქტები ჰქონდეს სამეზობლოში მცხოვრებ სუნიტურ-ისლამურ თემებთან.

რაც შეეხება საგანმანათლებლო სფეროს, აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფეთჰულლაჰ გულენის მოძრაობასთან დაკავშირებული ბაშარანის კოლეჯი, რომელიც 1993-2010 წლებში მოქმედებდა გაგრაში და აფხაზეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრესტიჟული საგანმანათლებლო დაწესებულება იყო. ბაშარანის კოლეჯი, ასევე მნიშვნელოვანი შუამავალი იყო, რომელიც აფხაზ სტუდენტებს საშუალებას აძლევდა განათლება თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიეღოთ.<sup>24</sup> ბაშარანის კოლეჯმა 2010 წლამდე იარსება და საბოლოოდ, ფინანსური პრობლემების გამო დაიხურა,<sup>25</sup> დღეს მის ბაზაზე საჯარო სკოლა-ინტერნატი არსებობს, რომელსაც თურქეთთან ოფიციალური კავშირები აღარ აქვს.

აფხაზეთსა და თურქეთს შორის საზოგადოებრივ კავშირებში მნიშვნელოვან როლს

<sup>21</sup> Krylov, Aleksandr – [The religious situation in Abkhazia](#), 25 February 1998 – Keston News Service, Abkhazworld.com; Кулова М. Л. – [К вопросу о традиционной языческой религии абхазов в современной Абхазии](#), Известия Российского государственного педагогического университета им. А.И. Герцена. №29 (65) Аспирантские тетради: Научный журнал – СПб., 2008. С. 177-180

<sup>22</sup> გავრცელებული ინფორმაციით ადილ გაბლია და მისი მეუღლე გაურკვეველი ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალნენ. იხ: Цвижба, Заира – [Мусульмане живут одной жизнью с народом](#) Газета Республика Абхазии, 04.07.2011; [Мусульманская община Абхазии в ожидании нового муфтия](#), Islamnews.ru, 25.07.2011

<sup>23</sup> [Президент Аслан Бжания встретился с муфтием Абхазии](#), President of Abkhazia, 12.06.2020

<sup>24</sup> [Gülen okulunda Lenin heykeli](#), Internet Haber, 07.04.2007

<sup>25</sup> [Abhazya'daki Türk okulu kapanıyor](#), Ajans kafkas, 06.08.2010

ასრულებენ ასევე აფხაზური და ჩრდილოკავკასიური სათემო ორგანიზაციები, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია კავკასიურ გაერთიანებათა ფედერაციას (Kafkas Dernekleri Federasyonu – KAFFED), რომელიც აერთიანებს თურქეთის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ჩრდილოეთ კავკასიელთა კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და დაკავებულია კულტურული და საგამომცემლო მოღვაწეობით. სწორედ კავკასიურ გაერთიანებათა ფედერაცია იყო ის საფუძველი, რომელზეც, მოგვიანებით, აფხაზეთის ომის პერიოდში და შემდეგ, აფხაზური სათემო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოცენდა. 1992 წელს, აფხაზეთის ომის პერიოდში, თურქულ კონტექსტში მეტწილად მემარცხენე წარსულის მქონე პირების მიერ<sup>26</sup> დაარსდა კავკასია-აფხაზეთის სოლიდარობის კომიტეტი (Kafkas-Abhazya Dayanışma Komitesi – KADK), რომელიც აფხაზური მხარისათვის ჰუმანიტარული და პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებისათვის აქტიურად მუშაობდა და აქტიურად ეწეოდა თურქეთში მცხოვრებ არააფხაზ ჩრდილოკავკასიელებში პროპაგანდას აფხაზების სასარგებლოდ. ორგანიზაციის წევრების ერთი ნაწილის მემარცხენე ბექგრაუნდი კი, განსაკუთრებით თურქეთის ხელისუფლების გარკვეულ წრეებში უკმაყოფილებას იწვევდა და საბოლოოდ, თავად ჩრდილოკავკასიურ და აფხაზურ წრეებში გარკვეული განხეთქილებების მიზეზიც გახდა.<sup>27</sup> ამის მიუხედავად, ომის პერიოდში ორგანიზაციამ მოახერხა საკმაო გავლენა მოეპოვებინა და მეტწილად ჩაენაცვლებინა მანამდე არსებული აფხაზური ორგანიზაციები, მაგალითად, სტამბოლის აფხაზთა კავკასიური კულტურის ასოციაცია. საბოლოოდ, ომის შემდეგ, უშუალოდ აფხაზეთის ლიდერის ვლადისლავ არძინბას ხელშეწყობით, ორგანიზაცია, თურქეთში აფხაზეთის დე-ფაქტო ოფიციალურ წარმომადგენლად იქცა.<sup>28</sup> მოგვიანებით, თურქეთში მოქმედმა აფხაზურმა ასოციაციებმა საკუთარი ადგილი დაიკავეს როგორც კავკასიურ გაერთიანებათა ფედერაციის რიგებში, ისე წარმატებით განახორციელეს, მიზანი ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებინათ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აფხაზების საზოგადოებრივი ორგანიზაციები და 2010 წელს დაარსდა კიდევ აფხაზურ გაერთიანებათა ფედერაცია (Abhaz Dernekler Federasyonu – AbhazFed), რომელიც 2020 წლისთვის 17 აფხაზურ ორგანიზაციას აერთიანებს.<sup>29</sup>

გარდა დიასპორული ორგანიზაციებისა, თურქეთიდან აფხაზეთში თურქეთის აფხაზური დიასპორის ხელშეწყობითაც, რეგულარულად ჩადიან პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეები. სხვადასხვა დროს აფხაზეთში იმყოფებოდნენ ისტორიკოსი ილბერ ორთაილი,<sup>30</sup> თურქეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული, სამშობლოს პარტიის ლიდერი დოღუ ფერინჩეჯი,<sup>31</sup> თურქეთის ჟურნალისტთა ფედერაცია და მისი ხელმძღვანელი 2015 წლამდე ატილა სერთელი,<sup>32</sup> თურქეთის მეჯლისის დეპუტატების დელეგაცია და საქარიის უნივერსიტეტის რექტორი<sup>33</sup> და სხვები.

აქტიური საზოგადოებრივი და კულტურული ურთიერთობების მიზეზად, გარდა თურ-

<sup>26</sup> Atan, Fatih – Kafkas – Abhazya Dayanışma Komitesi: Bir Dönemin Anatomisi 1992-1993, Dönence, İstanbul, 2010, გვ. 34

<sup>27</sup> იქვე, გვ. 64-66

<sup>28</sup> Gültekin Punsman; Tarba; Başkan; 2009, გვ. 13

<sup>29</sup> [Federasyonumuzun 17. Derneği Sinop Abhaz Kültür Derneği](http://abhazfederasyonu.org), abhazfederasyonu.org, 10.03. 2020

<sup>30</sup> Ortayılı, İlber – [Abhazya: Güzel coğrafya, güzel insanlar](http://hurriyet.com.tr), Hürriyet, 22.10.2016

<sup>31</sup> [Perinçek: Türkiye, yakın zamanda Abhazya'yı tanıyacak](http://sputnik.com.tr), Sputnik Türkiye, 19.12.2019

<sup>32</sup> [Tgf Başkanlar Konseyi Toplantısı Abhazya'da Yapıldı](http://haberler.com), Haberler.com, 14.05.2014

<sup>33</sup> [Türkiye'den gelen heyet ile görüşme](http://mfaapsny.org), აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, mfaapsny.org, 08.06.2014

ქეთის აფხაზური დიასპორისა, შეგვიძლია ის ისტორიული წარსულიც მივიჩნიოთ, რომელიც თურქეთს, ჯერ კიდევ ოსმალეთის პერიოდიდან აფხაზეთთან აკავშირებს. ამავე დროს, მუჰაჯირობის შედეგად, კავკასიისათვის დამახასიათებელი არაერთი დეტალი თურქეთის საზოგადოებისათვისაც ნაცნობი და ახლობელია, რაც არააფხაზი თურქეთის მოქალაქეებისათვისაც აფხაზეთს კულტურულად და პოლიტიკურად ახლობელ პოლიტიკურ ერთეულად წარმოაჩენს. რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე თურქეთის რელიგიურ საქმეთა სამმართველოს მოღვაწეობას და რეპატრიანტების როლს აფხაზეთში ისლამური ორგანიზაციების ხელახალი ფორმირების საკითხში, აქ, რეპატრიანტების რელიგიურ საჭიროებებთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტორიც, რომ თურქულ ისტორიულ მეხსიერებაში აფხაზეთი მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიად აღიქმება, მიუხედავად ამ უკანასკნელის რთული რელიგიური კომპოზიციის და მუჰაჯირობის შემდგომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეცადინეობით გატარებული გამაქრისტიანებელი კამპანიისა. ამგვარად, დიასპორის ფაქტორისაგან დამოუკიდებლად, აფხაზეთის ადგილი თურქული საზოგადოების და მმართველი წრეების მეხსიერებასა და პოპულარულ კულტურაში, უზრუნველყოფს იმას, რომ თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური პოლიტიკის მიუხედავად, აფხაზეთს და თურქეთს შორის არაოფიციალური ურთიერთობები ყოველთვის აქტიური იქნება.

## აფხაზეთ-თურქეთის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები

თურქეთი აფხაზეთისათვის რუსეთის შემდეგ მეორე უმსხვილესი სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორია. მართალია, 2012 წელს არსებული 18%-იანი წილი,<sup>34</sup> რომელიც თურქეთს აფხაზეთის საგარეო ვაჭრობაში გააჩნდა 2019 წელს 8%-მდე შემცირდა,<sup>35</sup> მაგრამ ამის მიუხედავად, თურქეთი კვლავ ინარჩუნებს აფხაზეთის ნომერ მეორე ცალკეული ეკონომიკური პარტნიორის პოზიციას. თურქეთის წილის შემცირება აფხაზეთის ეკონომიკაში პირველ რიგში რუსეთსა და თურქეთს შორის არასტაბილური პოლიტიკური ურთიერთობების აფხაზეთზე ასახვასთან შეგვიძლია დავაკავშიროთ. პოლიტიკურად თითქმის მთლიანად დამოკიდებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება, ისეთ სიტუაციებში, სადაც მას რუსეთსა და თურქეთს შორის არჩევანის გაკეთება უნევს, როგორც წესი, იძულებულია მხარი რუსეთს დაუჭიროს, რაც ნათლად გამოჩნდა 2016 წელს, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ, სირიის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის გამო, სადაც თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თურქეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესა, მათ აფხაზეთიც შეუერთდა.<sup>36</sup> შესაბამისად, სანქციებმა, თურქეთის თითქმის ყველა მოქალაქეს, აფხაზეთის მოქალაქეობის მქონე დიასპორის წარმომადგენლების გარდა, ოფიციალური ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის საშუალება მეტწილად მოუსპო, რამაც აფხაზეთში თურქეთის ეკონომიკური გავლენა მკვეთრად შეამცირა და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა მოგვიანებით სან-

<sup>34</sup> [Russia and Turkey Remain Abkhazia's Main Trade Partners](#), Abkhazworld, 29.08.2012

<sup>35</sup> [Плюс на минус: внешняя торговля Абхазии в 2019 году](#), Sputnik Abkhazia, 10.03.2020

<sup>36</sup> [Breakaway Abkhazia joins Russia's anti-Turkish sanctions](#), Agenda.ge, 12.01.2016

ქციები დიდწილად შეამსუბუქა, თურქეთის ეკონომიკური გავლენა ძველ ნიშნულს აღარ დაუბრუნდა. ასევე აღსანიშნავია თავად თურქეთში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისიც, რამაც, როგორც აფხაზური დიასპორის წარმომადგენლების, ისე ზოგადად თურქი ბიზნესმენების სარისკო გარემოში ინვესტიციის განხორციელების შესაძლებლობები მკვეთრად შეზღუდა.

მიუხედავად შემცირებული ეკონომიკური ურთიერთობებისა, თურქეთი აგრძელებს აფხაზეთის ხელშეწყობას ამ უკანასკნელის ეკონომიკური გახსნილობის დონის გასაზრდელად, რის მაჩვენებლადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ 2020 წლის დეკემბერში, თურქეთის ორი უმსხვილესი ბანკის – სახელმწიფოს კუთვნილი Ziraat Bankası-ს და İşbank-ის (რომელიც უშუალოდ ათათურქის ინიციატივით და მონაწილეობით დაარსდა და, რომლის წილის ერთი მესამედი ოპოზიციურ სახალხო რესპუბლიკურ პარტიას ეკუთვნის<sup>37</sup>) მიერ აფხაზური საერთაშორისო საბანკო ბარათებისათვის თურქეთის ტერიტორიაზე მომსახურების განევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.<sup>38</sup> ამ გადაწყვეტილებას, ოფიციალური თბილისის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა და თურქეთის ელჩი საქართველოში – ფატმა ჯერენ იაზგანი ახსნა-განმარტებისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს. ელჩმა, ინფორმაცია უარყო და საკითხი თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედ რუსულ ბანკებს და მათ მიერ გამოყენებულ საბანკო ბარათებს დაუკავშირა.<sup>39</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ოფიციალურად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის საზღვაო მიმოსვლა და ამგვარად, მეტწილად ზღვით განხორციელებული კომერციული ურთიერთობები თურქეთსა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის ოფიციალურად არღვევს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ბრძანებულებას,<sup>40</sup> თურქეთსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკურ კავშირებს ამავე დროს პოლიტიკური საფუძველიც გააჩნია, რაც ორი ფაქტორით შეიძლება აიხსნას – პირველი ეს არის გავლენიანი აფხაზური და ჩრდილოკავკასიური დიასპორა, რომელთათვისაც აფხაზეთის ომი ამავე დროს გარდატეხის წერტილი იყო, რომელმაც მათ ნაციონალისტურ გამოღვიძებაზე იგივე გავლენა მოახდინა რაც 9 აპრილის ტრაგედიამ ქართველებზე. ჩრდილოკავკასიური დიასპორა, რომელიც ტრადიციულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული თურქეთის სამხედრო და სამოქალაქო ელიტასთან, დღესაც საკმაოდ გავლენიანია და მყიფე პოლიტიკური ბალანსის და ფაქციონალიზმის პირობებში, თურქეთის ხელისუფლებას მასთან დაპირისპირება არ უღირთ. მეორე ფაქტორად შეიძლება მოვიხაზოთ თურქეთის სურვილი, შეინარჩუნოს აქტიური კონტაქტები მინასთან, რომელიც თურქული ტერმინოლოგიით, „ნათესავი საზოგადოებებით“<sup>41</sup> არის დასახლებული და ამგვარად, ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა მაქსიმალურად შეინარჩუნოს.

<sup>37</sup> Butler, Daren – [Turkey's Erdogan to move CHP's Isbank stake to Treasury](#), Reuters, 05.02.2019

<sup>38</sup> [Крупнейшие банки Турции начали обслуживать национальные карты АПРА «World»](#), Национальный Банк Республики Абхазия, 21.12.2020

<sup>39</sup> [Gürcistanda neler oluyor Elçi dışişlerine çağrıldı](#), Kafkassam, 23.12.2020

<sup>40</sup> [საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 313 2004 წლის 3 აგვისტო](#)

<sup>41</sup> 2002 წლის შემდგომ ოფიციალურ თურქულ ნარატივში, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები, ძირითადად მუსლიმი ხალხები.

## სამომავლო პერსპექტივები

თურქეთის ინტერესები აფხაზეთში მეტწილად ისტორიული და სენტიმენტალური მიზეზებითაა განპირობებული, თუმცა სტრატეგიული მხარეც გააჩნია, რომლის რეალ-ისტურობაც, რუსეთ-თურქეთის არასტაბილური ურთიერთობების პირობებში საკმაოდ სათუთაა. სამხრეთ კავკასიაში არსებული სტატუს-კვოს პირობებში, დომინანტურ ძალად რუსეთი გვევლინება, ხოლო თურქეთი, აზერბაიჯანთან არსებული ახლო სამოკავშირეო ურთიერთობის მიუხედავად, კავკასიაში მეტწილად ეკონომიკური მოთამაშის როლშია, მისი სამხედრო ფუნქცია კი მეტწილად ლოგისტიკური და საორგანიზაციო საკითხებითაა შემოფარგლული. ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად იმ ხარჯებისა, რაც თურქეთმა ყარაბაღის მეორე ომის პერიოდში გასწია, სანაცვლოდ მხოლოდ აღდამის ცეცხლის შეწყვეტის პროცესის სამეთვალყურეო პუნქტში კონტიგენტის განთავსების უფლება მიიღო, სამშვიდობო კონტიგენტის სახით კი მხოლოდ რუსული სამხედრო კონტიგენტი ჩადგა.<sup>42</sup> თურქეთის ხელისუფლების რეალური უუნარობა გაეზარდა საკუთარი როლი ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ სამხრეთ კავკასიაში, გვაჩვენებს, რომ თურქეთის ხელისუფლებას რუსეთის წინააღმდეგ ეფექტური ბერკეტები არ გააჩნია, რასაც განაპირობებს პირველ რიგში რუსეთის პოზიციები ლიბიასა და სირიაში, სადაც რუსეთის ინიცირებული, სტატუს-კვოს რადიკალური ცვლილება თურქეთის ინტერესებს სწრაფი და მძიმე ზარალის მიყენების პოტენციალს ატარებს.<sup>43</sup> ამასთანავე, თურქეთს არ გააჩნია ისეთი სახის ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც თუნდაც აზერბაიჯანს აიძულებდა რუსეთთან გაენია შუამავლობა თურქეთის ინტერესების სასარგებლოდ – ეკონომიკური ინვესტიციების კუთხით, აზერბაიჯანის ინვესტიცია თურქეთში მეტია, ვიდრე თურქეთისა აზერბაიჯანში.<sup>44</sup>

ამგვარად, აფხაზეთთან მიმართებაში, თურქეთის ინტერესები მეტწილად შემოფარგლულია რეგიონში თურქეთის კონტაქტების შენარჩუნებით და თურქეთში მცხოვრები აფხაზური და ჩრდილოკავკასიური დიასპორის წარმომადგენლების მოღვაწეობით, ასევე შეზღუდული ეკონომიკური თანამშრომლობით და აქ, რაიმე სახის აქტიურ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ შემდეგი მიზეზების გამო:

1) თურქეთის ხელისუფლების და ელიტის დამოკიდებულება აფხაზეთისადმი მეტწილად სენტიმენტალურია და ემყარება ისტორიული მეხსიერების და ჩრდილოკავკასიური დიასპორის ლობირების შედეგების ერთგვარ სინთეზს. ამგვარად, თურქული კომპანიების აფხაზეთში არსებულ ეკონომიკურ მოღვაწეობაზე თვალის დახუჭვა, მისი ეკონომიკური სარგებლიანობის სიმცირიდან გამომდინარე, მეტწილად „თანამოძმეების“

<sup>42</sup> [Алиев: российско-турецкий мониторинговый центр по Карабаху создадут в Агдамском районе](#), Tass, 12.12.2020, [Российско-турецкий центр мониторинга по Карабаху: где его разместят, стало камнем преткновения](#), BBC Russia, 04.12.2020

<sup>43</sup> მაგალითად სირიაში, იდლიბის პროვინციაში რუსეთის და სირიის ხელისუფლების ერთობლივი სამხედრო ოპერაციების დაწყება იქ გამაგრებული ისლამისტური ჯგუფების წინააღმდეგ ახალ დევნილების ტალღას ნიშნავს თურქეთის მიმართულებით. რომელიც, შემადგენლობითაც აქამდე არსებული დევნილების ტალღისგან განსხვავებული იქნება – სირიის ხელისუფლების პოლიტიკის, გაეგზავნა მეტწილად ისლამისტური მიდრეკილებების მქონე შეიარაღებული ფორმირებები და მათი წევრების ოჯახები იდლიბში, პროვინცია რადიკალური ისლამისტური ჯგუფების თავშესაფრად არის ქცეული. ახალი დევნილების ტალღა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში, თურქეთისთვის სერიოზული დარტყმა იქნება.

<sup>44</sup> [Türkiye-Azerbaycan ilişkilerinde yatırımlar daha stratejik hale geliyor](#), Milliyet, 08.06.2020

დახმარებად აღიქმება. ხოლო თურქული მხარის ჩარევა საქართველოს მიერ დაკავებული თურქული გემების გამოსახსნელად უნდა შევაფასოთ არა როგორც პრო-აფხაზური ქმედება, არამედ როგორც შიდა პოლიტიკაზე ორიენტირებული ნაციონალისტური პოპულიზმი თურქული პუბლიკისთვის იმის საჩვენებლად, რომ საქართველო თურქულ გემებს დაუსჯელად ვერ შეეხება.

2) თურქეთს საკუთარ საზღვრებს შიგნით აქვს სერიოზული სეპარატისტული პრობლემა, რომელმაც თურქეთის ხელისუფლება სერიოზულ შიდა და საგარეო პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანა და, რომელიც დღემდე გრძელდება. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ომი ჩრდილოკავკასიური დიასპორისთვის მნიშვნელოვანი გარდატეხის წერტილი იყო, რომელმაც მათში ეროვნული თვითშეგნება და ნაციონალისტური ღირებულებები გააძლიერა, თურქეთის ხელისუფლება უფროსი ქურთული საკითხის გამო ისედაც დაყოფილი თურქული საზოგადოების და კრიზისში მყოფი თურქული იდენტობის ოფიციალური ვერსიის დასუსტების გზით „ეროვნული ერთობის და ერთსულოვნების“ კიდევ უფრო დასუსტებას, რასაც ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ თურქეთის აფხაზური დიასპორის გავლენიანი წევრების ერთმა ნაწილმა, მათ შორის ჯუმჰურ ბალმა, სეზაი ბაბაქუშმა, ჰანდან დემიროზმა და სხვებმა, 2015 წელს საჯაროდ დაუჭირეს მხარი მეტწილად ქურთულ მოძრაობასთან ასოცირებულ ხალხთა დემოკრატიულ პარტიას.<sup>45</sup>

3) საქართველო, თურქეთისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური დერეფანია, რომელიც მას აკავშირებს აზერბაიჯანთან და ნაწილობრივ, რუსეთსა და შუა აზიასთან, რომლის დაკარგვაც, მის ტერიტორიაზე არსებული ნავთობისა და გაზის სადენებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს არ უღირს.

4) რუსეთი, რომელსაც კავკასიაში, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზები და ინტერესები გააჩნია, აშკარა სამხედრო უპირატესობას ფლობს. ამ სტატუს-კვოს შესაცვლელად მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობს – რუსეთის შიგნით სერიოზული პოლიტიკური კრიზისი, რისი ნიშნებიც არ ჩანს ან სამხედრო დაპირისპირება, რასაც, ძალთა ბალანსი და საერთაშორისო ალიანსების სისტემაში ქვეყნების როლი გამორიცხავს.

ამგვარად, მიუხედავად იმის საკმაოდ მაღალი ალბათობისა, რომ საერთაშორისო არენაზე რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული რთული ურთიერთობა სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზრდება, მისი აფხაზეთზე ასახვის შანსი მინიმალურია და თურქეთი, მიუხედავად შეცვლილი საგარეო პოლიტიკური ორიენტირისა და ისტორიული სენტიმენტებისა, აფხაზეთთან მიმართებაში კვლავ დიასპორის და სამოქალაქო საზოგადოების გავლით განხორციელებულ მოქმედებებს მიაღიჭებს უპირატესობას, სადაც ეკონომიკას მნიშვნელოვანი როლი ექნება. თუმცა ეკონომიკური ურთიერთობის ლეგალიზაციას ქართულ მხარესთან შეთანხმების გზით თურქეთი არ შეეცდება, რისი მთავარი მიზეზიც ქართულ საზოგადოებაში არსებული რეალობაა. თურქეთს არ გააჩნია საქართველოს დაკარგვის გეოპოლიტიკური ფუფუნება, შესაბამისად, აფხაზეთთან მიმართებაში თურქეთი ამ კონტექსტში რაიმე სახის იძულების გზას ვერ მიმართავს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე კი არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გააჩნია ისეთი პოლიტიკური კაპიტალი,

<sup>45</sup> [Demokrat Çerkeslerden HDP'ye Destek](#), Bianet, 27.05.2015

რომ აფხაზეთთან, შესაბამისად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში რაიმე სახის დათმობაზე წავიდეს. ამავე დროს, ქართულ მხარეს არც იმის ძალა გააჩნია თურქული მხარის აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკონომიკური და კულტურული აქტივობების განხორციელებას ხელი შეუშალოს. ქართული მხარის ნებით თურქულ-აფხაზური ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ლეგალიზაცია კი დომინოს ეფექტის რისკს შეიცავს, რასაც აფხაზეთთან მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მიერ მსგავსი ურთიერთობის დამყარება და აფხაზეთის საერთაშორისო ლეგიტიმაციის ზრდა მოჰყვება. ეს კი ქართული პოლიტიკური სპექტრისათვის ასევე არასასურველი ნაბიჯია.<sup>46</sup>

აფხაზეთისა და თურქეთის ურთიერთობები, დიასპორულ, ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე დიდი ალბათობით გაგრძელდება ლეგალიზაციის გარეშე, ხოლო თურქული მხარის, მეტწილად ისტორიულ სენტიმენტებზე დაფუძნებული გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც პირდაპირ არის დამოკიდებული რუსეთის შიგნით განვითარებულ მოვლენებზე, დიდი ალბათობით გეგმებადვე დარჩება.

---

<sup>46</sup> დომინოს ეფექტის საკითხი ქართულ აკადემიურ წრეებში საკმაოდ ძველი პრობლემაა. მაგალითად იხ: Kapanadze, Sergi – [Turkish Trade with Abkhazia: An Apple of Discord for Georgia](#), Turkish Policy Quarterly, Fall 2014, გვ. 68

კონფლიქტების ტრანსფორმაცია საქართველოში:  
სწრაფვა გრძელვადიანი გზვიდობისკენ

2021

რედაქტორი  
ტექნიკური რედაქტორი

დიზაინი  
ყდის დიზაინი

ივანე აბრამაშვილი  
ლეილა სიხარულიძე

ნიკოლოზ გელაშვილი  
გიორგი ჯავახაძე